ჟაკლინ სირაძე

მეტაფიზიკური
დღიური

გამომცემლობა „მთაწმინდელი“

თბილისი 2004

მეტაფიზიკური დღიური: /ჟაკლინ სირაძე/.
/შ.პ.ს./ გამომცემლობა «მთაწმინდელი»: 2004. _ 216 გვ.

ISBN-99928-890-7-1

©ჟაკლინ სირაძე, 2004
გამომცემლობა «მთაწმინდელი», 2004

ს ა რ ჩ ე ვ ი

მისტიური ბიოგრაფია - ფაქტებისა და მისტიური გზის გადაკვეთა;

ავტოპორტრეტი-სვლა შინაგან სახლამდე-ქმნილების შინაგანი ბირთვის საიდუმლოება;

შემოქმედება - ღვთის საჩუქარი.
დუმილის შერხევა;

საკუთარი თავის მქადაგი - ერთ ადგილზე მხტომი;

მისტიური მსჯელობა;

გონების პარადოქსული ყვავილი - უკუთვალი - შენ ხარ არავინ;

მეტაფიზიკური კითხვები;

ინტელექტუალის სოლფეჯიო;

ბრბო - სასაცილო ბუნება - სამყაროს გაუხსნელი საგნები;

სიკვდილი - ნამდვილი სამყაროს კარები;

სამყაროს შექმნა - მისტერიაა;

მისტიური ხილვები ;

ამ წიგნის გამართლების ცდა.

მისტიური ბიოგრაფია _
_ ფაქტებისა და მისტიური გზის გადაკვეთა

* * *

პოეზია და პროზა სიცოცხლის ვნებიან ნაკადს რომ ამოჰყვება, უსისხლო თამაშობებით ქმნის ტომეულებს, დიდი სინამდვილის წინაშე არავითარ ღირებულებას რომ არ წარმოადგენენ.

ეს ზედაპირზე დაფენილი მტვერია, რომელიც წამი-წამობით იცვლის სახეს, რათა ხილულ საგნობრიობათა მოჩვენებითობა აჩინოს.

ამ ვნებით ნაკადს გამოქცეული, დავდექი მკაცრი მოთხოვნის წინაშე – ერთ წერტილში, ხელისგულზე დაფენილი მეხილა სიცოცხლე, ოცნებას ცხოვრებიდან, მატირანიზებელი რეალობიდან რომ ამორწყავდა.

მუდმივ მზადყოფნა – ათასი გზებით, განუსხვავებელი ერთგვაროვნებით რომ აკვირდება მდინარეს თუ წუმპეს, მზეს თუ გვამს, ვარსკვლავს თუ მეჭეჭს... მსოფლიოს მრავალფეროვნებას წამის მეათედში რომ მიმოიხილავს, რათა შემდგომ გარდაისახოს ერთ აზრად, ერთ მჭვირვალე ცრემლად, ერთ მარცვლად.

ამ მოთხოვნამ შვა დიოგენეს კასრი – დიოგენეს კასრი, დემოკრიტეს თვალებდათხრის თანაზიარად რომ მხდის.

დიოგენეს კასრი ხან სკოლა იყო, ხან უნივერსიტეტი, ხან სამსახური...

სკოლა თუ საზარელ ციხედ წარმომედგინა, მასწავლებლები - ციხის განმგებელ პირებად. ისინი მხოლოდ შიშს მინერგავდნენ. ამ მიზეზის გამო არც არასოდეს გავსაუბრებივარ რომელიმე მათგანს. გაკვეთილის განმავლობაში ჩემს გასეირნებას (სკოლის კიბეზე ოცნებას) ბუნებრივად იღებდნენ. როცა ხელს ავწევდი, უსიტყვოდ მიმითითებდნენ კარებზე და მიღიმოდნენ. მე ხელთ მქონდა «მატერიალური საბუთი» ჩემი სევდისა. «დედისაგან გამოტაცებული ბავშვი» – ასე შემარქვეს. ეს მართლაც მოხდა 1963 წელს:

მამაჩემი, შალვა სირაძე მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდა და ორწელიწადნახევარი გაატარა მათხაუზენის, დნეპროპეტროვსკისა და ბოლოს ლინცდრაის საკონცენტრაციო ბანაკებში. 1945 წელს ამერიკის ჯარებმა გაათავისუფლეს. მამა ჰოსპიტალიზირებულ იქნა ბელგიის ქ.ბრიუსელში. მკურნალობის შემდეგ მუშაობა დაიწყო ბელგიის ცნობილ მაღაროში მეშახტის პროფესიით. ათი წლის შემდეგ დაგროვილი კაპიტალით ხსნის რესტორანსა და კაფეს. 1955 წელს ხვდება ბელგიაში მცხოვრებ დედაჩემს, რომელსაც პირველი ქმრისაგან (ავარიაში დაიღუპა) ჰყავდა მცირეწლოვანი ქალ-ვაჟი. ასე დავიბადე 1956 წლის 25 მარტს ბელგიის ქალაქ ბრიუსელში. 1963 წელს, უამრავი მიზეზის გამო, მამამ ჩუმად გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნება. იმ დროს დედაჩემი ჩემი ძმის, ჯემალ სირაძის მოსალოგინებლად იმყოფებოდა ქ. ბრიუსელის საავადმყო-ფოში. მამამ მე და ჩემი და, ნათია სირაძე (მე მაშინ 7 წლის, ჩემი და 4 წლის იყო) მოტყუებით წამოგვიყვანა ინტერნატიდან (ჩვენ ვიმყოფებოდით განსაკუთრებულ ინტერნატში, მონაზონი ქალების მეთვალყურეობის ქვეშ). დედა წლების განმავლობაში აგზავნიდა მოთხოვნას შვილების უკან დაბრუნების თაობაზე, რაზედაც მას არც არასოდეს მიუღია არანაირი ახსნა-განმარტებითი საბუთი.

უნივერსიტეტი, დიოგენეს ეს კასრი, უფრო მაოცებდა. პროფესორთა უმრავლესობა მაფიქრებინებდა, რომ ისინი ან ხუმრობდნენ, ან, მართლაცდა, დაბადებით გიჟები იყვნენ. მაგრამ თუ ფიქრს ვიწყებდი ამ საერთო სიგიჟის გამომწვევ მიზეზებზე, სრულიად დაბნეული ვრჩებოდი (სოციალიზმი და კაპიტალიზმი ერთნაირი სახის ბორკილებად წარმომედგინა, იმდროინდელი შეხედულებით).

პროფესორი ნუნუ წულაძე მეტყოდა:

«მაგრამ, ჟაკლინ, თქვენ შეიძლება იუბილე გადაგიხადონ, მაგრამ მე არ მესმის თქვენი ნაწერის.» სხვათა შორის, აქაც მეორდებოდა ურთიერთგაგება მასწავლებელსა და ჩემს «მატერიალურ საბუთს», ე.ი. ჩემს შორის. ის ლექციის მსვლელობაში არ მრთავდა. როცა ჩემი რიგი მოვიდოდა, ანიშნებდა სხვა სტუდენტებს, ეს გამოტოვეთო.

შიგადაშიგ მაინც მეტყოდა: - მაგრამ, ჟაკლინ, როდემდე უნდა იყოთ ხეზე ჩიტივით?

* * *

თუ რამე ვიცი, ეს უკავშირდება იმ წლებს, როცა ფეხით დავდიოდი ყოველდღე ვაჟა-ფშაველადან თავისუფლების მოედნამდე და პირიქით.

ეს მოგზაურობა იმდენად ბევრს მასწავლიდა, იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ არ მახსენდება არცერთი პიროვნება თუ წიგნი, რომელსაც ასეთი სულის შემძვრელი ზეგავლენა მოეხდინოს ჩემზე. ფილოსოფიური ხეივანი – ასე ერქვა ვაკისკენ მიმავალ ხეივანს, მთის პეიზაჟით რომ სრულდება. გული მითრთოდა, შინაგან აღფრთოვანებას რაღაც შიშიც ერთვოდა, როცა ვაკისკენ მიმავალ ამ ხეივანს მივყვებოდი. კი არ მივდიოდი, რაღაც ძალა მიმაქანებდა მისკენ.

ეს მოშიშვლებული, გატიტვლებული ხეების დაკორძილი ტანი შთამაგონებდა, რომ სამყაროს საზრისი აქ, ამ ხეებში იყო ჩადებული.

მე ნათლად ვჭვრეტდი, რომ პლატონის იდეების საუფლოს წინ ვიდექი.

რა მიმანიშნებდა ამაზე?

აქ თუ სიცივე, გაუსაძლისი გათოშილობა მიპყრობდა, ამავ დროს, წარმოუდგენელი სიკაშკაშე იღვრებოდა ჩემს ირგვლივ.

სამყარო შიშველი იდგა ჩემს წინაშე, მაგრამ რა იყო შიშველი? ამას ვერ ავხსნი და ვერ აღვწერ. ხან ეს ქალთა მრავალსახა სილუეტის სახით ლაგდებოდა ჩემი სულიერი თვალის წინაშე, ხან ეს ხეები იდეებად იშლებოდნენ. იდეები, რომლებიც მარცვალთა უსასრულო რიგად წარმომედგინა, პოხიერ მიწას დაშორებული და ჰაერში შეჩერებული. ხან კი ეს იდეები ფერების სახით ლაგდებოდა, მაგრამ, რაც მთავარია, ეს იყო სამყაროს არსი, ჩემს მიწიერ თვალს რომ არ ძალუძდა დაენახა – ის ხომ ღვთის ფარდით მემალებოდა.

დიახ, ეს გატიტვლებული, დაკორძილი ხეები ფარდა იყო, ღვთის ფარდა, რომლის მიღმა სამყაროს ყველა აზრი იყრიდა თავს.

ბულონის ტყე დავარქვი პუშკინის სკვერში მდგარ ხეებს, სადაც საღამო ხანს უამრავი ყვავი გუნდ-გუნდად მოფრინდებოდა. მე მქონდა ჩემი ქვეყანა, რომელშიც მოგზაურობა აუწერელ ნეტარებას შემა-გრძნობინებდა, მაგრამ დევნამ დამაღალა. საქართველოში მარტოდ მოსიარულე ქალი ან კეთროვანია, ან გიჟი. რადგან ის დაპირისპირებულია ბრბოსთან, მოჩვენებით საერთობას ცხოვრების წესად რომ იხდის. მათი პირი-პირთან მიტანილი საუბარი, თანწყობილი სუნთქვა სისხლთა ნაკადებს ამოყვება და უმტკივნეულოდ ბადებს სათქმელს.

* * *

ჩემთვის შინაგან ცხოვრებაზე დაკვირვება იმდენად საინტერესო იყო, რომ მინდოდა უფრო მექანიკური სამუშაო შემესრულებინა, როცა რიტმულ-ქანქარისებრი მოძრაობებით დავფარავდი ნამდვილ სახეს, და შევნიღბავდი.

ღამით, იმას ვაკვირდებოდი, თუ როგორ გადაიქცეოდა ჩემი ბუმბულის ბალიში ქვად, ქვა კი ნელ-ნელა ლურსმნად, რომელიც თავში მესობოდა. ასე გასისხლიანებული თავით ვფიქრობდი საოცარ საგნებზე.

ეს იყო ღამეული ფრენა. ამ დროს საზარელი ტკივილით ვაკვირდებოდი თითოეული ბუმბულის ჩემს ტანზე დაბადებას და როცა საბოლოოდ ტანი მთლიანად ბუმბულით მეფარებოდა, ტკივილი სადღაც ქრებოდა და იწყებოდა ეს დაუჯერებელი აღმაფრენა – ვერცხლისფერსა და იისფერში გადასული ფრენა.

სად ხდებოდა ეს? როდის ხდებოდა? ძნელი სათქმელია. ასე ხელახლა ვეცნობოდი სამყაროს საგნებს; მათ ხომ ახლა იდუმალი სახე ჰქონდათ, რასაც, ცხადია,

ადამიანური ენა ვერ გადმოსცემს. დღე კი ვჭვრეტდი მზის ნაკადების ციდან დაშვებას ჩემი სულის წინაშე. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ მზის ტალღებზე მოქცეული მივცურავდი. ქუჩაში გამვლელები ხედავდნენ, თუ როგორი სახეგაბრწყინებული, დაუჯერებელი სისწრაფით სადღაც მივიჩქაროდი.

ისინი ხომ ამ უზარმაზარ, თვალებდამაბრმავებელ სინათლეს ვერ ხედავდნენ? მზის ნაკადები ხანდახან ხეებს ოცნებით ბურავდნენ, რათა შემდგომ ჩემს წინაშე, მიწაზე სიცილ-კისკისით ვარსკვლავ-ყვავილებად განშლილიყვნენ. ამგვარ ხილვებს სხვა განზომილებაში გადავყავდი. ჩემმა ცხოვრებამ ძალიან სწრაფად გაირბინა. ახლა მეჩვენება, რომ იგი ვიღაცამ მიითვისა, რადგან ჭეშმარიტი აზრით, ახალგაზრდა არც არასოდეს ვყოფილვარ.

ამ ხილვების შესახებ თხრობა არც არასოდეს მომსურვებია. ეს ერთგვარი უხამსობა იქნებოდა ჩემი მხრიდან, მშვენიერების ქუჩაში დაგდება ყველას ფეხის გასათელად.

ასე უარვყავი ჯონ კითსის ცნობილი დასაზღვრა:

«პოეტი არის ყველაზე არაპოეტური ქმნილება ამქვეყნად.»

ჩემი თავი პოეტად მიმაჩნდა.

ვიმუშავე მუშად, ბიბლიოთეკარად, მღებავად, ხელზე მოსამსახურედ, მომვლელ ქალად, ბავშვის აღმზრდელად. ვმუშაობდი ეკლესიაში, ვმუშაობდი მასწავლებლად, ჟურნალისტად.....

ყველა პროფესია საინტერესოდ მეჩვენებოდა და თან უღრმესი ზიზღი მიპყრობდა მათ მიმართ.

დიოგენეს კასრი, ასეთი იყო სამსახურის ნამდვილი არსი, ეს იყო ტანთსაცმელი სულს რომ ფარავს, რათა უფრო მკვეთრად აჩინოს.

ღვთიური ნიჭის დამსაზღვრელი საზღვარი, რომელიც გვძულს, რადგან გვაიძულებს ვიტანჯოთ და მწყურვალედ გვიყვარს, რადგან ამ ტანჯვით გამოვისახებით.

* * *

ჩემი სულის გარდერობი რომ გამოაღოთ, ერთიმეორეზე განსხვავებული სულის სამოსი გადმოვარდება – ფერად-ფერადი ნიღბები.

პირველად აუცილებლად კლოუნი გამოვარდება, ეს შეთითხნილი სახე, ამაზრზენი და ტრაგიკული, შემდეგ კეკლუცი ქალი, საკმაოდ შეღებილი (კეკლუცობს, რათა იკეკლუცოს, კეკლუცობს, რათა იკეკლუცოს ad infinituum), ასკეტი, ეს ჩემი უცნაურად დაღმეჭილი სახე, სერიოზული და პირქუში, ყველაფერს უარყოფითად რომ ეკიდება. სიცილიც კი გულს ტკენს და ცოდვად მიაჩნია, რადგან იუმორის ნატამალიც არ გააჩნია; ფილოსოფოსი – ის ხომ მეტისმეტად სერიოზულად მსჯელობს, თუმცა მაინც სცოდავს, რადგან შიგადაშიგ გონება ერევა; პოეტი – იგი ხომ სულ ჩვილია, ვერ საუბრობს, მხოლოდ ტიტინებს და უმწეოდ ტირის და ბოლოს; მე ვისურვებდი, რომ სერიოზულად აღგექვათ ეს ჩემი საწყალობელი სული – spiritus sancta. მისი შინაარსია მჭვირვალე ცრემლებით ნაქსოვი ტკივილი და თუ სადმე ჩემს ნაწერში ჩნდება სინათლე, მისგან მოედინება, მისგან, ვინც საუკუნეებს გაირბენს დათმენაში და ხმას მხოლოდ აუცილებლობის ჟამს გაიღებს.

და ასე ზრდის იგი მოსაუბრის სახეს გიგანტურ მასშტაბებამდე, კოსმოსის სიდიდის ხელად, საწყალობელი სულის ყველაზე მნიშვნელოვანი დავალებაც ხომ ეს არის – შესძლოს მოისმინოს.

ერთგვარად გავემიჯნე ძველ ცხოვრებას, რადგან ნაწერის გამოქვეყნება ვცადე.

ავტოპორტრეტი _ სვლა შინაგან სახლამდე _
_ ქმნილების შინაგანი ბირთვის საიდუმლოება

* * *

არა მარტო საინტერესოა, არამედ გასაოცარიც კი არის თუ რატომ შეიძლება გამხდარიყო თანამედროვეთათვის სასოწარკვეთის, უფრო მეტიც შეურაცჰყოფის განცდის მიზეზი რომ ნაწარმოების შინაგან ბირთვში ჩამალული საიდუმლოება სამყაროს საიდუმლოების ამოტანასთან ერთად ავტორის, პიროვნების შინაგან გზებზეც მიგვანიშნებს

ნაწარმოების შინაგანი ბირთვი ხომ იგივე მისი ავტობიოგრაფიაა.

მართლაცდა ვინ გაჰყო პიროვნება _ ავტორი და მისი სულიერი გზები? გზები შინაგანი სახლისკენ რომ მიემართება, რათა საბოლოოდ ნაწარმოების ამბებში ანუ ფერად სურათებში განიბნეს, ან უამრავ სახედ ან იდეად გარდაისახოს.

რა არის ამბავი? ეს ფერადი სურათები? მათში ხომ მწერალი თავისი გულისგულით მოქსოვილ შინაგან გზებს გვაწოდებს.

მაგრამ რა ჯადოქრობა განაპირობებს, რომ ნაწარმოებში ვეღარ ვხედავთ, ვერც ავტოპორტრეტს და ვერც აღსარების ვეღარავითარ კვალს ვერ მოვიძიებთ?

ერთი შეხედვით ეს ავტორის უზარმაზარი შრომის შედეგია, მისი დაუღალავი რუდუნება, რაც თითქოსდა მის გაურანდავ ფრაზებს აქცევენ რაფინირებულ, ნატიფ ფრაზებად _ მაგრამ გვავიწყდება, რომ უმთავრესი ადამიანის სულიერი დაბადებაა, როცა ის განამდვილებული და სუნთქვაჩადგმული ეხება იმ გონმიუწვდომელ მთელს, რაც იდუმალების საბურველში ხვევს ავტორის სათქმელს, და რაც ასე უპიროვნოდ გარდასახავს ფილოსოფიურ ტრაქტატს, ხელოვნების შედევრსა თუ არითმეტიკულ ამოცანას.

მაგრამ რა არის იდუმალების საბურველი?

ღვთაებრიობის სინათლისეულობა, რომელიც გვაბრმავებს, რათა ხედვა შევიძლოთ. ის გონმიუწვდომი ერთობა, რომელსაც ყოველთვის ვეხებით, როცა გულწრფელი, ერთგული მინებებით მივუყვებით ჭეშმა-რიტების გზას და რომლის ყოვლისშემძლეობას იმითაც დავადგენთ, რომ იგი აისახება ყოველ ნამდვილ საუბარში, ნამდვილ ქმნილებაში, ნამდვილ საქმიანობაში.

- ღმერთმა შექმნა სამყარო და სად გაექცევი მის ნათელს?

- სად გაიქცევი შენ, ადამიანო?

- სად უნდა წახვიდე, რომ ისევ უკუშექცევით, სინანულის უსაზომობით არ დაუბრუნდე სინამდვილის წიაღს, ღვთის ნათლად რომ იწოდება?

- სად დაიმალები?

თუ შევეცდებით ავტოპორტრეტის მეტაფორულად წარმოსახვას ანუ ხელოვანის ცხოვრების სურათებად დალაგებას, დავინახავთ აყვავებული ხეების უსასრულო რიგს და ამ ხეივანში შევიგრძნობთ უკვე დამწიფებული, წვენით დაბერილ ნაყოფთა განუმეორებელ გემოსა და სურნელს.

მაგრამ რას ნიშნავს სათქმელის რაფინირება, ანუ როგორ წარმოვისახავთ პოეტურად ამ პროცესს?

სათქმელის რაფინირების დროს ხდება ხელოვანის მიერ ადამიანური ბუნების მტკივნეულად მოშორება-მოცილება. ამ დროს, თითქოსდა, ავტორი ცდილობს გააშიშვლოს თავისი სული და შიშველ იდეებად დაალაგოს ჩვენს წინაშე. ამ დროს

ხელოვანის ცხოვრების ხეივანში მოთავსებულ ნაყოფთა ვერც სურნელს, ვერც სილამაზეს და ვერც გემოს ვეღარ აღვიქვამთ უშუალოდ, ეს შორიდან, უკვე სხვა გზიდან გვეცხადება – აქ მხოლოდ ხელოვანის სუნთქვა, მისი სულის სინათლისეულობა თუ დაგვეხმარება.

აქ შეიძლებოდა გაგვხსენებოდა სული, თავისი მეობის სუნთქვას რომ აფორმებს და საბოლოოდ არქიტექტორულ ძეგლთა გამყარებულ სახეს რომ აფარებს თავს.

ასე რომ შორს დარჩა ნაყოფი და მისი გემო, ეს კვინტესენცია ამსოფლური საზრისისა, რითაც დროება თავისთავს გამოხატავდა და თავის უაზრო სრბოლას აზრად, მაშასადამე სხვა სიტყვით საქმედ აქცევდა.

* * *

მოდით, ახლა შევეცდები ჩემი ავტოპორტრეტი გადმოვცე, ანუ ჩემი ცხოვრების ხეივანში გაგიძღვებით, რათა გაჩვენოთ ჩემი აყვავებული ხეები და მათი ნაყოფნი, თავისი სურნელით, სილამაზითა და გემოთი.

ასე მეჩვენება სენტ-ბევის სიახლოვეს რომ ორი უბედურება რწყავს და ანაყოფიერებს ჩემს ბედისწერას.

პირველი იყო ამქვეყნად ქალის სახით მოვლინება და მეორე - შორეულ უცხოეთში დაბადება.

მოარული ფრაზა, როგორც ეს ხშირად ხდება, ჭეშმარიტებას იმეორებს:

_ შეუძლებელია ერთად შევათავსოთ ქალი და მოაზროვნე.

და მართლაც, განა ჭეშმარიტი აზრით აზროვნება სიკვდილზე ფიქრს არ ნიშნავს?

ამიტომაც ბუნება ქალში თავდამცავ მექანიზმს აღმართავს, რათა მას, სიცოცხლის განმგრძობ ამ არსებას, სიკვდილის მსახვრალი ხელი არ შეეხოს. და თუ მე შევეცადე აღმეზარდა მოაზროვენე ჩემში, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემში არსებულ ქალს ვებრძოდი.

თუ ვინმეს სურს პიროვნებად ჩამოყალიბება, თავისი გზა სიჩუმეში, მარტოობის უდაბნოში უნდა განვლოს. არასოდეს არ უნდა გქონდეს იმედი, რომ სხვები გიწყალობებენ აზროვნების უფლებას (მოკვდე, რათა დაიბადო), რათა საბოლოოდ დაივიწყო (დაუბადებელთა ჩაძინებული სამყარო).

ზოგს გულწრფელად ჰგონია, რომ თუ სული ერთხელაც უსასრულობის გზას შესდგომია, გამყარებულ საგნობრიობათა მსგავსად არ იცვლება და ერთი და იგივე რიტმს ინარჩუნებს.

თუმც **რიტმი და სუნთქვა,** ეს უარსებითესი ნაწილი სულის გამოსახებისა ერთდაიგივეობას უნდა ინარჩუნებდეს, მაგრამ სული ხომ მუდამჟამ უსაზომოდ ირყევა, ვიდრე ისევ და ისევ თავის რიტმში ჩაჯდება და თავისი სუნთქვით ისუნთქებს.

მეც, როგორც ყოველ პიროვნებას, მარადიული ბრძოლა მიხდებოდა ცხოველსა და ანგელოზს შორის, პიროვნებასა და არარაობას შორის.

მეორე უბედურება კი, მაშასადამე მნიშვნელოვანი წყარო ჩემი პიროვნების დადგინებისა ის ტრაგედია იყო, რასაც დავარქმევდი დედასთან დაშორებას, დაკარგულ სამშობლოს და დაკარგულ ენას, ენა რომელზედაც ენა ავიდგი (დავიბადე ბელგიაში და ენა ავიდგი ფრანგულ ენაზე).

ამ უბედურებამ საქართველოში დედოფლის ადგილი მომიჩინა.

სადაც გამოვცხადდებოდი, ყველგან ვხედავდი გაფაციცებულ, მოწიწებულ სახეებს და ჩურჩულით ჩამესმოდა კითხვა:

_ იცით, ეს ვინაა?

და იქვე პასუხი:

_ ეს პარიზიდაა.

ამით ყველაფერი იყო ნათქვამი და მეც, სხვათა თვალში, «ყოველი ღირსებით შემკულიო პიროვნება» ვხდებოდი.

სენტ-ბევის გზა რომ დავივიწყო და პრუსტის გზას გავუყვე, აღმოვაჩენდი ჩემში არსებულ ორ ხმას, ორ ხმას ჩემში დაუსრულებელი ბრძოლა რომ გაუმართავთ.

არ ვიცი, რა დავარქვა იმ უცნაურ მდგომარეობას, როცა მეჩვენება, რომ სამყაროს საერთოობის ხმა ჩამესმის, ვით ჰამრონიულობის ფშვინვა, როცა ღვთის ხმა სინათლის სხივივით სწორხაზოვნად გადაკვეთს უნივერსუმის უსასრულო მრავაფეროვნებას, როცა ჩემთვის ყოველივე ერთია _ ერთია არსი, ერთია აზრი, ერთია სუნთქვა.

მაგრამ უფრო ხშირად ყოველივე დაფანტულად, დაცალლკევებულად მოსჩანს. აზრი დაფლეთილად გამოიმზირება და პირქუში უფსკრული, ვით არაფერობის სხვა სახე, ისე აღიმართება ჩემს წინაშე. ეს საზარი ხმა ჩემში, თანამედროვე გონებისა და სინდისის პირმშო. ამ დროს თვალებდაბრმავებული შევყურებ სამყაროს მრავალფეროვნებას – თითქოსდა ყველაფერი წყვდიადითაა დაფარული, უაზროა აზრი, დაკარგულია ოცნება... ასე ვირყევი, ასე ვტორტმანებ... თუ დოსტოევსკისთან გმირება მკაცრად არიან დასახღვრულნი – ადამიანი, ეშმაკი, ანგელოზი და ეშმაკის ბუში, ჩემში ისინი წამი-წამ იცვლებიან, ვიდრე ღმერთი არ აღსდგება ჩემში და თავისი სინათლისეულობით არ აქრობს ამ ტყუილს და ამ მოჩვენებას.

ამ ორ მზერას აერთიანებს ჩემი მოუცილებელი განცდა დანაშაულისა. მე ვერაფრით ვერ ვიჯერებ, რომ მონაწილე არა ვარ მსოფლიოს ყველა ამბისა და ყველა დანაშაულში წილი არ მიდევს.

რასაკვირველია, აქ თანამედროვე «გამოფხიზლებულ» და «გამოღვიძებულ» კაცს შეუძლია უსაშველოდ გაზრდილი, გიგანტური მტარვალი _ ტირანი მოიძიოს, მსოფლიო თავის საკუთრებად რომ მიაჩნია და სურს თავისი ნება უსასრულოდ გაავრცელოს სივრცესა და დროში (მკითხველის ნებისთვის მიმინდვია დასკვნის გამოტანა).

ადამიანის ყველა უარყოფით თვისებას ვატარებ, რომლიდანაც ბევრს ვამზეურებ და ბევრსაც ვჩქმალავ. და თუმცა ვიცნობ საკუთარ სულში დამკვიდრებულ ყველაზე საზარელ დემონს - რასაც პასკალი გულის სიცარიელეს უწოდებდა, მაინც სიამაყით განვაცხადებდი, რომ დღენიადაგ ვებრძვი ცხოველს, რომლისადმი მინებება აღიარებაა კაცის უსუსურობისა და უბადრუკობისა.

თანამედროვე სამყაროში, ის რაც კაცის არსობა იყო, კაცის მისია დედამიწაზე _ იცნოს სამყარომ, აღიაროს მისი აუცილებლობა და ერთადერთობა _ დღეს ამ სურვილმა კნინობითი და უსახური სახე მიიღო.

და მიუხედავად ამისა, მე არასოდეს მავიწყდება, რომ კაცის მაცოცხლებელი წვენი სამყაროს ის ღრმა შრეა, რომელზედაც კაცის უანგარობის გზა გადის, სიყვარულის სიწმინდესა და აზრის სიმაღლეს ერთად რომ ითავსებს.

რატომ დაიწერა მეტაფიზიკური დღიური?

იქნებ იმიტომ რომ ვიყავი მარტოსული, ვერ ვაწვდენდი სხვებს ხმას?

დიახ, ეს ჩემი მარტოობაა, ჩემი თვითობის განუმეორებლობაა, რაც ამ ნაწერში თითქოსდა «ყვირის», «აწყდება კედლებს» სხვათამდე მისასვლელ გზებზე.

მართლაცდა, ვინ დაიწყებს ყვირილს, ვინ გაიღებს ხმას, თუ სხვებს ისედაც ესმით მისი?

რასაკვირველია, სიტყვები უძლურია გამოთქვან ის, რაც სულის უღრმეს ფსკერზე დევს, თუმც მათ განლაგებას კი რაღაც შეუძლია.

განლაგება _ მაგრამ სწორედ ეს ქმნის დაუძლეველ სიძნელეს. წარმოვიდგინოთ დიდი ქალაქების გულისგამყინავი მარტოობა, ცათამბჯენებით რომ ყვირის, ან ხშირ ტყეთა იდუმალი სიჩუმე _ და ეს მხოლოდ ერთი ფრაზით გამოთქმული.

ან შენი აღმაფრენა, სიგიჟის ვარსკვლავებით მოოჭვილი ქარიშხლის ტანთსაცმლით რომ შემოსილა, ასე რომ დაგატარებს უსასრულო გზებზე და აძლებინებს შენს ფრინველს ცაში.

და ეს ყველაფერი ისევ ერთი, ერთადერთი ფრაზით გადმოცემული.

და თუ მაინც ამომწურავად შევეცდებოდი წერის სირთულის ახსნას, გავიხსენებდი უილიამ ფოლკნერის ნათქვამს:

_ **როგორ მინდა სათქმელი ქინძისთავზე მოვათავსოო.**

* * *

მოდით შესავალში დასმულ კითხვას მივუბრუნდები:

რატომ ხარხარებს თანამედროვე როცა ნაწარმოების შინაგან ბირთვში პიროვნების ავტობიოგრაფიას პოულობს? რატომ დგას ის ასეთი შეურაცხმყოფელი პოზით? რამდენი ხმაური გამართეს თანამედროოვეებმა ამ ავტობიოგრაფიის ირგვლივ? რა ავისმომასწავებელი ჩურჩულით მიგვანიშნებდნენ ფილოსოფოსები თუ მწერლები, რომ აღმოაჩინეს რაღაც დიდი დაცემა?

ამ კითხვებით დავასრულებ ჩემს ავტოპორტრეტს, რადგან მათზე პასუხის გაცემა, ჩემი ჭეშმარიტი ავტობიოგრაფიის ხელახალ გადაკითხვას მოითხოვს, _ რასაც მე ვუწოდე «მეტაფიზიკური დღიური».

შემოქმედება _ ღვთის საჩუქარი
დუმილის შერხევა

* * *

შემოქმედება:

ბუნება გვიმალავს სამყაროს იდუმალებას და როცა ამღერებული კოსმოსი სულში ჩაგვესახება, როცა ვარსკვლავთ ცივი და შორეული მუსიკა ხმიანობს გულში, სხეული ჩვენი, ვით მჭკნარი ფოთოლი ვერინძრევა.

ჭკნობაშეპარული სიცოცხლე იფერფლება და ქრება.

გარდაცვლილნი ვდგებით და ვცდილობთ მივბაძოთ სიცოცხლეს.

* * *

ისევ იქ ბრუნდები, საიდანაც დაიწყე გზა.

ისევ წყვდიადში ვარდები, ვით თესლი მიწის სიღრმეში.

არ იცი რად იხარებ და ამიტომაც ღვივდები.

* * *

დღეს არ გიპყრია შენ სარკე იდუმალი. არ გიპყრია თასი მათრობელი, რითაც სამყაროს სისავსეს შენი ვარსკვლავებით, მზეებით, ზღვებით თუ ნისლის ოცნებაში წასული არყის ხეებით ჩატევდი შენს ამოსუნთქვაში.

დადუმდი, ნუ სუნთქავ უვარსკვლავებოდ!

* * *

შენ ებღაუჭები თეთრ ქაღალდს, ამ დუმილს, რომელიც უნდა შეირხეს, რათა შენ აღიბეჭდო.

* * *

მხოლოდ ერთი საგანი კმარა, რომ დაინახო, მიიღო და შეითავისო ხელოვანის სამყარო. ეს იქნება ხე, ქვა, თუ ვარსკვლავი და შენ ხელოვანის შინაგან სახლში უკვე იცხოვრე და ისუნთქე.

შენთვის ეს კარები მუდამ ღიაა.

* * *

მუზა _ ის არც ქალია და არც კაცი.

ეს მზის სხივია, მოულოდნელად რომ გაანათებს გზას ერთ სწორ ხაზად.

* * *

გვარი ხელოვანისა: ცნობა ერთგვარი კანონის მუდმივ ქმედებისა მის მიღმა.

* * *

ძილქუში მიპყრობს. ასე ვვარდები დავიწყებაში, ასე მფარველობს ჩემი ანგელოზი და ტკივილს აძინებს.

* * *

პოეტი და მუზა:

_ ხედავ _ ვის? უსმენ _ ვის? ვინ _ ჩაგჩურჩულებს? ეს ვინ ქვითინებს? ვინ გაიოცა? ვინ გაიცინა ასე ხმამაღლა? ან ვინ შეჩერდა, უგრძნობელობით რომ ჩააქრო სიცოცხლის მზეები და წყვდიადში ინთქმება.

ვინ არის ფერთა ათასგვარობის, ტალღათა მიმოსვლის მდინარებაში რომ უძრავი _ მოძრაობით გიახლოვდება და თითქოსდა ხელით გეხება.

და ასე უსასოო სასოწარკვეთით შესცქერი შორეული გზის ბურანს, ვარსკვლავიანი ცის მუდმივ სიცივეს შერთული.

* * *

შემოქმედება:

_ ქარის დაბერვისას აშრიალდება ფოთლები. მწვანედ ღელვა სიცოცხლის მზეებს გიღვიძებს და შენში ტკივილი დაზამთრული, გათოშილ-მოგუდულ ყვავილებად ძლივს-ძლივს იშმუშნება.

გაუსაძლისი ტკივილი მოაქვს ფოთლების შრიალს.

სიზამთრეში მოყინული ყვავილთა ნელი კვნესით იღებება სიცოცხლის ხალისი.

* * *

შემოქმედება:

_ რაიმეს დანახვა შემაძრწუნებელია, რადგან ესაა სინამდვილის, ამ ულმობელი ტირანის პირისპირ დგომა.

და ეს ფეხმოუცვლელი დგომაა თავით ტერფამდე რომ გაგაშიშვლებს, საკუთარ გულს დაუნდობლივ რომ შეგაჭმევინებს, საკუთარ ტკივილს ვით სათამაშოს ხელთ აგაღებინებს და ფხიზელი თვალით ამ გიჟური მიმოქცევის ტალღაში შეგაყოვნებს.

და რა მტკივნეულია საკუთარი ტკივილის სათამაშოდ ქცევა, შენი საზღვარმოხსნილი სხეულის სამყაროსთან კავშირი.

უცებ შემოდის ქარიშხალთა ღმუილი, თოვლის სიცივის სითეთრე, ჩიტების გულისმომკვლელი ჟივჟივი, წვიმის სიკვდილივით სევდიანი უწყვეტობა, მთების პირქუში მედიდურობა და ა.შ. და ა.შ.

და ეს ყველაფერი ერთად მოზღვავდება და შენც იტორტმანებ, ვიდრე გეყოფა ძალა იტორტმანო და ესაა სულ, რასაც ვეძახით ხედვას.

* * *

ახლახან გაგიელვა აზრმა, ახლახან ბაგეს ებმოდა სიტყვა და იგი დაგეკარგა.

შენ არ შეგწევს იპოვო იგი და ისევ უნდა დაელოდო ღვთის საჩუქარს.

* * *

ხელოვანი:

_ შენი დანაშაულია, რომ ეს ქალი შეშლილია, ამ მოხუცს ასე უმწეო, მიტოვებული სახე რომ გააჩნია, ამ საცოდავ ძაღლს ასეთი სევდა რომ აქვს თვალებში, ეს დაღლილი კაცი ფეხზე რომ დგას ავტობუსში, სხვები კი თავიანთი, დასვენებული სახეებით, უტიფრად შეჰყურებენ.

შენი დანაშაულია ეს სამყარო, დანაშაული, რომელიც ისე გტკივა, რომ ჭრილობასავით თრთის შენი სული სამყაროს საგნებთან შეხვედრისას.

* * *

შთაგონება:

_ რა მანუგეშებს? რა მაიძულებს სასოწარკვეთილს, კოსმოსის უსასრულობაში უძრავად შეჩერებულს, სადაც თოვლის იისფერი სისველე და ვარსკვლავების თეთრი მტვერი ჩემთვის საწვდომი ხდება, სადაც გაშეშებულთ-მიმოსული სიცივე სულში ჩამესახება და ფერად ყვავილებად იშლება, ისევ წამოვდგე?

რა მაიძულებს ასე სასოწარკვეთილს ისევ ფეხზე წამოვიმართო? გზას გავუდგე და სიტყვებად ვაქციო ეს დიადი განცდა?

რა მანუგეშებს? რა მაიძულებს?..

ამისთვის ხომ ერთი ღიმილიც კმარა, ან მზის სხივის ლიცლიცი საგნებზე ასეთი მომჯადოები დამქანცველობით რომ ეფინება ჩემს სულს, ან ბავშვის გულდაწყვეტილი ტირილი ან...

ასე უსასრულოა იმ საგანთა ნამდვილობა, რაც მაბრუნებს სინამდვილის გულისგულში, უკუქცეული ტალღის დარად ზღვაში და ეს წამი იქნება საუკუნეებს რომ გაირბენს, წამი, თვალდახამხამებად რომ უჩანს ჩვენი ცხოვრება.

* * *

ნაწერში ღირებულია არა ის, რაც გამოთქმულია სიტყვებით, არამედ ის ძალა, უცნაურ წყობად რომ განალაგებს სიტყვებს და ამით მათ მაგიური ზემოქმედების უნარს რომ სძენს.

და თუ მაგიურ ძალას გამოვაცლით ამ სიტყვებს, ეს სიტყვები თითოეული ჩვენთაგანისთვის ის ცნობილი სიტყვები აღმოჩნდება, ლექსიკონის დიდ წიგნებში მკვდრად რომ ჩარჩენილან და უწონადოდ ამოვიკითხავთ.

* * *

თუ გულამდე არ დავიდა ტკივილი, თუ იმ საზღვარს ვერ გადავიდა, სადაც გონება-განსჯა ვერ არჩევს საგნებს, მეორე სიცოცხლე არ დაიბადება და ხელთ სიყალბე შეგვრჩება.

ადამიანის სულში უნდა გაიფურჩქნოს სულის ეს ყვავილი, მასში უნდა მოხდეს ვერასატანი ტკივილის გამყინვარება და მაშინ ამ სიცივის უდაბნოდან მოვლენ უმშვენიერესი სახეები.

სილამაზე ხელახლა დაიბადება და მშვენიერებად გარდასახვისთვის ყველას და ყველაფერს მოიშველიებს.

* * *

ადრე განუგეშებდა სიტყვა, მიახლოებით რომ გეხმიანებოდა, რადგან უსასრულოდ გრძელი გზის განვლა, გაშეშებული სულის ახმიანება ასე შემაძრწუნებელი მოსჩანდა შენთვის.

და დღეს, როცა სავსებით დაიფარე ამ შეძრწუნების ტალღებით, დღეს ასე გამძაფრებული სიძულვილით შეჰყურებ სიტყვებს, სიტყვებს ვერასოდეს რომ ვერ შემოსწერენ ამ გზის უსასრულობას.

* * *

ყოველი კაცი-ადამიანი თავის მეობას ქმნის, რათა სამყაროს წვდეს და თავი აცნობინოს.

მაგრამ, რამდენადაც მას სურს შეეხოს სამყაროს, შეეხოს ადამიანებს, მით უფრო შორდება სამყაროს, მით უფრო შორდება ადამიანებს.

რადგან იდუმალებას ისევ იდუმალების გზებით აფორმებს _ იქმნის მსოფლიოს თავის მზეებით, ვარსკვლავებით, ხეებით თუ ცხოველებით.

და ბოლოს, მისი უსასრულო სევდა _ ვით მზით განათებული გზის უკუმხარე ადამიანთა უსასრულო და მრავალსახა რიგების იქით იწვდომებს ერთადერთი და მჭვირვალე ცრემლთ მდინარებას, ყოველივეს რომ ცნობით გაამთლიანებს.

* * *

არ ვფიქრობ, არ განვიცდი, არც ინტუიციას ვიშველიებ. უბრალოდ ვიღებ კალამს და იგი თვითონ მოძრაობს ჩემს ასამოძრავებლად.

* * *

შენ გსურს ისაუბრო ადამიანურ ტანჯვაზე, შენ გსურს განჩხრიკო ტანჯვის მიზეზნი, შენ გსურს აჩინო ქრისტეს ლურსმანი თითოეულ კაცთან რომ მოიძიებ და შენ საოცარი სირცხვილი გიპყრობს, სირცხვილი, შიშველი წარსდგე მოყაყანე ბრბოს წინაშე.

უნებურად გახსენდება ექსცენტრიკულობა ხელოვანთა, ფილოსოფოსთა, მსახიობთა.....

* * *

_ ნამდვილი კითხვის პირობა:

_ როცა ვიღაცის ნააზრევს მეტისმეტი გულმოდგინებით მივსდევთ, საკუთარი აზრისთვის ადგილი აღარც კი გვრჩება.

და ისევ ზომიერება უნდა აირჩიო, ის შუალედი ძილ-ღვიძილს შორის რომ გადის და სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარს შეგვაგრძნობინებს. ასე ნახევრად ფხიზელი მიჰყვები, და თან თავად შენ მიადინებ ვიღა-ცის ნააზრევს, მის მდინარებას.

ასე კითხულობ არა სხვის წიგნს, _ ასე აკითხებ ამ სხვას შენს საკუთარ შინაგან წიგნს.

* * *

ხელოვანის გზის გამოხატულება:

აზრი არ არის დასრულებული, გრძნობამაც თითქოსდა ვერ მიაღწია თავის ზღვარს და ფარდა კი უკვე ჩამოაფარეს.

ხელოვანის სუნთქვაში ჩადებულია «გამოუთქმელის მთლიანობა», ასე ფხიზლად რომ დარაჯობს ღვთის ფარდას.

* * *

ასე უსასრულო და უნაპირო რომ გეგონა შენი სასოწარკვეთა, თითქოსდა გათავდა _ თითქოსდა ზღვა გადაგელახოს და ახლა კი ნაპირზე ისვენებ. ისვენებ და ჩაგესმის რა საოცრად მღერიან იის სურნელით მოგვრილ სევდაში ვერცხლისფერი ხეები.

ასე გასაჩუქრებს შენი ღმერთი _ რომელმაც შენს მარტოობის უდაბნოში დავანება და გაძლება გაიხარა.

* * *

შენ მოძრაობ რაღაცით შეპყრობილი. წამი-წამად დაეძებ სათქმელს, ხოლო მიზანი დაფარული რჩება შენთვის.

ის გამოძრავებს და იქნებ მხოლოდ მანამდე, ვიდრე შენ მას შეიცნობდე.

* * *

წერის სირთულე:

კრთის სული და წამის მეათედიც კი არ არის დრო, სული რომ დილემას შემოსწერს.

სუფთა ფურცელი თუ უსასრულობა?

სუფთა ფურცელი – სამყაროში იდუმალებით დასაზღვრული დრო სივრცეა თავისში, რომ გიმწყვდევს, ბორკილებს გადებს და შენ შენი თავის დამსაზღვრელი ხდები. აი აქ, ამ დრო-სივრცეში შენში ღმერთი გამოისახება და განითქმება.

უსასრულობა – შენში შენი მეს ის საზარელი ესასრულობაა, ის უსაზღვრო თავისუფლებაა, მუდმივი სკეპსისით რომ ეკიდება ნებისმიერ შენს დასაზღვრას. **ეს ნიშნავს - შენ არ გინდა იყო შენ, - შენ გინდა იყო არავინ, - ამ უსასრულობის ფარდი.**

წერის პროცესი კი სხვა არაფერია, თუ არა ქანაობა არსებობისა და არარსებობის ამ ზღვარზე. ქანაობა, სუფთა ფურცელსა და უსასრულობას შორის.

კრთის სული და წამის მეათედიც კი არ არის დრო, სული რომ დილემას შემოსწერს.

* * *

როცა დიდი ხნით წერას თავს ვანებებ, ჩემს წინაშე საოცარი გამყარებულ რკალებად აღიმართებიან ის მოთამაშენი, _ მოთამაშენი სიცოცხლის ჩემს ძარღვს

სხვათაგან შეუვალი და გულგრილი კედლით რომ იცავენ. ის, მოთამაშენი, ჩემს სულს ასე უძრაობით რომ აარაფერებენ.

და იმართება ისევ ის ბრძოლა, რაც ათიათასჯერ გადამხდენია, და თუ დამცალდა, კიდევ ბევრჯერ უნდა გადამხდეს.

* * *

განა პარადოქსი არ არის, რომ ჩვენ გიჟს ვუწოდებთ ხელოვანთ, ფილოსოფოსთ, მეცნიერებს... ვინც ამ სამყაროს ღვთიური სხივით ამთლიანებს?

მაგრამ თუ მხოლოდ და მხოლოდ გიჟური ქროლვით ისმინება საგანთა, საზღვარმოხსნილ საგანთა ღიაობიდან მონაბერი მუსიკა?

და დგას ის სიგიჟის ზღვართან, დაუცველი და უბედური და შენ კი უმადური, მისი ხელით ღვთიური სხივის მარადიულობას ისუნთქავ.

სინამდვილეში ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ ეს სამყარო იმიტომაც არსებობს, რომ ის გიჟია.

* * *

კაცობრიობა ისმენს და ისმენს, გაუთავებლივ არდავიწყების ფურცლებზე ინიშნავს გიჟთა ნაამბობს.

პარადოქსი _ თუ გიჟია, ვინ უნდა დაუჯეროს მის საუბარს?

მაგრამ არა, თქვენ ცდებით, ყველაზე მეტად ხომ მათი საუბარია სარწმუნო, რადგან სიგიჟე ღვთის ფარდაა, _ რითაც ჩვენ «საღ გო-ნებასა» და «ბრმა თვალებს»ღვთიური საიდუმლო გვემალება.

* * *

წერა, ეს არის შენი სულის ტანჯვიანი მონახაზები, მკაცრი სიზუსტით რომ ასახავს სინდისის შენს მოუსყიდველობას. მაგრამ, ვაი, რომ მაინც ბუნდოვანი ნიშნებით იფარები, რადგან შენს ნამდვილ სათქმელს მუდამ ურღვევი მიუძღვება, რომლის ასავალ-დასავალი თავად არ უწყი.

* * *

სიტყვა, ხშირად თვითონ თავისი ხმიანობით მიიკვლევს გზას სხვა სიტყვებისკენ ისე, რომ აზრი არ უწყის თვითონ გზამკვლევმა.

ეს აზრი უკვე დიდი ხანია ფარულად თვლემდა ავტორის მიერ დაბადებულ ახალ ენაში, მის სამყაროში, თავის სულიერ მდინარესა და შინაგან სახლში და ამიტომაც საკმარისი იყო პრეტეხტე _ ერთი საგანი ან ერთი სიტყვა, რომ ედინა სულიერ მდინარეს, შინაგანი სახლი გახსნილიყო, შინაგანი ენა ამოძრავებულიყო და ასე არაცნობიერად, ძალდაუტანებლად ამოეტანა დიდი ხნით ფარულად მთვლემარე აზრი.

* * *

ხელოვანის უფლება:

უფლება გეძლევათ ისაუბროთ!

დუმილი, ვიდრემდე ჭრილობიდან აღმოცენებული სინდისი ხმას არ გაიღებს.

* * *

შემოქმედება:

_ ნამდვილი შთაგონების კვალს ყოველთვის შენში არსებულის, ვიღაც უცნობის აღმოჩენასთან მიჰყავხარ _ რაც უცხო საგნის აღმოჩენით სრულდება.

შენ და ვიღაც უცნობი ან რაღაც უცხო საგანი.

შთაგონებით, _ ამ ყველაზე განსაცვიფრებელი აქტით, შენდამოულოდნელად ხდება შენს თავში მოძიებული განძით შენს თავზე აღმატება და სინათლის, ამ თვალისმომჭრელი სიცხადით თვითცნობა.

* * *

გენია მზედ ამთლიანებს დაფანტულ და დაცალკავებულ ადამიანთა სულებს.

თითქოსდა, ღვთაებრივი შარავანდედი ხელახლა ეფინება სამყაროს პირველქმნილ ქაოსურ უფორმობას და იგი იქცევა ყოველივე იმად, რაც იყო, რაც არის და რაც იქნება _ ყოველივე იმად, რაც ხილულია და უხილავი _ იკვრება დარღვეული კავშირი და დიდი სინამდვილე ხატებად ლაგდება კაცობრიობის მეხსიერებაში.

* * *

ცრემლი, რომელშიც აისახება ყოველი.

ეს არის ხელოვანის ის ცრემლი, რომელიც მან ციდან დაბადებით მოიტანა დედამიწაზე _ რათა ციური სამეფოს ძალით გაამთლიანოს დედამიწაზე დაფანტული საგნები.

* * *

ფიქრი დაქანცული _ ვით სიზმრის ღიმილი. სულის აღტაცებული, მსუბუქი ფრენა _ იისფერიდან ვერცხლისფერში რომ გადადის.

ასე არაცნობიერად აფორმებს ხელოვანის ხელი სათქმელს ისე, რომ მან, ხელოვანმა ჯერ ასე ცნობიერად, გონების სამზეოზე ვერ გამოიტანა სათქმელი.

და ხელოვანს მხოლოდ მანამდე ძალუძს წეროს, ვიდრე ნაივურობა სჭარბობს მასში, _

ნაივურობა _ ყოველგვარ სიცოცხლის დინებასთან მიმყვანი.

* * *

შემოქმედი:

_ ბნელში მოსიარულე კაცია იგი, წინ მიდის და არ იცის, გზის დასასრულს მიუახლოვდება თუ დაშორდება. არ იცის, უსახო ქაოსი თუ გადაიქცევა ნამდვილ საგნებად. არ იცის, თავისი ნაფიქრი ბუნდოვანი ნისლით დაფარული თუ შეიქმნება სამყაროდ.

* * *

ნაწარმოების სიცოცხლე მაშინ იგრძნობა, თუ სიტყვები იმ პირვანდელ სუნთქვის სიმრთელეს ინარჩუნებენ, რაც ხელოვანის წრფელი, ერთადერთი გზიდან ამოდინდება. ხელოვანის გზა მზის სხივის დარად სწორხაზოვნად გადაკვეთს სამყაროს უსასრულობას. ლოგიკის ენაზე ეს ასე ითქმის: ხელოვანის სამყარო ნამდვილია თუ ერთადერთი, მაშასადამე, აუცილებელი მნიშვნელობით აერთებს

ყველა საგანს, რაც ნიშნავს, რომ სიტყვებს მხოლოდ მზის სხივის სწორხაზოვნებით აერთებს და ანათებს.

* * *

მიხურული ფანჯრიდან ვხედავდი ქუჩას, მოშრიალე ვერხვებს, ცის სიცისფრეს, ადამიანებს, ერთმანეთს რომ ესაუბრებოდნენ.

გამოვაღე ფანჯარა და მის სიღრმეში მხოლოოდენ ჩემი სილუეტი აისვეტა.

* * *

გადამკვეთი ხაზები:

_ ერთგვარობაში უსასრულო კოსმოსის მოძიება. სეზანი თავისი «ვაშლებით», სებასტიან ბახი თავისი ფუგებით.

* * *

მწერლის გამოუქვეყნებელი დღიურის ფურცელი:

შენ არ გსურს წერა, შენ არ გსურს შეირხეს სული იგი გაყინული და გაშეშებული.

და შენ უნდა წამოდგე და შენ უნდა შეირხე.

მჭკნარი ფოთლის ამაო შერხევა.

* * *

რაღაც ურღვევი მიუძღვება შენს მეხსიერებას და ქმნის იმად, რაც რომ ის არის.

რა ბუნდოვანია მისი ასავალ-დასავალი, მაგრამ რა ახლობელი და ნაცნობია ეს ნათელი.

და თუმც ყველა მოაზროვნესთან, ყველა ხელოვანთან ვგრძნობ ამ ურღვევის ერთდაიგივეობას და მაინც ვერ სცნობ, რადგან სიზმარში მოსაუბრეს ისევ სიზმარში გტოვებს.

* * *

აი გადმოაპირქვავე ეს თასი დღევანდელი, რათა გეხილა თუ რა დატოვე.

და შენ ხედავ, რომ ერთი ყლუპი მოგისვამს. ერთი წვეთი უსასრულობისა და ისევ, პირქვედამხობილი, ქვითინით დაღლილი, სამყაროს მიერ მოთავაზებულ ახალ თასს დაელოდები.

* * *

ამ წამს მოსმენილი სიტყვა შენს განწყობილებაში ჩამოვარდნილი, ვით მარცვალი მიწაში ჩათესილი, _ ხედ, ყვავილად თუ ბუჩქად გარდაქცეული.

* * *

არის უბედურებაში რაღაც აღმტაცი, გამორჩეულის ხვედრი, გზის მანიშნი სამყაროს შესაცნობად. ნახტომი _ მარადიული ბედნიერებისკენ. წამი _ საუკუნედ რომ იქცევა, შხამი _ ბანგად რომ გარდაისახება.

* * *

ყველა რელიგიის უპირობო მოთხოვნაა, _ ადამიანი არ განისაჯოს, თუმცა დოგმა უკვე უარყოფს ამ უპირობო მოთხოვნას და მხოლოდ ხელოვანს თუ ძალუძს განუსჯელად მიუდგეს ადამიანს.

განუსჯელი მიდგომა ადამიანისადმი შეგვაძლებინებს ვწვდეთ მის რაობას, ვით რაღაც მთელს და მის სუნთქვას მოვუსმინოთ, რაც მის სამყაროს ამოძრავებს და სინამდვილის გულისგულს მხოლოდ ამგვარად თუ მივუახლოვდებით.

* * *

შენ ყველგან «სიცარიელეს» ჰპოვებ და წერ ამის შესახებ. ისინი კი სხვადასხვაგვარი «სისავსით» აღიქვამენ შენს ნაწერს.

* * *

პოეზიის დასაზღვრა:

_ ნამდვილ საუბარს ამოჰყვება ეს სიზმარეული ყვავილები, ეს სიტყვები, ასე რომ მიუყვებიან ზმანების ბანგს, ასე რომ გითრევს და გიმწყვდევს სინამდვილეში, ვით ტირანი.

* * *

ხელოვანის გაოცება:

_ სასოწარკვეთილი ნებისმიერ საგანს ეჭიდები და ცდილობ ამ საგნებით, შენს ნაწერში გამოხატული საგნებით შენი სულის, ცრემლებით სავსე სულის დაფარვას.

ისინი კი შენდა გასაოცრად სასიამოვნო, რაღაც მხიარულ და გასართობ სიმღერებად აღიქვამენ შენს ნაწერს.

* * *

ხელოვანი:

სიყვარულით განათებული და გამთბარი გული ულმობლად უარყავი?

რათა თავი მიგეძღვნა შენი უბედურებისთვის?

უბედურების ამორჩევა სულიერი სარკის შესაქმნელად?

და ცხადად ხედავ, შენი გათოშილი სული, და გაყინული გული თუ რა «გასაოცარი სიზუსტით» ემსგავსება ნებისმიერ საგანს _ რათა დაივიწყოს თავისი უბედურება, შეიყვაროს ნებისმიერი საგანი _ და არა საკუთარი თავი და საკუთარი ბედნიერება.

* * *

შენ სულიერად დაიბადე _ ეს კი ნიშნავს, რომ შენ შენი ახალი ენა შეჰქმენი და როცა შენ სუნთქავ სამყარო დაუფარავი სიცხადით ყველაფერზე მოგითხრობს.

* * *

ადამიანები ჩვენთვის დაუნახველი გზა-ხიდებით აგრძელებენ ერთიმეორის სათქმელს, თავიანთი სამყაროდან სხვა სამყაროებს უკავშირდებიან და ესაუბრებიან.

ხშირად ვპოულობთ ამ გაპასუხების ნიშნებს. მაგალითად, ვან-გოგი თავის წერილებში იხსენებს, რომ კორომ სიკვდილის წინ სიზმრად პეიზაჟი იხილა ვარდისფერი ცით და, ალბათ, ამ სიზმრით კორომ იმპრესიონისტთა სამყაროები იწინასწარმეტყველა და სულისმიერი ხელი შეახო.

* * *

ხელოვანის გაბერწება:

ბედნიერი დღე!

და მან იცხოვრა აწმყოს სისავსით, მომავლის ხალისიანი მოლოდინით, წარსულის მოგონებებით და არა დაიტოვა რა აზრის წყაროდ _ სიცოცხლის გასაგრძელებლად.

* * *

პოეტის აღსარება:

_ აზრი სიცოცხლისა, ჩემი სულის მამოძრავი, ნახევრადცხადად მემალება სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად.

* * *

როცა ისინი კითხულობენ შენს აზრებს, ვერაფრით ვერ წარმოიდგენენ, რომ მათში ჩამარხულია შენი ქვითინი, შენი ნაზი, სევდიანი ღიმილი ცის მიმართ, ცის სიცისფრე, ქარის შარიშური, ფანჯრებმიხურულ ოთახში წვიმის შხაპუნად რომ ჩაგესმა, შენი სულის მოძრაობის შეუსვენებლობა, ვიღაცის გამოხედვა, ვიღაცის გაბრაზება და ეს ყველაფერი მშრალი, უგრძნობელი აზრებით გამოხატული და დაფარული.

* * *

აზრი მოედინებოდა შენი სულიდან და უცებ ის გაწყდა.

ვიღაცამ შენი მდინარი სულის წყარო გადაკეტა, ვიღაცამ შენი მზეები ჩაასვენა.

* * *

ხელოვანის დიდება:

_ შენი უმწეობა ერთ დღესაც რომ შენს სიდიადედ მოგევლინება.

* * *

თანმიმდევრობა ხელოვანთან:

_ გამოჩნდა ვარსკვლავების თეთრი მტვრით დაფარული იისფერი გზა, გამოჩნდა ქარის უხმო მელოდიად მღერალი ვერცხლისფერი ხეები, გამოჩნდა უდაბნო, გამოჩნდა წყვდიადში შთანთქმული სამყარო და ბოლოს აქვე, კაცი, მიწაზე პირქვე დამხობილი და მოქვითინე.

* * *

შენ ისუნთქე, შენ იცოცხლე.

ისინი კი, თავად გაარჩევენ, როგორია შენი სუნთქვა.

* * *

შედევრი დიდი სინამდვილის მატირანიზებელი ძალისხმევით ჩაგვაგდებს დაფარულის საიდუმლოებაში, აგვიხელს სულის თვალს და მაშინ დავინახავთ, რომ მშვენიერება სხვა არაფერია, თუ არა ჭეშმარიტების განსხეულება, თავისი ძალმოსილებით სიკვდილის პირქუში უფსკრულის წინაშე, რომ დაგვაყენებს, სადაც მზის სიცხადის პირისპირ გაგვიტარებს დიდი სინამდვილის ხატს და მაშინ ახელილი სულის თვალის წინაშე სამყაროს იდუმლად ახლობელ ამ დინებასთან, ზღვარგადაცლილი საგნები ამეტყველდებიან და თავიანთი **არსებობით აღარ დაფარავენ არსს.**

ამიტომაც, პარადოქსი სულაც არ არის, რომ ყოველი დიდი ქმნილება ყველასთვის უკვე კარგად ნაცნობი ქმნილებაა, ჩვენში ფარულად მთვლემარე დიდი სინამდვილის ამომტანი და განმთქმელი.

* * *

მწირად მხედველი:

_ შენ კი მომისმენ, დამიგდებ ყურს და იპოვი მარცვლებს _ ბაღებად, ტყეებად თუ მზეებად რომ მოგევლინება.

მე კი რა?

ჩავყურებ ამ მარცვალს, დავთესავ ამ მარცვალს, მოვიმკი ერთ უფერო და უსუნო ყვავილს, ჩემს ცრემლს რომ მოაგავს და არც მოაგავს და ასე გრძელდება ათასწლეულები.

* * *

სად წაუხვალ იმ სიმართლეს, რომ ზედმეტი სიტყვა ეს არის უმთავრესი თითქმის ყველა გამოჩენილ მოაზროვნეთა ნაწერებში.

ყოველი ხელოვანი თუ ფილოსოფოსი ცდილობს ქრისტეს დარად ზღვა ფეხით გადასეროს _ და არსად ჩაიძიროს.

თუმც ნებისმიერი ნამდვილი შემოქმედება სწორედ პეტრეს მიერ ზღვაზე იესო ქრისტესადმი გადადგმული მხოლოოდენ რამოდენიმე ნაბიჯია. სწორედ ეს არის ბირთვი, მამოძრავი ხელოვანისა თუ ფილოსოფოსის შემოქმედებაში, სადაც ის იდუმალებას შეეხო, ამოიტანა იდუმალების სიზმარეული ყვავილები, თუმც შემდგომ პეტრეს დარად ჩაძირვა დაიწყო.

ზედმეტი სიტყვა სწორედ ეს იმ დარჩენილი გზის ხელოვნური გაგრძელებაა, სადაც ხელოვანი თუ ფილოსოფოსი ვეღარ მიდის. _ ის კი ცდილობს თავისთავში მოქმედი პეტრე, ქრისტეს დარად ზღვის უსასრულობის გადამლახავად, წყლის ზედაპირზე მოსიარულედ წარმოგვიდგინოს _ ანუ თავისი რწმენა ღვთის დაუსრულებელ რწმენას დაამსგავსოს.

საკუთარი თავის მქადაგი _
_ ერთ ადგილზე მხტომი

* * *

ვფიქრობ, არასოდეს მიაზროვნია. პატივმოყვარეობამ კი მიმიტყუა და წამჩურჩულა:

აი მათ, ამ შენს დარღვეულ ტკივილს, უწოდე აზრები.

ცოდვა დიდი არს, არც სასჯელია მცირედი.

ასე იღუპები შენი უბადრუკობის ტანსაცმელში გამოხვეული.

* * *

ერთადერთი მქადაგია ნამდვილი _

_ საკუთარი თავის მქადაგი.

* * *

მქადაგის წინააღმდეგობა:

_ შენ მათ თავმდაბლობას ასწავლი, თავშეკავებისკენ მოუწოდებ, ცდილობ სიწმინდე იყოს მათი ლამპარი, თავად კი შენ ძლივს უმკლავდები შენს უბადრუკობას და მხოლოოდენ ქადაგებას ახერხებ.

* * *

პლატონთან პლატონია ჭეშმარიტი, არისტოტელესთან არისტოტელე და შენ თავთან კი შენ.

* * *

ყურს უგდებ შოპენჰაუერს თუ ჰეგელს, კაფკასა თუ ბალზაკის ხმას, მათ წინაშე განუსხვავებელ თავმოდრეკით ყურისგდება გმართებს და მათი სამყაროს სივრციდან დაუცილებლად, კითხვა-პასუხთა მიღება.

* * *

თითოეული შეგონება ცოცხლდება და სუნთქავს შემგონებლისთვის, _ რადგან მან უკვე გაიარა შეგონების საპირისპირო გზა, _ ის დაეცა, _ შეცდომა დაუშვა, გადახაზა შეცდომა, სძლია თავისთავს და აი, შეგონებაც შემოხაზა.

სხვისთვის კი, ის უბრალოდ მითითებაა ერთ გზაზე, იმ ერთ გზაზე, რომელსაც ათასი გზით შეიძლება მივადგეთ.

* * *

ცოდვას, რომელიც ასე შემოგეჩვია, აღარც კი თვლი ცოდვად.

* * *

აღარაფერს ძალუძს შენს სულს შეეხოს. აღარაფერს შეუძლია იმგვარად შენი დამხობა, რომ ვეღარ წამოდგე. იმგვარად უარყოფა შენი მეობისა, რომ უკუშექცევით არ გამთლიანდე.

და ეს ჩაკეტილ წრე-ბრუნვაში ტრიალს მოაგავს, იმ წრეში ტრიალს, რითაც შემოიწერა იდუმალებით შებურვილი შენი მეობა, რომლისგანაც ვაი, რომ აღარასოდეს აღარა გაქვს ხსნა.

* * *

მწერლობა:

_ ვის წინაშე უნდა წარსდგე?

ისევ და ისევ საკუთარი თავის წინაშე _ იმ მეორე «მე»-ს წინაშე ღვთაებრივ ფარდას, რომ შეარხევს, რათა იქიდან გამომდინარე შემა-შინებელი სინათლით დაიფაროს და აღივსოს.

მაგრამ, როცა გსურს გამოთქვა ეს კაშკაშა სინათლე, ხელთ არაფერი გრჩება.

სასოწარკვეთილი და შეშინებული იმ ცხოვრებისეული ამბებით იმოსები, ამ წამს შენს სულს ჭრილობა, რომ მიაყენა, რადგან ამ კაშკაშა სინათლის ძალისხმევით დაეჭდო შენს სულს ეს ჭრილობა.

და ასე ბუნებრივად შენი სისხლი სინათლით ივსება.

შენც ამ სისხლით წერ და ასე აქცევ შენს სათქმელს ღვთაებრივის ბუდედ.

და, როცა გინდა დასაზღვრო შენი საქმიანობა, ხვდები, რომ შენ ის კაცი ხარ საწერკალამით, რომ ცდილობს ამ გასაოცარი ფარდის გადაწევას, ამ კაშკაშა სინათლის წინაშე წარსდგომას და ბოლოს ისევ და ისევ ცხოვრების სურათებით თავის დაფარვას.

* * *

რასაც უნდა ვაკეთებდე ჩემი თავისთვის, განუშორებელი «მე»-ს გასაარსებლად ვიღვწი.

სიკეთისათვის გადადე თავი და შენ, შენ, შენ _ ხარ კეთილი.

ბოროტებას მინებდი და ისევ შენ, შენ, შენ _ ხარ ბოროტი.

მაშ იყავ კარგი, იყავ კეთილი.

* * *

შენ აქ ხარ! აქ, დედამიწაზე!

შენ დაიბადე! შენ ცოცხლობ! შენ მღერი! შენ მუშაობ! შენ კითხულობ!

ერთ დღესაც მოკვდები!

მაგრამ შესაძლოა ეს ვერავინ შეიგრძნოს!

შენ დალუქულ ყუთში ცხოვრობ, შენი სული ამ დალუქულ ყუთშია გამომწყვდეული და შეიძლება შენ ვერავინ ვერ შეგნიშნოს, _ ვერავინ ვერ დაგინახოს.

იბრძოლე მთელი არსებით ამ დალუქული ყუთის დასამსხვრევად.

* * *

როცა შენს სულს სინათლე ეფინება, შენს თავში მოქადაგე იბადება და წარმოთქვამ:

_ ყოველი წამი და ყოველი დღე უნდა იყოს ჩემი სიცოცხლის წვდომის ჟამი და მხოლოდ ამ დროს ვიქცევი მე არსებულად _ ვიქცევი მე «მე»-დ.

და რა დაუჯერებელია, რა უგონობაა, რომ შენ ყველაზე ძნელად აღსასრულებლად სწორედ ეს გეჩვენება _ ნაბიჯის გადადგმა საკუთარი თავის გასაღვიძებლად.

* * *

ცოდვა, რომლის სიღრმე მსურს განვწონო. პატარა ცოდვა _ ვამბობ მე და მნიშვნელობა დაკარგული ცოდვა სპეტაკდება.

და როგორ მაშინებს ჩემში ამ ცოდვის დაუნახაობა?!

* * *

როცა სამყაროს შეჰყურებ, გსურს ერთ მთლიანობად წარმოიდგინო იგი.

_ და რა არის ეს?

შენი არსება _ სამყაროს ეს დიადი აზრი, აუცილებელი და ერთადერთი.

* * *

რამდენიც არ უნდა ირბინო, რამდენიც არ უნდა ილაყბო, რამდენიც არ უნდა იჭორავო, ვერსად დაემალები შენს უბადრუკობას, ამ შენს მოსისხლე მტერს, რომელიც შენს თავში შენ თავად გამოზარდე და რომელიც გაიძულებს ამდენი სირბილითა და გამოგონილი საქმეებით შენს თავს ზურგი აქციო და სამუდამოდ დაივიწყო, რომ ტკივილის დაძლევა და არა მისი უარყოფა არის შენი გზა.

* * *

სიცოცხლე შენთან:

_ შენ მოიპოვე მარცვალი იგი, შენ არსობას რომ მოაგავს და ასე ამ მარცვალს ჩაჩერებული თეთრ ფურცელს ეხმიანები.

* * *

სოკრატე გვაიძულებს დინჯად, დაკვირვებით წავიკითხოთ წარწერა დელფოს ტაძრის ფრონტონზე:

შეიცან თავი შენი!

მაგრამ დღეს ადამიანი ისეთ უსასრულო გზებს აღმოაჩენს თავის თავში, მისი გაათასმაგებული თვალი ისეთი საზარელი დაკვირვებით აქუცმაცებს თავის თავს, რომ ის კითხულობს:

- სოკრატე, ვინ არის ის, ვინც უნდა შევიცნო?

ვიღაც, რომელსაც ესიზმრება სიზმრები, ვიღაც უგრძნობელი, ამაოებათა თამაშში ჩართული. ვიღაც რომელიც უარყოფს ამაოებას, ვიღაც, რომელიც ოცნებობს და ისმენს ნისლის მუსიკას.

ამ ვიღაცეების, ამ ქიმერული უსასრულობის საერთობას ეძიებ, ჩემო სოკრატე?

* * *

ადექი! _ ასე ჩავყვირი ჩემს თავს _ რათა განვიცხადო, თუ რამდენად ცარიელია ჩემი სული, რამდენად უგრძნობელია ყოფა ჩემი, და უაზროა _ აზრი ჩემი.

მაგრამ, ვაი, რომ ჩემი სიბრმავე და უგუნურება ისე განუზომელია, რომ მე არ მაშინებს ჩემი სულის სიცარიელე.

* * *

ხშირად ვგრძნობთ, რომ ერთი ენა, ვით ერთი ტალღა მოგვაქცევს ქუჩაში შემხვედრ ადამიანებთან და მაშინ ვგებულობთ უცნაურ ამბებს ჩვენი თავის შესახებ.

და ხვდები, იდუმალი სარკე ბუნდოვანი ნიშნებით რა დაფარული იყო.

* * *

მწერლის გზის სისასტიკე:

პირველი სიტყვა შენგან დაძრული, მაინც შენი ცხოვრების ახლანდელობას და ამ ახლანდელის მტკივნეულობას ასახავს, როგორც არ უნდა გინდოდეს მისგან უკუქცევა.

* * *

თანამედროვე ხელოვანი:

აღარაფერი მომეახლება ისე ახლოს, არაფერი არ შემენივთება იმგვარად, რომ ჩემს უბადრუკობაზე ავმაღლდე.

* * *

ჭეშმარიტი მქადაგის სიტყვა:

_ ერთი ფიქრი, ერთი ცრემლი, ერთი ღიმილი _ ყოველდღე მათი მოპოვება _ გაჩუქება, მშვენიერებასთან მიახლება.

აი, ეს არის ადამიანის სავალი გზა.

* * *

მისი უსასრულო გზებზე მოხეტიალე და უსაზომო ტანჯვით პყრობილი სული, ხშირად ერთადერთი აბსტრაქტული ფრაზით გვეჩვენება.

ჩვენს წინაშეა ცნობილი კრებულის «აზრების» ავტორი.

ნამდვილი მკითხველი ის იქნება, ვინც განჭვრეტს, თუ რა დიდი პოეტი მოაკვდინა თავის თავში ავტორმა, მოისმენს ცის უსასრულობისა და ვარსკვლავთ ცივი ნათების მუსიკას, თუმც ნაწერში ამის შესახებ არც არაფერია ნათქვამი და მხოლოდ სიტყვებს შორის მოქცეულ დუმილშია ჩასაიდუმლოებული.

მიხვდება, თუ რამდენი უნდა ემოგზაურა ავტორს, რამდენი ცხოვრებისეული ტკივილი უნდა ეწვნია, რათა, ბოლოს და ბოლოს, სულის იდუმალი ხვეულებიდან ხასიათის უმთავრესი შტრიხი ამოეტანა და ერთადერთ ფრაზად ექცია.

დიახ, უეჭველია, რომ ნამდვილი მკითხველი მიხვდება, რომ ავტორის იქით უნაზესი პოეტი იმალება _ პოეტი, თავის თავდავიწყებას მეტისმეტი სინდისიერებით რომ ჩასჩერებია და ცივი გონების მოხმობით ნაჯახისებრ აქუცმაცებს გრძნობათა ქარტეხილებს და მათ მშრალ აზრებად დაალაგებს ჩვენს წინაშე.

* * *

შენ ვერ შესძლებ ტკბილხმოვანი სიტყვებით სულის აჟღერებას, რადგან შენი სული თამაშით ირთობს თავს და თავისი სიმჩატით იმკის სიბერწეს.

* * *

დღეს ისევ აღზევდა ცხოველი, ათასი წელია რომ დაძლეული გეგონა.

აღზევდა ცხოველი და შენ მიხვდი, რომ ბრძოლა მარადიულად გრძელდება.

* * *

მხოლოდ შენ შეგწევს შენი სულის გამოსახება, და ამიტომაც ამ გაუკვალავ გზას შენს გარდა ვერავინ გაივლის. მხოლოდ შენ, შესძლებ შენი ცრემლთ-მდინარით დედამიწის მორწყვას და ხელახალი სულის ჩადგმას.

* * *

ვინ გეკუთვნის: _ მხეცნი თუ ანგელოზნი?

ვინ-მეთქი?

თავად შენმა სულმა უპასუხოს და ეს პასუხი სარკედ შეიქმნება შენთვის.

* * *

ცოდვილი სულის ლხენა, მონანიების იმედით, თავისი უბადრუკობის თავმომწონე აღიარებით, ცოდვის სიმძიმის გაუფასურებით.

როგორ აღვიდგინო ცოდვის სიმძიმის შეგრძნება? როგორ ვისწავლო ცოდვის ხელახალი დანახვა? ცოდვის შიში? შეძრწუნება ცოდვათა ჩემთაგან?

* * *

თავისთავისადმი პატივისცემა პიროვნების ის საყრდენია, მისი სამყაროს საწყის-სასრულად, მისი ქმედების შეფარულ მიზეზ-შედეგად რომ გვევლინება.

კაცი _ ვის წინაშეც ქმნი რაღაცას, _ ეს ისევ შენ ხარ!

კაცი _ ვის წინაშეც უნდა სცოდო, _ ეს ისევ შენ ხარ!

კაცი _ ვის წინაშეც უნდა ებრძოლო ბოროტს, _ ეს ისევ შენ ხარ!

კაცი, _ ვის წინაშეც სიკეთე უნდა სთესო _ ეს ისევ შენ ხარ!..

* * *

გეცოდებოდეს, რადგან დღეს ის ქურდია, გეცოდებოდეს, რადგან ის დღეს მეძავია, გეცოდებოდეს, რადგან ის დღეს მკვლელია.

გეცოდებოდეს და გეწყალებოდეს. ვინ იცის, ეს შენ უნდა ყოფილიყავი, ღმერთმა კი ხელი გადაგაფარა და გადაგარჩინა.

მისტიური მსჯელობა

* * *

თვალს ავახელ, ნისლის ბურანში მეოცნებედ, იისფრად გაშეშებულ ხეებს ვკიდებ თვალს, თუ სულში ჩავაბრუნებ დახურული თვალის მზერას, _ ორგანვე ის ნაზი გაშეშება და გარინდებაა.

* * *

რა მარტივი და გასაგებია უსიტყვო აზრები. რა კარგად ვწვდებით «აზრს», ოღონდაც გამოთქმა თანდათან გვაშორებს სინათლესა და სიმარტივეს.

იწყება ბუნდოვან, მთვარეულ-ნისლოვანი ტყეთა ლანდები.

* * *

ის, რაც ბუნებისთვის უნებური ჩასუნთქვა-ამოსუნთქვაა, ადამიანისთვის ტანჯვაა, ენით უთქმელი ტანჯვა. და როცა მას გაუცხოებით, გონების თვალსამზერიდან ვჭვრეტთ, იმედგაცრუებულნი აღმოვაჩენთ, რომ ამაოდ, სულაც ამაოდ ვცდილობდით მისგან სავსებით განთავისუფლებას და მხოლოდ ადამიანურის შიშველი ხელებით თვითქმნას.

* * *

ქარიშხალი დაჰქრის... აწყდება სახლების კედლებს, ბოროტი ხარხარით არხევს ხეებს და მჭკნარ ფოთლებს აშარიშურებს... ღრუბლებს ერეკება... ჩემს გულს კი დაუნდობლად გარდასახავს ყოველივე იმად, რაც გზად შეხვდება.

* * *

ვიღაც გასწავლის, რომ სიხარული და სევდა შენი ფანტაზიის წყაროა, ვიღაც გასწავლის, რომ სევდით მისწვდები და შეერწყმი სამყაროს, ვიღაც გასწავლის, რომ ბოროტება აუცილებლობაა.

ვიღაც გასწავლის, ვიღაც წინ მიგიძღვება და შენ ხედავ, რომ ყველაფერი მხოლოოდენ შენამდე ხმის მიწვდენაა, შენამდე სუნთქვის მოდენაა.

* * *

დაღამდა. მძიმე უფსკრულში ჩაექანა სული შენი ამაოდყოფილი.

დაღამდა _ თქვა სულმა თავის მარტოობაში და ვის ძალუძს მიჰბაძოს ამ ტკივილს? აქციოს იგი ხმად? და მოიძიოს სამყაროს ამ დაფარულ, ბნელ წიაღში მთვლემარე ის სიტყვები, ტკივილის პირველსახეს რომ აღადგენს.

* * *

რაც უფრო მარტოვდება ადამიანი, რაც უფრო მეტად ღრმავდება თავის თავში, მით უფრო იზრდება ხმა მასში.

ხმა სიცოცხლის ძალისა _ შეეხოს სამყაროს, შეეხოს ადამიანებს და შეახსენოს, რომ ის არსებობს.

* * *

სურვილი სიცილისა... საუბრისა... ტირილისა... სურვილი სიცოცხლისა...

სურვილი, შეგიგრძნოს კაცობრიობამ, შეეხო კაცობრიობას, რომლის უსასრულობაში ჩაკარგული, შენს მარტოობას ქმნი და უარყოფ.

* * *

ფანტაზიის უსაზღვრო სივრცეებში გაღწევა სხვა არაფერია თუ არა ძალმოსილი რეალურობის, ამ მატირანიზირებელი ძალის უკუქმედება.

თავისუფლების მონა და ტირანი, კაცში კაცი.

* * *

ვცრუობთ თუ ვიგონებთ რაიმე ამბავს, არსებითად არ ვშორდებით ჩვენს თავს, ჩვენს ნამდვილ არსებას.

რა შეცბუნებულნი ვიხსენებთ ხუმრობა-ტყუილებს მათი ხორცშესხმის შემდგომ.

თითქოსდა ნისლეულში ჩაძირული ჩვენი სურვილი ამოიზარდა და გასაგნდა.

* * *

უნდა სისხლხორცეულად შეითავისო ყოველივე, რაც შენი ბედის საზღვარზე გადის ისე, რომ ზღვარს გადასული, _ აქედან ბატონ-პატრონი, ამავდროს მონა იყო თავისა.

* * *

ვინც ცდილობს სამყაროს ნამდვილი სახით მიეახლოს, მისთვის განურჩეველია ვის გაესაუბრება:

_ კაცს, ტაძარს, წიგნს თუ ბუნებას. რადგან იგი ყოველივეში ხედავს სინამდვილის იმ სუნთქვას, რაც ისევ მისი სუნთქვაა. ამოიტანს იმ სიმძიმეს, რაც ასე საზღვარმოხსნილად, ანუ ერთ საგნად წარმოაჩენს სამყაროს უსასრულო მრავალფეროვნებას.

* * *

განუსხვავებლად, რაც არ უნდა წავიკითხო, ჩემთვის ყველგან მხოლოდ და მხოლოდ ორი გზა იკვეთება:

ერთნი თვლიან, რომ აშიშვლებენ საგნებს, ხატავენ იმ არსსა თუ ჩონჩხს, რაც სულის თვალის წინაშე ესახებათ. ესენი რწმენით განათებულ გზას მიუყვებიან, რადგან ღვთის შუქით იჭრებიან საგნებში.

მეორენი კი მხოლოოდენ თავისებურ ტანსაცმელს და ნიღბებს «აბუნებრივებენ». ამ კატეგორიის მოაზროვნეები ცდილობენ თავიანთი შიშველი გონებით დაინახონ ეს ნათელი, ამიტომაცაა გონება, რომელიც ასე უკუღმა აბრუნებს სათქმელს, პარადოქსული ხედვით წარმოგვიდგება.

და თუმც ამ ნათქვამს ისიც უნდა დაემატოს:

ორივე გზას ძალუძს ჭეშმარიტებამდე მიგვიყვანოს, რადგან ხედვის გულწრფელობას ყველანაირი კარიბჭის გახსნა და ყველა ციტადელის აღება ხელეწიფება.

* * *

შეუძლებელი იქნებოდა ნაწარმოების აღქმა თავისთავად, რომ არ ვგულისხმობდეთ სხვისი ტკივილის ჩვენმიერობას.

მე და შენ ერთნი ვართ. ამ გზიდან დაინახება ნიშნები, კითხვას რომ შეგვაძლებინებს.

* * *

აზრი გვანიჭებს ადამიანურ ღირსებას, რადგან მთავარია აზრი, მაგრამ არა აბსტრაქტული მსჯელობით მოპოვებული, არამედ საკუთარი ცხოვრების, ამ კონკრეტული რეალობის, მაშასადამე, მატირანიზებელი ძალისხმევის პირისპირ დაბადებული და გამოჭედილი.

მაშ ასე, მთავარია აზრი – უფრო სწორად კი საკუთარი თავის გაცნობიერებით მოპოვებული აზრი და მაშინ ადამიანი ღირსებით შეიმოსება და ეს მაარსებელი ძალა კაცს უმალ საყრდენს, ნავთსაყუდელს აპოვნინებს, რითაც იგი თავისი ბედისწერის ზღვრებს მოხსნის.

* * *

როცა დეკარტი წერს _ ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობო, _ ის თავის სუნთქვას ჩაჩერებული, თავისი იდუმალი სარკის არსებობაზე მიგვანიშნებს.

* * *

როცა მორწმუნე იღვიძებს შენში _ ეროვნულში ხედავ იმ ენიგმურ ფესვს, რაც ღმერთთან გვაკავშირებს, გაქცევს რა სამყაროული მთელის საზრისად და სინათლედ.

მაგრამ როცა მორწმუნე მარცხდება შენში, სასაცილოა და გაუგებარია, რა არის ერი?

და შენ გარეგნული თვალის სიბერწიდან ხედავ, თუ რა უაზროა ხალხის გარკვეული ჯგუფის ერთი სახელის ქვეშ გაერთიანება? გაუგებარია თუ როგორ შეიძლება ეროვნულმა ნიშანმა დაღი დაუსვას ადამიანის პიროვნებას და დასაზღვროს? გაუგებარია, რატომ ჰქვია ამ ერს ეს სახელი და არა სხვისი? რატომ არის განფენილი იგი მაინცდამაინც ამ ტერიტორიაზე და არა სხვაგან?

და როცა შენი უაზრობა ხაფანგში გამწყვდევს, ისევ გამორბიხარ ამ ღვთის ხელით დაფარულ საიდუმლოებასთან და ამბობ:

_ ერი, ეს არის ღვთაებრივი საიდუმლოს დაცვა და მე ვიღებ მას გაუხსნელად და განუსჯელად, ისე, როგორც ის არის ჩემთვის მოცე-მული.

* * *

გასაუბრება:

_ თანამედროვე ისევე ესაუბრება და სჯის წინაპრებს, ვით წინაპრის თავისთავადი არსებობა განსჯის თანამედროვეთა მდგომარეობას.

* * *

შემოდგომა ყვითლდება, და არაფერი იძვრის შენი სიცივის უდაბნოში.

ისევ და ისევ ცივი ზამთრის სუსხით თეთრდება ყოველი საგანი შენში და შემოდგომის ცვლილებათა მრავალფეროვან მუსიკას ასე ეფარვის.

* * *

საოცარია რამდენად ჩვენეული ხმით ვიმეორებთ ციტატას სხვათა ნაწერებიდან.

* * *

პაწია ჩიტებმა შენს წინ ჩაიქროლეს, ვით შენმა უნებურმა ფიქრებმა და მხოლოოდენ შრიალი იდუმალის რღვევისა მოგაწვდინეს.

* * *

სულმუდამ დაკარგული აზრი მაშინებს და მატირებს. ეს სიზმრის იდუმალ ძალას შემახსენებს, რომელიც ძალმოსილი რეალურობის დიადი ნიღბით ღამით მეჩვენება და დილით, თვალის გახელისას კი მშორდება.

დაკარგული აზრი _ თითქოსდა სიზმარი ხელში მადნებოდეს _ და მყისიერად ვპოულობ მოშრიალე ფარდის იქით ყველა ნაცნობ საგანს, სიზმრის უნებურებით რომ ქრებიან, სიზმრის სიმყიფით რომ იმსხვრევიან და უერთდებიან იმ მთელს, მე რომ ვერ ვწვდები.

* * *

ზერელედ მსჯელობს ის ვინც ფიქრობს, რომ შემეცნებას არავითარი ხელი არა აქვს სიყვარულთან, მე ვიტყოდი საქმე პირიქითაა, შემეცნების წყურვილი, ეს არის წყურვილი სამყაროს უანგარო სიყვარულისა, ანუ მთლიანად მოიცავდე შენში სამყაროს. სწორედ ეს განუზომელი სიყვარულია, შემეცნებით დაინტერესებას რომ წარმოშობს, რაც ადამიანის სულს დაძრავს ნამდვილი აზროვნებისთვის.

დიახ, შემეცნება ეს ხომ ერთგვარი წყურვილია, წვდე სამყაროს დიად საიდუმლოებას, მის ფარულ დედას და მოსწოვო სიცოცხლის ძუძუ. მხოლოდ ასეთი შემეცნება არის ღირებული, მხოლოდ ამგვარ შემეცნებას შეუძლია ადამიანის სული შეარხიოს.

* * *

_ რას წარმოვადგენ?

_ ღრუბლის ფთილას. მაგრამ თუ მე, ღრუბლის ფთილამ ჩემი წარმავლობა შევიცანი, მაშინ ღვთაებრივი ძალა მენიჭება.

და ამ გაცნობიერებას პარადოქსი თუ გამოხატავს:

_ მე ვარ ღრუბლის ფთილა და მე არა ვარ ღრუბლის ფთილა.

_ მაშასადამე, მე ვარ ღვთის აზრი და სინათლე.

* * *

კაცი, რომელიც ირჩევს თავის წინაპრად ტაბუდ აღიარებულ ცხოველს მთელი სერიოზულობით, და კაცი, რომელიც პირობით ნიშნად, ჩვენი გრძნობის მოთოკვის საშუალებად მიიჩნევს.

ორივე თავისი გზით მიიმართება, თავისი გულწრფელი მინებებით, თავისი გზით _ სამყაროს სისავსესთან მისაახლებლად.

* * *

გატირებს ჩიტების ჟღურტული და თავდავიწყებული გაზაფხულის გაღვიძებაში ვარდები.

აქ ჰპოვებ სიყვარულის ქარიშხალის ბრმა ძალებს, ყვავილთა სურნელს, ვარსკვლავების გიჟურ ორგიას, ადამიანთა დაუნაწევრებელ სხეულებს, მიწის პოხიერ ბელტებს რომ მოაგვანან და დედამიწის ნაყოფიერებას რომ შეგახსენებენ. სისხლის ნაკადებს, ამ ვითომცდა სხვადასხვა საგნობრიობას რომ რწყავს და აერთებს.

... ვარსკვლავები, სამკაულები, ტელეფონები, ყვავილები, ფესვები, თვალები...

ყოველივე ერთია _ ერთია სუნთქვა, ერთია აზრი, ერთია არსი.

* * *

აკვიატება, რომ ინტუიციას ხელეწიფება სამყაროს სრულად ასახვა, ისეთივე საეჭვო და საალბათოა, როგორც რაგინდარა საგნის აკვიატება.

ვფიქრობ, ბოლომდე არც ერთ ჩვენს გრძნობას არ ძალუძს სამყაროს სავსებით ასახვა, ისევე, როგორც არ ძალუძს სავსებით მისი სავსეობისგან განრიდება.

* * *

თანამედროვის მინაწერი:

_ სხვადასხვა კუთხით დანახული საგანი, ერთ საგნად წარმოდგე-ნილი.

ქაოსის გზით _ ახალ სივრცეებში.

* * *

ყველაზე შეუსყიდველი აზრები ყველას პირზე აკერია.

ასე უჩუმრად, ასე უანგაროდ სულს ჩაუდგამს (ამოძრავებს) უმრავლესობას ნამდვილი კაცის სუნთქვა. ასე აფენია მათ ბაგეებს უწონადოდ დიდ-დიდი ჭეშმარიტებანი და ასე უმტკივნეულოდ უერთდებიან ღვთის იმ სხივს _ ჩვენ მაერთს, ჩვენ კავშირს რომ ქმნის.

* * *

მთავარია არა აზრი, რასაც გადმოვცემთ. მთავარია კაცი, მისი სამყარო, რომელიც ვინ იცის, მერამდენედ ნათქვამ აზრს აძლევს ახალ სიცოცხლეს და ადგილს უძებნის თავის სამყაროში.

ხელახლა ვიტყვი, _ ამბობს იგი და აზრი მაინც თითქოსდა პირველად მოვისმინეთ.

* * *

ჩვენი სული მოაგავს მიახლოებით ყველა საგანს, ოღონდ მიახლოებით და არა სავსებით.

* * *

ჭეშმარიტების ძიებით დაღლილი სულისთვის განურჩეველი ტკივილით ნაცნობია ადამიანის ნებისმიერი ქცევის, გრძნობის თუ აზრის საზრისთა საზრისი:

ჩააცვით მას ხუმრობა, შენიღბეთ იგი სიცილით, გააფერმკრთალეთ ირონიით, მიეცით უმწეოდ _ კნინობითი სახე, თუნდ ზიზღით გამოხატეთ და თუნდ სიმშვიდის ნიღბით გადამალეთ...

* * *

ცხადზე ცხადია, რომ მორწმუნის გულში ღვთის მიღება გაოცებისა და განსჯისთვის ადგილს არ გვიტოვებს. რადგან, როცა შენში ღმერთი იბადება, არავითარი კითხვა აღარ გებადება. **ამ დროს თითქოსდა შენ სვამ სამყაროს სინათლეს, მის ღთაებრივ სიდიადეს, შენ ნეტარებ და შენ გონებაში კი როდისღა აღიძვრება მწვალებლური კითხვები?**

თუ ამ აზრს გავაგრძელებთ, ფილოსოფოსი, რომლის საქმე სამყაროს შეცნობაა, იმ სამყაროსი, რომელიც ღმერთმა შეჰქმნა, სწორედაც გონების სინათლისეული სიცხადითა და გაოცებით უნდა აღწევდეს თავისი ცოდნის უმაღლეს საფეხურს.

და თუ მოვინდომეთ ეს რწმენა ლოგიკის ენაზე ვთარგმნოთ - **ეს ინტუიციაა** – გონების ის სინათლისეული სიცხადე, ფილოსოფოსის ამ გაოცებას სასაცილოდ რომ იგდებს.

ამიტომაც არ უნდა გვაკვირვებდეს, რომ ფილოსოფიის დამამხობელი გზა სამყაროს ინტუიციით მიღების გზაცაა და ფილოსოფიის გვირგვინიც.

ფილოსოფია, რომელიც თავის საზღვრებს არ ტოვებს ჯერ კიდევ არ არის ფილოსოფია.

* * *

ახლახან დაბადებულმა აზრმა შეგახსენა ოდესღაც ნაფიქრი, შენს თავში შენი ნებით რომ ვერ აღადგენდი და ხვდები, რაოდენ ერთიანია შენში სამყარო უშენოდ.

* * *

ფრაზები, რომელთა შუა უნდა მოამწყვდიო სული, შენი სული, იგი, თავად რომ იმწყვდევს თავისთავს.

* * *

დანახვა, ნამდვილი გაგებით, ტანჯვის უსახეობიდან ერთგვარი თვალის დაბადებაა, რომელიც ყოველივეს ჭვრეტს გაშეშებული ტკივილით და უაღრესი «სიფხიზლითა» თუ «სიზუსტით» ავლებს ზღვრებს საგანთა შორის.

* * *

მხოლოდ იმ ტანჯვას აქვს წონადობა ადამიანის ციდან მეორედ დაბადებას რომ დაჰყვება. განეშორება რა ადამიანი მიწიერობას, _ ბუნებით მოცემულ სხეულს, უთვალავ ჩვევასა თუ მიდრეკას, გრძნობათა დაუოკებელ მდინარებებს, განეშორება მშობლებს, ახლობლებს _ მოკლედ, ყველაფერს, რაც მას გარს არტყია.

...მაგრამ თუ ამ ტანჯვას დასძლევს, მაშინ დადგება ჟამი მისი ნიჭისა, ერთ მთელად რომ გააერთიანებს სამყაროს, ერთი ცრემლიდან იწვდომებს სამყაროს მრავალფეროვნებას, ყველა კაცს ერთგვარი შუქით შემოსავს და მიხვდება, რომ სინამდვილეში მის წინაშე ერთადერთი კაცი დგას და ბოლოს ყველა საგანს ერთ დიად აზრად გააერთიანებს.

* * *

კაცი თავისი ნამდვილობით ყოველთვის უკავშირდება ცას, მზეს, ვარსკვლავებს, ხეებს თუ მდინარეს.

ოღონდ გრძნობა იგი ან აზრი ყოველთვის მოიძიებს თავის საკუთარ მდინარეს, ცას თუ ჩიტს.

ხანდახან ჩიტი ზოგისთვის ცა არის, ცრემლი კი პაწია ღიმილი.

* * *

როცა ღვთაებრივი თვალით დაჰყურებ საგნებს, მაშინ ირღვევა მყარი ზედაპირები, _ მატერიალურ საგანთა სიმყარე დასაძლევი ხდება.

* * *

შენდაუნებურად მიგაქანებენ რაღაცისაკენ სიტყვები, თავად რომ მიიზიდავენ ერთიმეორეს, რათა შეწყვილებით ჰპოვონ ერთობა და აზრი.

ასე იპოვება სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში, რაც შეგვახსენებს იმ გზას, რასაც რიცხვთმეტყველების იდუმალება, ფიზიოგნომიკა თუ სხვა რამ ბნელთმეტყველებად სახელდებული «ცრუმეცნიერებანი» მიგვანიშნებენ.

* * *

ვინ ვარ მე?

განა შეიძლება ასე განსხვავებული ჩემი თვისებანი ერთ «ძაფზე» ავასხათ?

და ეს ხომ შესაძლებელია, თუ შენ შენი მეორე დაბადებით, სულიერ გზაზე გახვალ,და შენი გარეგნული თვალით დანახული ეს «ძაფი» შენ სულად მოგევლინება, რომელიც ყველა შენ თვისებასა თუ მიდრეკას ისე აასხამს ერთიმეორის მიყოლებით, რომ ერთი თვისება მეორეს მოიცავდეს და ისეთ რიგად განალაგებს, რომ ყველა მათგანს, ცალ-ცალკე აზრი და სინათლე მიენიჭოს.

* * *

ცხადია, ბევრი რამ, და ეს იმდენად, რომ ვერ ვხედავთ. ჩვენ ხომ, თვით ჩვენა ვართ სიცხადე სიცხადისა, სარკეში _ სარკე, მზეში _ მზე.

და თუ ამ სიცხადეს დასძლევ _ დაიწყებ ხედვას, _ იმ ხედვას, ამ სიცხადის სიბრმავეს რომ დაგანახებდა.

* * *

რაღაც უსახო ქაოსად წარმოჩნდება შენს თვალთა წინაშე შენი პირველსახე, მაგრამ თუ დასძლევ შენს უსახეობას, ამ ქაოსს, არსს მიეახლები. უსახო ქაოსი სახეს მიიღებს და ეს იქნება შენი სამყარო, რომელსაც შენი განუმეორებელი სახე, სუნთქვა და სურნელი ახლავს.

* * *

როცა სულიერი თვალით შეჰყურებ სამყაროს, მაშინ ერთი საგანი აუცილებლად მოაგავს მეორე საგანს, ერთი ქმედება _ მისგან განსხვავებულ ქმედებას.

სამყარო ერთია, _ რადგან შენ შენს თავში ხარ ერთი და შენთვის ყოველი საგანი თავისთავში «ჩასაიდუმლოებულ» თვითობას შენში სცნობს.

* * *

რატომ ახდენს ჩვენზე ასე მაგიურ ზემოქმედებას გამოჩენილ მოაზროვნისა თუ ხელოვანის ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფრაზა, ფრაზა, რომელიც ნებისმიერი ჩვენთაგანის მოარული ფრაზაცაა.

ეს მაგიური ზემოქმედება იმ ცეცხლის, იმ კაშკაშა მზის არსებობას გვიმჟღავნებს, რომელიც ამ ფრაზას ახლავს, ამ ფრაზას ანათებს თავისი ძალმოსილებით. ჩვენ გვგონია, ერთი უბრალო ფრაზა ზემოქმედებს ჩვენზე, _ სინამდვილეში კი კაცის _ ამ ღვთაებრივი კაცის კაშკაშა მზე გვინათებს სულს და გვამოძრავებს.

* * *

რამდენი ნაბიჯია გასავლელი, რამდენი მცდელობა გვჭირდება, რათა ჩვენმა მემ ამოიყვიროს საკუთარი ხმით, რათა ხელმა გამოხატოს ის, რაც უნდა გამოხატოს.

* * *

ორი ფრაზა _ ორი დროება _ კაცობრიობის ორი სახე:

ჰერაკლიტე წერს: **მე ვიკვლევდი ჩემს თავს,** პოლ ვალერი ამ ფრაზას მეოცე საუკუნეში ასე გადააკეთებს: **სევდა, აი ჩემი ჭეშმარიტი ხელობა.**

ეს ფრაზები შიშველი გონების ამარა ვერ წაიკითხება. აქ ხომ სულისმიერი თვალი და ყურია საჭირო, რადგან მათში არსებითად არც არაფერი წერია, ან პირიქით, ეს ფრაზები ამ მოაზროვნეთა მზის სხივით ისე არის პირთამდე აღვსილი, რომ სათქმელი დუმილად იქცა.

მე ვიკვლევდი ჩემს თავს. ჰერაკლიტეს ამ ფრაზის წაკითხვის დროს ჩაგვესმის ამ ბნელად წოდებული ფილოსოფოსის ქვითინი, კოსმოსური მანძილიდან რომ დაჰყურებს თავის ცხოვრებას, იმ ცხოვრებას მისმა ფილოსოფიამ რომ შთანთქა. ის თავის ცხოვრებას აჯამებს და ცხადია, მას წარსულში ხედავს. მისი ფილოსოფია ის დასრულებული ქმნილებაა, მის სულისმიერ ხელისგულზე რომ ეტევა, მისი აზროვნება კი მის დასრულებულ ქმნილებებშია ჩადებული (ჩვენამდე 167 ფრაგმენტის სახით რომ მოაღწია).

მაგრამ, ჩვენს ნათქვამს შესწორება სჭირდება, რადგან ჩვენ აშკარად ვტყუვდებით, როცა ამ თითქმის არაფრისმთქმელ ფრაზაში ჰერაკლიტეს უაღრესად დაღლილი ხმა ჩაგვესმის, **მე ვიკვლევდი ჩემს თავს.** სინამდვილეში ხომ ჩვენს წინაშე კაცობრიობა დგას, კაცობრიობა მარადიულობიდან თავის თავს ჰერაკლიტეში რომ სცნობს.

როცა პოლ ვალერი წერს: **«სევდა, აი ჩემი ჭეშმარიტი ხელობა.»** ისიც ჰერაკლიტეს დარად არაფრისმთქმელ ფრაზას გვთავაზობს. ეს პოლ ვალერის დუმილია, რატომღაც სიტყვებად რომ გამოისახა.

მივაქციოთ ყურადღება იმ უცნაურობას, რომ პოლ ვალერი, რომელიც მეტისმეტი სკეპსისით ეკიდებოდა ისეთ სიტყვებს, როგორიცაა: **ღმერთი, უკვდავება, ჭეშმარიტება, არარსებობა...** რადგან ის მიიჩნევდა, რომ ნებისმიერ მოაზროვნესთან ეს სიტყვები უწონადოდ წარმოითქმება. ამ სიტყვებს ის დაცინვით ტრომბონებსაც უწოდებდა, რომელთა გამოყენება მხოლოდ ჩვენს კეკლუცობას, უვიცობას, სიბრიყვესა და უგუნურებას თუ დაამტკიცებდა. და მოულოდნელად, ჩვენდა გასაოცრად ის ერთ-ერთ ტრომბონს იყენებს – **ჭეშმარიტება.** და ამან არც უნდა გაგვაკვირვოს. ის ამჯერად ცდილობს რამენაირად დუმილი გამოთქვას და ამ მიზნით თავისი შემოქმედებიდანაც კი გამოდის.

ის აჯამებს თავის ცხოვრებას, მაგრამ ეს ხომ მისივე სიცოცხლეა და ეს მისივე სისტემაა. ის ამას ასე გამოთქვამს: **მე არ ვქმნი სისტემას - ჩემი სისტემა თვითონ მე ვარ.** მაგრამ მასთან, ანუ XX საუკუნის მოაზროვნესთვის დასრულებული ქმნილება საერთოდაც არ არსებობს, რადგან, როგორც თვითონ გვეუბნება: **სხვები ქმნიან ნაწარმოებებს, მე ვქმნი ჩემს სულს.** თუ ჰერაკლიტესთვის აზროვნება კოსმოსის ხმის მოსმენაა, მისი მაცოცხლებელი წვენის დაგემოვნება პოლ ვალერისთვის იგი არის ძაფის დაკარგვა. აი, რას წერ იგი: «აზროვნება? აზროვნება! ეს ნიშნავს ძაფის დაკარგვას» და ამან არც უნდა გაგვაკვირვოს, ის ხომ გაუცხოებული შეჰყურებს სამყაროს და ასე გაუცხოებული ისმენს სამყაროს ხმასაც, რაც მას აიძულებს ლოგიკის ენაზე თარგმნოს ეს ხმა და ამიტომაც უწოდებს მას ძაფს. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ნებისმიერი აზროვნება შეცდომის შედეგია, გაწყვეტილი ძაფის უნებურებიდან რომ

ამოიზარდა. რასაც გვიდასტურებს მისივე ფრაზა: **«ყოველი აზრი გამონაკლისია იმ ზოგადი წესიდან, რომლიც თანახმადაც არ უნდა ვაზროვნებდეთ».**

და როცა მას სურს შეაჯამოს თავისი ცხოვრება, ისევ განვმეორდები, რომელიც მისივე სიცოცხლეა და მისივე შემოქმედება, ის მხოლოდ ერთ სიტყვაში მოაქცევს მას: სევდა. ეს ის მდგომარეობაა, როცა აზრი ჯერ არ დაბადებულა და არც სიტყვა წარმოგვითქვამს. დუმილის ამ განცდაში, სევდაში კი თვლემს სამყაროს ნამდვილი საგნები.

სერჯო სოლმი სწორად შენიშნავდა, რომ ვალერისთვის ამქვეყნად დაბადება დანახულია, როგორც ლაქა, როგორც დეფექტი, არყოფნის სხივოსანი სრულქმნილებისა.

ისევ განვმეორდები, სულაც არ არის შემთხვევითი, რომ პოლ ვალერი თავისთვის მიუღებელ სიტყვას, **ჭეშმარიტებას** მოიშველიებს, რადგან აქ იგი გამონაკლისის სახით **იღებს იმ ყოფნას (სევდას), რომელიც, ფაქტიურად, არყოფნაში რჩება.**

და როცა ამ ფრაზას ხელახლა გადავიკითხავთ, **სევდა, აი ჩემი ჭეშმარიტი ხელობა,** ვხვდებით, რომ ამ ფრაზას კაცობრიობა წარმოთქვამს, XX საუკუნის კაცობრიობა, მაგრამ ეს კაცობრიობა მხოლოდ და მხოლოდ პოლ ვალერია და სხვა არაფერი.

* * *

ერთი შეხედვით რა შეუთავსებელია გვერდიგვერდ ნამდვილი ფილოსოფოსისა და შეყვარებულის მოთავსება. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ისინი ხელიხელჩაკიდებულნი ჩაუვლიან სიკვდილის პირქუშ უფსკრულს.

* * *

ნამდვილი ფილოსოფია უპირველესად სამყაროსადმი დიად გრძნობას, ამაღლებულ, უანგარო სიყვარულს გულისხმობს. სხვაგვარად შეუძ-ლებელი იქნებოდა ადამიანში ფილოსოფიური კითხვების დაბადება, თუ მასში არ იძვრის ის «შეყვარებული», რომელსაც მთლიანად უყვარს სამყარო, რადგან მასში ხომ ღმერთი დაიბადა, ღმერთი, რომლისთვისაც არ არსებობს უცხო საგანი.

ის, ნამდვილი ფილოსოფოსი შეიგრძნობს სამყაროს დიად აზრს და ეს არის კიდეც მისი შეყვარებული, მაგრამ დროდადრო მასაც ხომ ეწვევა სკეპსისის საზარი ჭია. ამ დროს მისი გონება სიბნელით იფარება და მაშინ არის სამყაროს სიდიადეს რომ ეს სიკვდილის პირქუში უფსკრული გადაეფარება.

ასე ემალება მას ეს სინათლე _ ღვთის საჩუქარი, ამგვარად ასე ემალება მას ეს დიადი აზრიც.

მაგრამ შეყვარებულის გზაც ხომ იგივე რყევას განიცდის _ მას უყვარს საყვარელი ადამიანი, რომელიც განასახიერებს მთელ სამყაროს, სამყაროს დიად აზრს, ღვთის საჩუქარს, ღმერთის სინათლისეულობას, მაგრამ მასაც ხომ ყოველდღე უხდება ბრძოლა საკუთარ თავთან. მისი სიყვარული ხომ მუდმივ მერყეობს. მას ყოველთვის არა აქვს სიყვარულის ეს ნიჭი, დროდადრო მასაც ეს საზარი აპათია ეწვევა, ეს გულის სიცარიელე მოიცავს და მაშინ არის რომ სიბნელით დაფარული სიკვდილს ნატრობს.

ასე ჩაუვლიან ისინი, ხელიხელჩაჭიდულნი სიკვდილის უფსკრულს _ ასე იცნობა ამ ორის მიერ სიკვდილისა და სიცოცხლის გადაბმულობა, ორივენი ხომ სიცოცხლის ნელსურნელოვან თბილ სუნთქვაში სიკვდილის გესლიან, მწარე ნაყოფსაც მოიხილავენ.

* * *

თანამედროვეს:

უძალადოა შენი ხმა _ როცა საუბრობ, და მხოლოოდენ კივილი, კივილი სამყაროს ვერ-ატანისა თუ მოსჩანს ასე გიგანტური.

ბუნებამ მიგატოვა, თუ შენ მიატოვე და ამიტომაც ასე ძალუმად ვეღარ აჟღერდები, მარტოოდენ შენს სულს ჩაჩერებული.

* * *

მე კი არ ვამტკიცებ, რომ ჩემი აზრი ჭეშმარიტია.

მე ვაცხადებ, რომ მე ნამდვილად ვარსებობ, მაშასადამე, ჩემი აზრი _ ჩემი არსების ეს წილი, ჩემში მყოფი გამოუთქმელის წილიცაა და ჭეშმარიტების გამომხატველიც.

* * *

რაღაც მაწუხებს, რაღაც მთრგუნავს და ცდილობს გამანადგუროს.

ძალას, ჩემს დასამსხვრევად რომ მოიმართა, ჩემს აღმაშენად აღვმართავ.

* * *

იმის ნაცვლად, როცა შეძრწუნებული სული მარტოოდენ უნდა მოსთქვამდეს, ან შენი გალაღებული სული მხიარულებდეს, შენ იხედები იქით, დარბაზისკენ, ვიღაც მესამის სახეს დაეკითხები, რა ისახება აქ და უთითებ შენ მოძრავ სულზე.

* * *

ყველასთვის ცნობილია პარადოქსი:

_ ათენის მზით განათებულ ქუჩებში მოსიარულე დიოგენე ანთებული ფანრით ხელში, შეშლილი სახით, ნერვიული ნაბიჯებით და ჩიტის სიმსუბუქით.

ეს სურათი სიმბოლოა ადამიანში დაბადებული ციური ადამიანის გზის პარადოქსალურობისა ამ ყოველდღიურობაში.

და მაინც? რას ნიშნავს ეს სურათი?

მზის კაშკაშა ნათელს დაპირისპირებული ანთებული ფარანი.

მზით განათებული ათენის ქუჩები – ეს იმ დიდი სინამდვილის სიცხადეა, სინათლე და ღიაობაა, რომლის მიმართ, როგორც წესი, უმრავლესობა გულგრილი და ბრმა რჩება. ის უმრავლესობა, რომელიც ყოველდღიურობაშია ჩაჭედილი და ცხადია, დიდი სინამდვილე მათთვის ბნელით მოცულ სამყაროდ რჩება.

ხოლო როცა **დიოგენე ათენის მზით გაკაშკაშებულ ქუჩებში ანთებული ფანრით ჩნდება,** ეს ნიშნავს, რომ ის დიდ სინამდვილეში გაღვიძებული ადამიანის სულისმიერი თვალით მოდის, იმ გაღვიძებული სულისმიერი თვალით, რომელიც ყველაფერს ხედავს _ ხედავს დიდი სინამდვილის სინათლეს. ან უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა: ისრუტავს ამ სინათლეს, ანუ ხედავს და ამავდროულად ნეტარებს საგანთა ღიაობიდან მომდინარე სინათლითა და სიცხადით.

და როცა **დიოგენე ათენის მზით გაკაშკაშებულ ქუჩებში ანთებული ფანრით ჩნდება,** ამ პარადოქსით ის «ბნელში მყოფთა» შეძრწუნებასა და გაოცებას იწვევს, რითაც ამ ჩაძინებულ ადამიანთა გაღვიძებას ლამობს.

დიოგენე ყოველ კაცში მთვლემარე ღმერთია, რომელიც უნდა გავაღვიძოთ.

* * *

რამდენი ზნეობა არსებობს? რამდენი შუქი ცნობიერებისა? რამდენი დანაშაულის სახეობანი?

კითხვები მოედინებიან და არ ითხოვენ პასუხს, რადგან კითხვის ფორმა აღამაღლებს ადამიანს.

* * *

გზა იგი გამოჩნდა ჭეშმარიტი და რა დაუღალავია კაცი ამ გზაზე.

გონების პარადოქსული ყვავილი _ უკუთვალი - შენ ხარ არავინ

* * *

თანამედროვე ხელოვანი:

_ ჩემი თვალები ცარიელია. ის ვიღაცამ დამთხარა და დამტოვა იქ, სადაც უნდა მეხილა სამყარო.

აქ ვდგევარ. ამ ზღურბლთან, ამ უფსკრულთან თვალებდათხრილი და აღარც კი ვიცი, რა არის ამის იქით? განა შესაძლებელია ჩემში ისევ დაიბადოს რაიმე გრძნობა, იდეა ან აზრი? არა! ეს დრო _ არაფრობაა საგანთა! ეს დრო _ არაფრობაა იდეათა! ეს დრო _ არაფრობაა გრძნობათა! ნუთუ ამ არაფრობამ დამთხარა თვალები და ბნელში მამყოფებს?

საით წავიდე?!

* * *

თანამედროვის მინაწერი:

_ მე აღარ ვიცი, რა არის დიდი უბედურება? მე აღარ ვიცი, რა არის დიდი ბედნიერება?

მე აღარ ვიცი, რა უნდა ქნას სიკეთემ, ბოროტებაში რომ არ დაადანაშაულონ.

მე აღარ ვიცი, სად არის გზა მართალი?

ვინ არის ეკლიანი გვირგვინით თავშემკული? ვინ არის, სისხლი თვისი რომ გაიღო კაცობრიობისთვის.

მე აღარ ვიცი, რას მივუძღვნა თავი, ჭეშმარიტება რომ მოვიძიო.

* * *

დღევანდელი ბრძენი ტოვებს კლასიკოსების მონაპოვარს, ღვთაებრივი სიმშვიდის მყარ საყრდენს და ცვალებად ამაოებაში თანაცხოვრებით იმკის «სიბრძნის» მარცვალს.

* * *

თანამედროვის მინაწერი:

_ მე გადამიტყდა ხერხემალი. და ახლა, უმწეო, უხერხემლოა ჩემი ოცნება, ჩემი აზრები, ჩემი ლოგიკა.

უხერხემლობა _ იქნებ ეს არის ახლა ჩემი ლოგიკა?

* * *

თანამედროვეს:

_ შენ ყველგან ხედავ რაღაც უსახოს, რაღაც უფორმოს, ყველგან ჩაგესმის უმწეო ლუღლუღი _ როცა არსებობს მზიანი დღე, ვარდისფერი ცა, ჰენდელის სადღესასწაულო მუსიკა, ბავშვების კისკისი.

ვინ ან რამ დაგიბრმავა ეს თვალები?

* * *

თანამედროვის მინაწერი:

_ არასოდეს ჩაქანებულა ადამიანის სული სამყაროს უსასრულობაში ისეთი თავდავიწყებით, ვით დღეს და ამ თავზარდამცემი უსასრულობის სიბნელესა თუ სინათლეში შეიქმნა სარკე, ამ უსასრულობის თანაფარდი.

* * *

თანამედროვის მინაწერი:

_ აი, მატარებელი მიდის და მე მატარებლის ფანჯრიდან გავყურებ სამყაროს.

_ აი ბალახი, აი ძრახა, აი ცა, აი ველი, აი მზე, აი ადამიანი და ა.შ. და ა.შ.

და მე ვერ ვხვდები, თუ რამ დამიბრმავა თვალები და რამ დამიბნელა გონება, რომ ვეღარაფრით ვერ გადამიბამს ეს საგნები ერთიმეორესთან.

და ისევ კითხვა:

_ რა გზას დავადგეთ?!

* * *

უკუთვალის ახსნა-განმარტების ცდა:

კლასიკოსთა ქმნილებებში _ ეს იქნება ფილოსოფიური სისტემა, თუ მხატვრული ნაწარმოები – თანამედროვე აღმოჩენს წინააღმდეგობათა გორგალს, აღმოაჩენს ლაფსუსს, რაც მისთვის მიუღებელს ხდის მათ ქმნილებებს.

მაგრამ რა არის სინამდვილეში ეს წინააღმდეგობათა გორგალი? რას ნიშნავს ლაფსუსი აზრობრივად? რა უნდა მივინიშნოთ?

ყურადღება მივაქციოთ, რომ ეს ის ,,ადგილია», სადაც კლასიკოსი თავის თავს აღემატება. _ ანუ, როცა ის მიწიერობისგან სავსებით განძარცვული უნდა ეზიაროს ღვთაებრივ ნათელს. ამ დროს მას ღმერთი სიბრმავეს მოუვლენს, რათა ვასხივოსნებული ნათელის წინაშე არ დარჩეს. ასე აღიმართება კლასიკოსის წინაშე:

ღვთაებრივი ფარდა - წინააღმდეგობათა გორგალი.

ღვთაებრივი ფარდა - ლაფსუსი.

და წარმოიდგინეთ, მიინიშნეთ და გაიაზრეთ, რას ნიშნავს, რომ ,,დღეს» თანამედროვეთათვის ღვთაებრიობის ფარდა (წინააღმდეგობათა გორგალი ან ლაფსუსი) გარდაისახა სამყაროთა უსასრულო რიგად და სწორედ ეს ,,ადგილი» იქცა თანამედროვეობის სულის სარკედ.

* * *

თანამედროვე ხელოვანის მინაწერი:

_ არარაობა სულის სიცარიელითგან აყვავებული და სამყარო პირქვე, პაწია და უსუსურ არსებად დამხობილი ბალახის ღეროს ძირში... შენი სულის უსასრულო სიმწირის ქვეშ.

* * *

_ მეფისტოს ხედვა:

_ განა გულუბრყვილობა არ არის ერთადერთ აზრზე სამყაროს სისავსის დაყვანა? და განა შეიძლება დავასახელოთ რომელიმე ფილოსოფოსი ამ უცნაური ყავარჯნის გარეშე?

* * *

თანამედროვის მინაწერი:

დამჭკნარი, დაფანტული ფოთლები _ წარმოისახო ერთი მთლიანი ხის ნაწილად.

ხშირად ასე სურს თანამედროვე კაცს თავისთავზე საუბარი.

* * *

კლასიკოსის გზა ერთადერთი აზრის ერთგულების გზაა, მზის სხივის სწორხაზოვნებით რომ გადაჰკვეთს სამყაროს უსასრულობას. მისი დგომა სამყაროს წინაშე რეალურობის მატირანიზებელი ძალისხმევის მთლიანი მიღებაა. და თუმცა ის თავის პიროვნულ ძალებს უსასრულოდ ზრდის, რადგან ის ხომ ღვთის ხელით იფარება, რაც ნიშნავს, რომ ის თავის სულს სავსებით ანდობს ღვთიურ სხივს, თავად რომ მიადინებს მას სამყაროს გულის-გულისკენ.

ის გადაიხსნება, ღვთის ხელით დაფარული და დაცული. მაგრამ ღმერთი თავის ერთგულს ისევ თავის პიროვნულ ტანსაცმელში ტოვებს.

მაგრამ როცა თანამედროვე თავისი გაბერწებული თვალით, მე ვიტყოდი, უკუთვალით გარეგნულად შეჰყურებს საგნებს _ კლასიკოს ავტორებს უბრალოდ ტირანებად აღიქვამს.

სასაცილოა, თუ როგორ მიმართავს ის კლასიკოსებს:

_ ტირანიაა, ერთ გზას გაუყვე, ერთი აზრი გაატარო ყოველ საგანში.

ხოლო კლასიკური ფილოსოფიის თუ ხელოვნების ისტორიას მოკლედ ასე გადმოსცემს:

_ ერთი ტირანი მეორე ტირანს ცვლის.

* * *

თანამედროვის მინაწერი:

_ დიდი ხანია ყველაფერი მოკვდა ჩემში: ხეები, ვარსკვლავები, ადამიანები...

მოკვდა იდეა, მოკვდა ოცნება.

დარჩა მოგონება _ დაფლეთილი ოცნებისა.

* * *

თანამედროვის მინაწერი:

_ არასოდეს არ მომჩვენებია ასე დაუსაბამო ეჭვი? არასოდეს არ გამბევრებია ჰამლეტის თვალი?

რა დავარქვა ჭეშმარიტებისკენ ჩემს დაუოკებელ სწრაფვას? ნუთუ, მართლა, ჭეშმარიტება მიყვარს? განა წყურვილი სიმართლისა ასე მძაფრია ჩემში?

მაგრამ რას ნიშნავს, რომ ჭეშმარიტებას ვეძიებ? რა მაიძულებს, რა შთამაგონებს ჭეშმარიტების ძიებას?

და ჩემს თავში მოვიძიებ ცხოველს, თვითშენახვის ინსტიქტით აღძრულ უგონო ცხოველს, ისევ და ისევ ცხოველს რომ აღაშენებს და ასე მიაძინებს ჩემს სულს საღათას ძილით – **რათა არ დავინახო ჩემი ჭეშმარიტი სახე.**

* * *

თანამედროვეს:

_ განა რას ხედავ, მარკუს ავრელიუსის სიბრძნის მარცვალს, რომ ქექავ?

ჰპოვებ ისევ არაფერს.

და მარკუს ავრელიუსმა რა იცოდა, რომ დაიბადებოდა თვალი მხედველი, ყოველ ამაღლებაში დაცემას, რომ განჭვრეტდა და სიმწიფით დაბერილ ნაყოფში, ბერწად დარჩენილ თესლთა ათასგვარ სახეს აღმოაჩენდა.

* * *

თანამედროვეს მინაწერი:

ახლა მსურს ვწვდე ჩემს სულს, ახლა მსურს შევეხო სამყაროს. დაღლილი სული კი, ისევ უარყოფილი ამაოებად ამოიკვნესებს და ბერწი დედაკაცივით დამნაშავედ თავს ჩაჰკიდებს.

* * *

თანამედროვე ხელოვანი:

_ შენ დაიფანტე.

ერთი მარცვალი ასგზის სხვადასხვა ნიადაგში დათესე. შენ შენი სუნთქვა იმდაგვარად დაანაწევრე, რომ ვეღარც კი სუნთქავ.

* * *

თანამედროვის მინაწერი:

_ ზნეობის თვალი ამოიზარდა და გადაფარა დღეს ყველა სხვა თვალი.

* * *

თანამედროვეთა დიდი ილუზია _ ბრძენისა და ბრბოს შეხვედრის არე:

_ ჩაეშვა თანამედროვე გონება შავი წყლის სიღრმეში და იხილა კლასიკური ფილოსოფიური მეთოდისა თუ ხელოვანის სტილის იქით **_ ტანჯვით მოთამაშე კლოუნი.**

სასოწარკვეთილმა კლასიკაში სულის მარადიული მოძრაობის ის გაერთფეროვნება განჭვრიტა, რაც ღმერთთან ადამიანის კავშირის გაუფასურებაზე მიანიშნებდა და **შავი წყლის სიღრმეში ჩამარხულ მის გონებას ესიზმრა კლასიკოსი ბრძენი - ერთადერთხელ მოპოვებული სიბრძნის მარცვლით, თავისი თავის ცნობის ერთადერთი დღით, - დაუსრულებლივ რომ იმეორებს და იმეორებს ამ ერთხელ მოპოვებულ მარცვალს! ამ ერთადერთხელ განვლილ დღეს!**

იმეორებს და იმეორებს, ვიდრე საბოლოოდ უგრძნობელი და უგონო ვით ბრბო, არ წარმოთქვამს უღრმესის სიბრძნეს. მაგრამ რა ღირებულება აქვს ამგვარ სიბრძნეს?

ასე იხილა თანამედროვემ კლასიკოსი _ ერთადერთი ტალღის ზედაპირზე მოტივტივე კაცად.

* * *

სინათლის ნაკადები არ გამქრალა დედამიწაზე, მშვენიერება არ მომკვდარა, ოღონდ აღარ არის თვალი მხედველი წარმტაცისა.

* * *

თანამედროვე ხელოვანი სარკის წინ:

_ ნუთუ ყოველივე დასრულდა? ნუთუ დაიშრიტა სიცოცხლის მჩქეფარე მზეები ჩემში? ნუთუ არარამ დაისადგურა ჩემი სულის სიღრმეში? ყველგან წყვდიადია, ყველგან უფსკრულები, არსად გადასახედი, არსად ნავთსაყუდელი და აქაც, ვინმე იპოვნის ჩემი მეთოდურობის შენიღბულობას, ტანჯვის გაერთფეროვნებას? და ვინ იქნება იგი, თუ არა ისევ შენ?

შენ _ თანამედროვეობის გაბერწებულო სინდისო?

* * *

თანამედროვე ხელოვანი:

რწმენა დაკარგე და ამიტომაც ყოველი შენი სათქმელი ერთნაირად უწონადოდ, ღირებულება გამოცლილად დაეფინება შენი სულის თვალის წინაშე.

და ვერც ახალი საყრდენი **«ვიტანჯები, მაშასადამე ვარსებობ»**[1] გშველის და შენი სული ქაოსში იჩეხება.

ასე ჩონჩხად ქცეული სამყარო შემოგხარხარებს, ასე წყლად ქცეული სისხლი გაშინებს, ასე მუყაოდ ქცეული ხეები შემოგყურებენ, ასე ცის უსასრულობა იკეცება და პაწია პურის ნატეხად ქცეული ხელთ გეფინება და ეს ხედვაა, შენს რაობად რომ უნდა მიიღო.

ასე სცილდები ერთ სარკეს, რაც ისევ შენ ხარ, მეორე სარკეს, რაც ისევ შენ ხარ, მესამე სარკეს, რაც ისევ შენ ხარ, მეოთხე...

და შენ დაცემას არა აქვს დასასრული...

* * *

თანამედროვე ხელოვანი სარკის წინ:

როგორ შეიძლება შეფასდეს თანამედროვეთა გზის საზრისი?

შეიძლება ერთი ფრაზითაც:

კლასიკოსებს მიაჩნდათ, რომ ტკივილის ლოგიკურად ახსნა-განმარტება შესაძლებელია, რითაც სინამდვილეში ისინი ამ ტკივილს გადახაზავდნენ კიდეც.

თანამედროვეებმა კი გადაწყვიტეს იქ შეჩერება, სადაც ტკივილი თავის თავს შეინარჩუნებდა, სადაც ტკივილი მხოლოდ და მხოლოდ ტკივილია და სხვა არაფერი, და არასოდეს არ იქცევა აზრად.

* * *

თანამედროვე ჰამლეტებმა დაადანაშაულეს დეკარტი, დაადანაშაულეს ასკეტი, დაადანაშაულეს ხელოვანი. და ისინი, ეს ტანჯულები, ტანჯვის გამაუფასურებლად მიიჩნიეს.

მაგრამ ვინა არის დღეს ჰამლეტი? _ იქნებ იუდა? იქნებ პილატე? იქნებ ქრისტე? იქნებ ფაუსტი?

იქნებ სუყველა ერთად?! ან იქნებ თანამედროვე ჰამლეტი გვიმჟღავნებს, რომ რაიმე ფორმად დაბადება დანაშაულია?!

ჰამლეტ - თანამედროვეობის მთავარო გმირო - მე ჩამოგხსნი ნიღაბს და მოგმართავ შენ, ნამდვილი სახელით:

- შენ ხარ არავინ.

* * *

თანამედროვეთა ბრალდება:

მე ვიტვირთე ვიყო გესლიანი გველი, რათა ირემო, შენ იყო კეთილი, გონიერი და მშვენიერი.

* * *

თანამედროვე ხელოვანის «ბერწი თვალი»:

_ უსასრულო სიმრავლე ღიმილისა ერთი ღიმილით გაშუქებული.

ასე ჩხრეკს თანამედროვე ხელოვანი ხელოვანის სუნთქვას და ასე აღმოჩნდება არითმეტიკა, მისთვის არასასურველ და მიუღებელ სფეროში.

* * *

თანამედროვეს მინაწერი:

_ როცა იმპრესიონისტთა სამყაროებს შეჰყურებ და მზის კაშკაშა სინათლე თვალებს გიწვავს, სული შენი თითქოსდა გაოცებული კარებს ფართოდ ხსნის. გიკვირს და ჰკითხულობ: სად იყო აქამდე კაცობრიობა?

რატომ იყო ასე მუქი და მრუმე მათი ფერები?

რატომ ვერ ხედავდნენ იმ სინათლეს, მათ პირდაპირ სულის თვალის წინაშე რომ აიძულებდათ მათ საგანთა ზღვრები გადაეხსნათ და მათი რაობა, მათ თავზარდამცემი, გაშიშვლებული მშვენიერება ეხილათ.

მაგრამ იგივე გაოცება გვიპყრობს, როცა ეგზისტენციალისტთა ნაწერებს ვკითხულობთ. რატომ იყო დაბრმავებული მთელი საუკუნეების განმავლობაში ლიტერატურა თუ ფილოსოფია?

მთელი აწინდელი ლიტერატურა თუ ფილოსოფია ეგზისტენციალისტების ფონზე სიბნელეში მყოფ ადამიანთა უსარგებლო მსჯელობას უფრო მოაგავს.

ვის სჭირდება ძველ ბერძენთა _ ეს არხეს ძიება?

რადგან, სასაცილოა ის ფილოსოფია, ადამიანის ტანჯვას რომ ვერ ამჩნევს სამყაროში, _ და ამაზე დუმს. ადამიანის მიერ ღმერთის ძიების გზას რომ გამოტოვებს, _ რათა უკვე ღმერთმოპოვებულ-გასხივოსნებულ სამყაროში აბსტრაქტული, უწონადო მსჯელობებით გაერთოს? რამდენი განზომილება აქვს სამყაროს? რამდენი ვარსკვლავია ცაზე? რა არის არხე? რა აზრი აქვს ჩემი სხეულის წონას, _ ჩემი სხეულის სიმაღ-ლეს, როცა ჩემს სულზე ვსაუბრობ, ან რა აზრი აქვს პოეტის ფეხის ზომას, როცა მის პოეზიაზე ვსაუბრობთ. დაახლოებით ასე აღიქმება კლასიკური ფილოსოფია თანამედროვე ფილოსოფოსების მიერ.

სად იყო მაშინ კაცობრიობა? რა ერქვა იმ ბალიშს, რომელზედაც თავმინებებული თვლემდა კაცობრიობა?

* * *

თანამედროვე ხელოვანს:

_ არის საზარელი დღეები, პირქუში დღეები, როცა შენი მარტოობა თავის მარტოობაში დანთქმული უფერო ხმით კივის და ამ კივილს არ შეუძლია სხვა რაიმედ იქცეს.

* * *

შენ ის მოგწონს და ეს დანაშაულია. შენ ის არ მოგწონს და ესეც დანაშაულია, რადგან რაიმედ ყოფნა უკვე უსამართლობაა სხვათა მიმართ.

ინატრო იყო სამართლიანი, იგივეა იყო _ არავინ.

და არავინ _ ეს ხომ თანამედროვე ხელოვნების გმირია? და იქნებ, ეს არის წყურვილი იმ უმაღლესი სამართლიანობის აღდგენისა, რასაც ჰამლეტის გაათკეცებული, იჭვიანი ჩახედვა სინდისის სიღრმიდან ამოზიდავს?

* * *

თანამედროვის ილუზია:

_ გსურს მუდამდღე ერთად შეკრებილს, მთელის სავსეობით შეიგრძნობდე იმ ტანჯვიან გზას ღმერთამდე მისასვლელ გზა-მდინარეს რომ დაჰბადებს შენში და აცოცხლებს.

რადგან გაშინებს არარადჰყო უნამდვილესის ახლომყოფობის სუნთქვა.

და მიტომაცაა შენი სული ასე დაუსრულებელი ძიების გზას რომ შესდგომია.

* * *

შეცბუნება და გაოგნება, სულის გაშეშება გიპყრობს, როცა თანამედროვე ხელოვნებასა თუ ფილოსოფიას ეცნობი.

თუ ეს მხატვრობაა, ხედავ მხოლოდ ამ უცნაურ და ფერად ლაქებს, წყვეტილ ხაზებს, ერთი აბსტრაქტული რგოლით ან კვადრატით რაღაზე მინიშნებას რომ ახერხებს, თუ ეს მუსიკაა, რაღაც ფრაგმენტი ჩაგესმის, რომელიც მხოლოდ იმპულსს გაძლევს, მაგრამ არ გატკბობს და თუ ეს ფილოსოფიაა, მზის პირისპირ გტოვებს ისე, რომ მზეს ვერ ხედავ. და ეს ხომ ბნელში თავჩაკიდებაა. და ესაა დღეს შენი აზროვნება. თითქოსდა თანამედროვე ფილოსოფოსი გიბრძანებს: ადექი! ამ ბნელში ხელის ცეცებით მარტოდმარტომ გაიკვლიე გზა! _ ეს არის დღეს შენი ფილოსოფია _ აზრი კი თავად შენ უნდა დაბადო.

ასე რომ, თანამედროვე შემოქმედი რაღაცის ცოდნას კი არ შთაგაგონებს, არამედ ისევ და ისევ საიდუმლოების ბურუსით სტოვებს ადამიანის სულს _ სტოვებს თავისივე თავის წინაშე.

შეიძლება ასეც კი გვეთქვა თანამედროვე შემოქმედების არსზე:

_ კაცის ღირსება სათუთია და იგი ვერ იტანს ვერც შეხებას და ვერც შედარებას. მას შეურაცხჰყოფს, რომ შესაძლებელია მისი სული რაიმეს ან ვინმეს მოაგავდეს, რომ ის იდუმალება, რაც აგვამაღლებს, რაღაც მიზეზით იქნეს ახსნილი, რომ ენით უთქმელი შეიძლება გადმოიცეს არსებულ ენათა მეშვეობით.

* * *

თანამედროვეს:

_ როცა თანამედროვე **ჭეშმარიტების ძიების სურვილს** ჩასჩერებია და ასე გაუთავებლად ჩხრეკს ამ «სურვილის საზრისს», კითხულობ:

_ რა არის ეს?

_ ნუთუ სინდისის სიწმინდე?

_ თუ ეს სულის დაცემაა?

და ხვდები, ეს თავზარდამცემი დაცემაა, **ასე არმოწიწებული რომ დაეძებს იმას, რაც უნდა მოეძია მოძიებამდე.**

* * *

_ ჩემი დღეები დათვლილია, _ ათასი წელია ასე ჩურჩულებს გაცივებული ტუჩებით შენი საწყალობელი სული შენი სიცივის უდაბნოში.

* * *

თანამედროვე ხელოვანი ჩემში:

_ მე ვიცი, პიროვნება უნდა შეიქმნეს თავისი ძალებით, თავისი ტანჯვით უნდა აიღოს სამყაროდან ის სინამდვილე, რაც მისი მე–ობის ძალებს, ამ ტანჯვით განწონილ ძალებს ძალუძს აიღოს.

მაგრამ მოულოდნელად ჩურჩულზე გადავდივარ, მაშინებს კიდეც, საუბრის ნიჭი რომ გამაჩნია. სიტყვებს რომ ძალუძს ვიღაცას რაღაცა აცნობოს. დაბეჯითებით ვერც იმას ვიტყვი თუ რა არის ტანჯვა მუდამდღე ასე რომ მღრღნის, და ამ გაუსაძლის ტკივილად, რომ აქცევს ყოველ საგანს, და კიდევ, აქ ისევ ჩურჩულზე გადავდივარ, რა არის ის ძალები ჩემად რომ უნდა ვიგულო.

* * *

თანამედროვის მინაწერი:

_ შენ შეიძლება სიყვარული მიიჩნიო, სიკვდილთან მიახლების გზად. შენ შეიძლება სიყვარული მიიჩნიო სამყაროს საზრისად, შენ შეიძლება სიყვარული მიიჩნიო სიძულვილის სხვა სახედ და ა.შ. და ა.შ.

და გცნობ, კარგად გცნობ, თანამედროვეობის უსახეობავ, ეს შენ ხარ, ასე რომ დამატარებ ყველა აზრთან და არსად მაყოვნებ, არსად მაფუძნებ.

* * *

თანამედროვის მინაწერი:

_ ბუნების დაძლევა არის კაცი, იტყოდა ძველი მორალისტი და ის თვით ბუნების ხმით მოდენილი ხმა იქნებოდა.

* * *

_ თანამედროვე ხელოვნება:

არაფერს არ უნდა ჰგავდეს ეს საგნები, რასაც მე გამოვხატავ _ ამბობს თანამედროვე ხელოვანი, _ რადგან გამოუთქმელია ჩემი სული და ის სინამდვილე, რაშიც განამდვილებულნი ვვარდებით.

* * *

რა საოცარია, როგორი თავმდაბლობა და უსუსურების შეგრძნება გამოსჭვივის თანამედროვე ფილოსოფოსის თუ ხელოვნების ქმნილებებში, შეიძლება ეს ასე გამოვთქვათ:

_ მათ დაბეჯითებით არაფერი იციან _

თანამედროვე ავტორი წერს:

_ მე არ ვიცი ვინ ვარ? მე არ ვიცი ვინ ხარ შენ? მე არ ვიცი ღმერთი არსებობს თუ არა? იქნებ ეს სამყარო ჩემი ილუზიაა? მაგრამ არის მთელი გვერდები, როცა მისი (თანამედროვე ავტორის) იჭვი თავდაჯერებით იცვლება, სამყაროს წინაშე თრთოლვა _ ამაყი მზერით, სკეპსისი კი დოგმატური ტონით. აი, ის საუბრობს კლასიკოსებზე და მათ ქმნილებებზე. ტექსტი დაახლოებით ასეთია:

_ კლასიკა ეს ხომ ფიქციაა, კლასიკური ნიმუშები და ქმნილებები ყალბია, მათი ნააზრევი უწონადო და სიცილის მომგვრელი.

* * *

რა უსახურად აღიქმება თანამედროვე ხელოვანისა თუ ფილოსოფოსის მიერ კლასიკურ ხელოვნებასა თუ ფილოსოფიაში მოპოვებული სამყაროს არსი _ კლასიკური ფასეულობანი თუ ღირებულებანი, _ ის შეუმსხვრევი საყრდენი, რაც სინამდვილეში რწმენით განათებულმა გზამ შეჰკრა და შეჰქმნა იმად, რაც არის.

მაგრამ როცა კლასიკოსების შესახებ თანამედროვეთა ნააზრევის მეტაფორული ენით გადმოცემას ვცდილობთ, ცხადი ხდება მათი უმწეობა, რადგან ამგვარ უაზრობას ვიღებთ:

_ მუდმივი ყეფით მიიღწევა ვარდის ბუჩქი, მუდმივ ქვითინით იქმნება სიცილის ნაკადი, მუდმივი კბენით აისახება სიყვარული და ა.შ. და ა.შ.

* * *

თანამედროვე ხელოვანს:

_ შენი დემონი პაწია კოვზით დაგდევს და შენს ტვინს ნაწილნაწილ ნთქავს. შენ კი თვალცრემლიანი რომ ჩაჰყურებ სიცარიელის ამ უსაზომობას, უმიზნობის ამ «გაუკვდავებულ ხატებას», გრძნობ სიგიჟის ნაპერწკალს, ამ შენს ცრემლს, სიცივის ამ დაუსრულებელ სივრცეში ვარსკვლავის სახით რომ ჩაკიდულა.

შენი ვარსკვლავები _ სინათლეთა სიკაშკაშეებით რომ აწყვდიადებენ სამყაროს საგნებს.

და ებრძვი ამ დემონს, მის თითოეულ კოვზს _ ახალ თვალს, ახალ ცრემლს, ახალ აზრს თუ ახალ გრძნობას უპირისპირდები.

შენ ხარ ადამიანი _ დემონის მპყრობელი.

* * *

თანამედროვეს მინაწერი:

_ დიდი ხანია სულელისა და ბრძენის საუბარი განურჩეველი შეიქმნა ჩემთვის.

სისულელეში ისევე ვხედავ სიბრძნეს, როგორც პირუკუ, სიბრძნეში _ სისულელეს.

დიდი ხანია დაირღვა ზღვარი საგანთა შორის, ერთიანი «მე» ამო-იზარდა და სამყაროს ქაოსს გადაეფარა.

* * *

თანამედროვე ხელოვანს:

_ ისევ ამაოებაზე გინდა ისაუბრო? კვლავ ზიზღით გინდა მიაპყრო თვალი თვალშეუდგამი ცის სიცივეს? განა უკვე არ ჰპოვე ამაოება ამ შენს ერთდაიგივე ამაოებაში? რა ზღვარს აწყდება შენი ფიქრის ფიქრი? რატომ ვერა და ვერ იპოვე კითხვის ფორმის შესაბამისობა? რატომ ვერ დაიბადე? რატომ უარყავი შენი თავი?

რად დაიღუპე შენ, ხელოვანო, დღეს დაბადებულო?

* * *

დაკარგე სანუკვარი ოცნება შენი, განცდა შენი, აზრი შენი.

დაკარგე თავი შენი, რაღა ხარ შენ?

რად იწოდები?!

* * *

ყველა საუკუნეში მოსჩანდა ზღუდე, ანუ იდეალი, რასაც ელტვოდა ადამიანი.

დღევანდელობის შავ უფსკრულად მოლოდინებს გაუფორმებელი არაფერი.

* * *

თანამედროვე ხელოვანი:
რაიმე ახალი უნდა დავინახოთ, რათა გამოვთქვათ ახალი.
დასანახი რომ აღარაფერია და თუ არის მიუღებელი, რა გზას დავადგეთ?
ჩვენი ხელობაა ნანახის განსულიერება.
ჩვენა ვართ მეხსიერება სამყაროსი.

* * *

ვინ შეჩერებულა აქ, ამ სივრცეებში, ამ პაუზათა ხლართებში, ამდენი ხნის დუმილთან, მზეთა ქორალთა აჩრდილებთან? ვინ გაბედავდა სავსებით შეემუსრა თავისი თავი, და არ კი დაეტოვებინა ნავთსაყუდლის ოცნების შესაძლებლობაც კი, ვინ-მეთქი? ვინ?
XXI საუკუნის შვილებო, საით მიდიხართ?

* * *

თანამედროვე ხელოვანს:
_ ქარის ჩურჩული თუ ბაბუაწვერას მეოცნებობა, ხეების საშინლად ადამიანური გამოხედვა თუ მოხუცი ქალის დაქანცული ღიმილი. შენ იცი, შენმა გონებამ იცის, რომ სამყარო ასეთია.
მაგრამ შენი სული ხომ დაბრმავდა.
და შენ ვერაფერს ვერ ხედავ.
ვინ ან რამ დაგიბრმავა თვალები?!

* * *

თანამედროვეობის «სინდისიერი თვალი»:
_ თვალი იგი დაბორიალობს უსასრულო წყვდიადის სინათლეში და ერთი უფერო არარა ეხილება ყოველდღიურად.

* * *

თანამედროვე ხელოვანის მინაწერი:
მზით დაბერილი ხეები ირხევიან. მე ვიცი, _ ის უმშვენიერესს მუსიკად გარდაიქმნება, ოღონდაც ვეღარასოდეს ვერ მოვისმენ.

* * *

თანამედროვეს მინაწერი:
_ ამდენი საუკუნე, ამდენი სიტყვა თქმული ფილოსოფიაზე, ამდენი გზა სამყარომდე მისვლისა და თითქოსდა პირველად, ასე ადამიანურად აიღო ადამიანმა თვალი იგი, სარკე იგი, ბაგე იგი, ცრემლი იგი და თქვა, აი სავალი გზა, აი ფანჯარა, რითაც მე ვხედავ.
ბაგე იგი, თავისი ბაგის გადავიწყებით რომ საუბრობდა.

* * *

თანამედროვეს მინაწერი:

_ დიდი ხანია, იქნებ ათასწლეულია, რაც შენ ვერცერთ წიგნში ვერ პოულობ სათქმელს _ რაიმე აზრი, იდეა, გრძნობა თუ ლოგიკა რომ გააჩნია.

დიდი ხანია, იქნებ ათასწლეული, რომ ჩაჰყურებ დროის მიერ დაგროვილი მეხსიერების ამ ნიშნებს. წიგნებს _ ჩვენი ცხოვრების საზრისი, ჩვენი სიცოცხლის არსი, ჩვენი მიზანი თუ ჩვენი ბედნიერება რომ უნდა გადაენახათ.
და შენ წინ აღიმართება მეხსიერების, ამ გიგანტური მეხსიერების არაფერობა, და თუ ვიღაცისთვის ეს წიგნები აზრებით სავსე საიდუმლოა, შენთვის ეს მხოლოოდენ სუფთა ფურცლებია, რომელთა შრიალი ამაოების ამაო რუდუნებას მოაგავს მხოლოოდენ.

* * *

თანამედროვეობის მუზა:

_ რა მაძრწუნებს? რა მაშინებს ისე მძაფრად, რომ სიკვდილის სახეს ჩავჩერებივარ თვალმოუცილებლად?

და ისევ ეს არაფერია, ეს არაფრის არაფრობა, რასაც ვერ ვამბობ, რადგან ვერ ვიგებ და ვერ შევიცნობ. ეს არაფერი ნიშანს მაძლევს, თითქოსდა ვიღაც კარებზე აკაკუნებდეს, ხან კი ვიღაც ფარდას სწევს.

და ასე ვიფარები ამ ბოროტებით, აქ ჩამოვარდნილი ყოველი მარცვალი აზრისა იღებს ამ არაფერობის სახეს და ასე იშლება ყოველი წიგნი, ირღვევა ყოველი აზრი და ფორმას კარგავს ყოველი საგანი.

* * *

თანამედროვე ფილოსოფოსი:

მე მსურს, გამოვთქვა აზრი, აზრი კი არა სჩანს. რადგან «ერთი აზრი» იმდენ სხვადასხვა სახეს იღებს ერთი წამის მეათედში, როგორც ღრუბელი უნებურ ფორმათა დაუსრულებელ ვარიაციებს. და მე ვიკვლევ, დაუსრულებლივ ვეძიებ აზრს უაზრობის ამ მორევში.

* * *

თვალი იგი, ვერაფერს რომ ჭვრეტს სახილველს, გული იგი, არარას რომ გრძნობს ყოველივეში. გონება იგი ამაოებად რომ სახავს მრავალფეროვნებას ქვეყნის სიკეთისას.

თვალი იგი, გონება იგი, სული იგი, მწირი მწირთაგანი, საიდან დაბადებული? რა მიზნით მოვლენილი?

ნიჭად დაბადებული თუ უნიჭობისგან ბერწად ქცეული.

* * *

ფარდებჩამოშვებულ ოთახში სინათლე ოქროსფრად იღვრება. მუსიკას მოცარტისას ყურს უგდებ და ჰკვირვობ: საიდან დაიბადა აღსასრული? სად წევს უფსკრული? ან ვინ მოიგონა ქაოსი?

ირღვევა საგნები, ინგრევა სამყარო და რატომ? ან შესაძლოა აქ გაგვხსენებოდა ეს ქიმერა?

* * *

თვალი დღევანდელი:

_ სინდისის თვალი ისეთ უსაზღვროებას დაეფინა, რომ ჰეგელის სამყაროში ის ვერ ჰპოვებს ჰეგელს, ფიხტეს სამყაროში _ ფიხტეს, მოცარტის სამყაროში _ მოცარტს და ა.შ. და ა.შ.

და მაშინ ვინ დაწერა ჰეგელის ლოგიკა? ვინ არის ის ხმა, მას რომ ამგვარად ამჟღავნებს? ან ვინ არის ის, ვინც მოცარტის მუსიკა, მოცარტის სივრცე შექმნა?

კითხვები, კითხვები და ისევ კითხვები. აი, ამგვარია თანამედროვეთა პასუხთა სურათი.

* * *

თანამედროვის მინაწერი:

_ იქ, სადაც თქვენ დუმხართ, იქ, ჩვენ აღვმართეთ ჩვენი სინდისი, ჩვენი ღმერთი, ჩვენი უფსკრული, ჩვენი მზეები და ა.შ. და ა.შ.

* * *

თანამედროვის მინაწერი:

_ ყველგან ქაოსი, შავი უფსკრული აღიმართება შენს წინაშე, ვით ამ საუკუნის მიერ დაბრმავებული შენს თვალთა ხედვა.

* * *

სოფისტიკა ბერძნებისთვის რაღაც შემთხვევითს, «მთლიანობის არანაწილს» წარმოადგენდა.

თანამედროვე ხელოვნებისთვის ამდაგვარია ბერძნებისეული მშვენიერება.

* * *

ნეტა ამ წუთებში რაზე ფიქრობს ის, ვინც მშვენიერია ჩემში. არ ძალმიძს მივუახლოვდე, ის მშვენიერია, მაგრამ არა ყველაზე ძლიერი და მთავარი.

* * *

თანამედროვე ხელოვანს:

_ რად ილტვოდი ასე უმიზნოდ თავისუფლების უსაზღვროებისკენ? რას მიაღწიე ამ უნუგეშო ტალღებში გამოხვეულმა?

* * *

გადაიღალა XXI საუკუნის ადამიანი თავის გათელვით, ბოროტებაში ვნებიანი ჩაძიებით, გულისგამპობი ქვითინით, უსუსურების შეგრძნებით, თავისი სინდისის ისეთ წვრილმანებამდე ჩხრეკით, სადაც სიკეთის სინათლე სავსებით დაკარგა.

გადაიქანცა და შეზიზღდა თავი, XXI საუკუნის პირმშოს. აღარ სურს დამცირება, მაგრამ დასამცირებელს რომ ვერ აღამაღლებს?!

_ საით წავიდეთ?!

მეტაფიზიკური კითხვები

* * *

ცნობიერება ჩვენ გვესახება ჩვენი სულის სარკედ, იმ იდუმალ სარკედ, კაცობრიობის სიმრთელე რომაა ამოტანილი. ოღონდაც ვინ ამბობს ამას? ვინ მოიფიქრა? როგორ მოიფიქრა? საიდან მოედინა და აგეკვიატა მისი სარკეობა?

და გრძნობ, ისევ თავბრუდამხვევი სიგიჟის ტალღების სიახლოვეს, იმ ბაგის დაუდგენლობას, რაღაცას რომ გვეჩურჩულება.

* * *

როგორ აღვიქვათ ტაშის ცემა? ეკლესია? ერთი ენის ფარგლები? როგორც პირობითი აღნიშვნანი, რეალურ საგნებთან არავითარი კავშირი რომ არ გააჩნია, თუ უმტკივნეულო გულუბრყვილობით მივიღოთ ისე, როგორადაც მოჩანს?

* * *

ბუნების ძალმოსილება განუწყვეტელი მოძრაობით, მაშასადამე წვეთ-წვეთობით, ნაბიჯ-ნაბიჯ ქმნადობით აღწევს იმ სიდიადეს, რომლის წინაშე მუხლმოდრეკილს გსურს ილოცო.

და შენ კი, მის პაწია ნაწილს, ასე დროგამოშვებით, არამუდმივი ძიებით გსურს მიეახლო ამ სინათლეს?

* * *

დავთრგუნოთ ვნებები და რა გზით? რით აღვუდგეთ ბუნების ძალმოსილებას, მის ყოვლადობას.

ბუნება ინიღბება, როცა გვნებდება და განა რა არის სიგიჟე, თუ არა საზღვარუარმყოფლის ხელახალი, ბუნებრივი დადგინება?

* * *

ვიცი _ ვამბობ და როცა თვალებს, სულის თვალებს მივაპყრობ ამ სიტყვას, თითქოსდა შეძრწუნება სიბნელით ფარავს ამ ჩემს ცოდნას.

ვინ იცის? საიდან იცის? როგორ საუბრობს? ან სიტყვები, ეს უცნაური ნიშნები საიდან მოიტანა?

და ეს შეძრწუნება თვით ტკივილდასაზღვრული სამყაროს რეალურობის უარყოფას ახერხებს.

* * *

რამდენჯერ უარყავი თავი შენი? რამდენჯერ დაეცი? რამდენჯერ უკანასკნელად მოავლე თვალი სამყაროს საზარელ მდინარებას?

განა თუ ბევრჯერ?

მაშ, ქება და დიდება შენ.

* * *

ფანჯრის რაფასთან, დახურული ფარდის გვერდით სავარძელში მიყუჟული წიგნს ჩასჩერებიხარ, რათა იცნო საკუთარი თავი და სამყარო.

მაგრამ შენ არ იცი, ფარდაჩამოფარებული ფანჯრიდან სულ ოთხიოდე ნაბიჯის იქით რა ხდება? შენ არ იცი, რას იტყვი 30 სიტყვის შემდგომ. არ იცი, რა არის შენი ჟინიანობის მიზეზი. მიზეზი შენი ხასიათის ცვალებადობისა. არ იცი, რა იმალება დაფანტული ფოთლებისა თუ ვარსკვლავთა ციაგის იქით.

არ იცი, ვინ დადის ამ დროს ფანჯრის იქით, ვინ ქვითინებს, ვინ გიჟური სიხარულით ცას შეჰყურებს, არ იცი ვიღაც გულამოგდებით რატომ რბის...

არ იცი...

შენ სევდიან თვალებს მაპყრობ, შენ ქვითინით ხელებს იწვდი ჩემსკენ და ისიც კი არ იცი, ვინ ვარ მე?!

* * *

სად არის ჩემი თავი? ვინ ვარ მე? როგორ ვეძიო იგი?

მთელი ცხოვრება ხომ მის სხეულს დავატარებ, მისი სახე კი არსად სჩანს.

და მეშინია კიდეც დავსვა ეს კითხვა:

ვინ ვარ მე? სად ვეძიო იგი?

რადგან მისი უჩინარობა, თითქმის ირეალურობა და მიუწვდომლობა თავზარს მცემს.

და ისევ ჩურჩულით ვკითხულობ:

ვინ ვარ მე?

* * *

როგორ ავხსნათ შურისძიება, იჭვი, შური, სიძულვილი, სიხარბე და ა.შ. და ა.შ., როგორც არაადამიანის თვისებანი?

როგორ წავიკითხოთ კაცობრიობის ისტორია, თუ ყველა ტირანი არაადამიანი იყო, თუ ომები არაადამიანთა პირმშონი, თუ ბოროტება მხოლოდ და მხოლოდ არაადამიანის ნიშანი?

და აი ეს, წაკითხვის შეუძლებლობა, მტკივნეულად მიგითითებს ადამიანში ბოროტების არსებობაზე.

* * *

პოეტის გზა:

შენი ხმა, შენი საკუთარი ხმა, ასე რომ გეუცხოება პირველი სიტყვის წარმოთქმის დროს.

* * *

მიამიტი თვალი:

_ სიკვდილის თვალით მზირალი თვალი რომ არა, განა სიცოცხლე დაურღვეველი სიცოცხლეს დაინახავდა?

* * *

_ რამ შეიძლება შეგაკრთოს ან შეგაშინოს? რას შეუძლია მოგიახლოვდეს, შეგეხოს ან გაამძაფროს შენი ტკივილი?

აღარაფერს და ისევ და ისევ აღარაფერს, რადგან ათასი წელია, სიცივის უდაბნოში ერთუფეროდ მოსჩანს შენი ტკივილი, რომლის უარყოფა ისევე შეუძლებელია, ვით შენი მე-ობის ნამდვილობისა, ათასი წელია რომ უკვე მოიპოვე.

* * *

უმთავრესი განა ის არაა, რომ ნამდვილად გავერთიანდეთ? რაღაც მთელი შევქმნათ სიხარულისა და მწუხარებისა?

განა ჭეშმარიტებისკენ მისასვლელი გზა აქედან არ იღებს სათავეს?

განა თავად ჭეშმარიტების განსხეულება არ იქნებოდა საყოველთაო ურთიერთგაგება?

* * *

რამდენ ნაბიჯს გადადგამ? სადამდე გეყოფა ნება? როდემდე არ დაკარგავ ურწმუნოებით დაგესლილ რწმენას? სადამდე იქვითინებ?

აი, შენი საგნებთან მიახლების ფანტასმაგორია.

რასაც შენ ნაშრომის სახით აქვეყნებ და პომპეზურ სათაურს დაურთავ: «სამყაროს შეცნობისა და ადამიანის რაობის წვდომის გზები».

* * *

ვის შეუძლია დაინახოს კაცი გულის თვალებით? ვის შეუძლია პირი პირთან მიუტანოს სხვას და ასე შეაგებოს სიყვარული?

თვალი თვალში გაუყაროს, იცნოს და მის სულს წვდეს?

ამ კითხვებში გამჟღავნდება თანამედროვე კაცის უსასრულო სამყაროთა რიგების აზრი.

* * *

რა არის საზარელი (თავზარდამცემი)? რომ არსებობს რაღაც, რაც წარმოუდგენლად მიუღებელია ჩვენი არსებისათვის? თუ საზარელია, რომ სულაც არ არსებობს რაღაც, რაც წარმოუდგენელია ადამიანისთვის?

მაშ, ისევ გავიმეოროთ:

რა შეიძლება იყოს წარმოუდგენელი ადამიანისთვის? თუ პირიქით _ ადამიანისათვის წარმოუდგენელია ბევრი რამ და მიტომაც არის იგი ადამიანი?

აი კითხვები და ისევ მხოლოდ კითხვები, ვით ჩემი სულის ცრემლები. ასე ცალ-ცალკე და მაინც ერთ მდინარედ მომდინარნი.

* * *

მიდის დღეები, უფერული და სევდიანი. ქვითინით მივსდევ ნისლის ნამქერს, ოღონდ კვალი არ რჩება.

ჩემს ტკივილს ვერ ვერევი და ვდუმვარ. ვდუმვარ, მაგრამ ვინ დასტოვოს არსებობის ჩემეული ფორმა? ვინ აცნობოს იმ სხვას, რომელიც, ვინ იცის, ჩემს ხმას გაიგებდა, რომ აქ ვდუმდი და ასე ვეძიებდი კითხვებზე პასუხს?

* * *

სიგიჟეა სერიოზულად ფიქრობდე, რომ უპასუხებ: რატომ მოვედით აქ? მაინც და მაინც აქ, ახლა, ამგვარი სახით? რა მიზანი აქვს სიცოცხლეს დედამიწაზე? ან რა არის სიზმარი? განსხვავდება თუ არა იგი სიცხადისაგან? და ა.შ. და ა.შ.

მაგრამ უფრო მეტი სიგიჟეა არ გაწვალებდეს ეს კითხვები, ანუ შენს ადამიანობაზე უარს ამბობდე დაუნანებლად.

* * *

თავს გადაახტე, რათა იხილო _ რა? უსასრულო სამყაროთა ცივი სიდიადე, ვარსკვლავების სულის გამყინავი ციაგი, ადამიანური სიბრძნე სიცარიელის უდაბნოში, ჰამლეტის იჭვნეული მზერა, ფაუსტი...?! იხილო ვინ? ვინ-მეთქი?!

საზღვარი, სადაც შენ ჰყოვნდები... საზღვარი, სადაც შენ წაიფორხილე... ისევ გსურს, იხილო? ისევ და ისევ...?

* * *

დროის ფლანგვა, ამაო თამაში, ამაოდ როლის მორგება და ვის ამაოებ, თუ არა ისევ და ისევ შენს თავს, _ შენში არსებულ სიკეთეს და ნიჭს?

* * *

რაზე მსურს ვწერო? რაზე? ვისზე? განა ჩემი სურვილი აყალიბებს კი აზრს ჩემსას? განა ჩემი ოცნება ეხება კი აზრის საგანს მიახლოებით?

დაეჭვებათა გადახლართული ჯაჭვები აზრად ჩამოყალიბებამდე.

* * *

უწონადო საყრდენი:

_ ის ამბობს: _ მთავარია ნაწერში..., ის ამბობს: მთავარია პიროვნებაში..., მთავარია ქმედებაში etc და etc.

მაგრამ რა არის სიტყვა მთავარი ვერავინ გვეტყვის, ის ხომ სათქმელის სიღრმეში იძენს კონკრეტულ მნიშვნელობას. მაშასადამე, მთქმელის _ მოაზროვნის სუნთქვის შესაბამისად მეტამორფოზას განიცდის.

* * *

ყოველწამს ვადარებთ საგანს საგანს და რატომ არის ეს შესაძლებელი, ან რა აზრი აქვს ამგვარ შედარებას, არ ვიცით.

* * *

ფილოსოფიური სარკის ზედაპირზე:

_ საით მიდის ყველა გზა, თუ არა ისევ და ისევ დილემასთან:

რა არის პირველადი: იდეები პლატონისა თუ «tabula rasa» ლოკისმიერი კითხვარებით?

* * *

თანამედროვეთა საშიში გზა:

სიწმინდე სულისა _ სინდისის შენი მწვერვალი?!

ხომ უაზრო კითხვაა, და მაინც თანამედროვეთა თითქმის ყველა კითხვა არაცნობიერად ამ კითხვას დასტრიალებს.

უაზრო კითხვაა და მაინც ვისთვის?

ისევ და ისევ იმ კაცისთვის, რომელიც მისტიურ საფეხურებზე ასულა ან უცდია ამ მისტიური პრიზმიდან წაეკითხა სამყარო.

* * *

ფილოსოფოსის აღსარება:

_ რა არის გასაგები, დღემდე ვერ გამიგია და სულ რაღაცის ახსნას ვცდილობ.

ასე ჩემს ბუნდოვნებაში გადაგდებულობას უწოდებენ აზროვნებას.

* * *

უსაზღვროების მოვლა ქარიშხალთა მოზღვავებით, თავბრუდამხვევ-შხამიან, სიგიჟის ფრთებით მიმოსვლა კოსმოსის უსასრულობაში და წვრილმან მანკიერ, ბოლოვად საგნებით მოცვა-შეზღუდვა თავისა.

და ორივე კი უბრალოდ შეიძლება ცრემლით გამოისახოს.

* * *

რას იცავს ერთი შეხედვით არასაჭირო ზრდილობის წესები, ჩვეულება, ტრადიცია... რას იცავს კანონი?

რატომ მოიცავს საზოგადოებას გაუგონარი აღშფოთება, როცა რომელიმე ამათგანი ირღვევა? რა აზრი იმალება ამ აღშფოთების იქით?

დაირღვა ტრადიცია... დაირღვა ზრდილობის წესები... დაირღვა კანონი... შეურაცხყოფილი საზოგადოება უსაზარლესი ნიღბით ფეხზე წამოიმართება, ვით ერთი პირი და მრისხანედ უპირისპირდება დამრღვევს. რა ჰქვია ამ ბრმა ნებას, საზოგადოებას რომ წარმართავს, რა ჰქვია საპნის ბუშტის მაგვარ ამ ფიქციას, ადამიანებს შორის მოქცეულ ამ ხელშეუხებ დისტანციას რომ იცავს?

* * *

საოცარი სჩანს ბევრი რამ. მაგალითად ის, რომ უცნობობას ვთა-მაშობთ, თუმც ყველანი კარგად ვიცნობთ ერთმანეთს _ ყველანი ხომ ადამიანები ვართ.

ის «უცნობია» და ეს საკმარისია, გულგრილი უცხოობით ის რომ უარვყოთ.

ნაცნობისთვის კი არც «ღიმილი» და არც «თანაგრძნობა» არ გვენანება.

საოცარია ეს თამაში, მისი აზრი _ გაუგებარი, და მაინც ეს თამაში შეუსვენებლივ გრძელდება.

* * *

მე მიყვარს იგი, რადგან მას ცისფერი თვალები აქვს. მე მიყვარს იგი, რადგან მას ლამაზი მკლავები აქვს. მე მიყვარს იგი, რადგან ის კარგად აზროვნებს. მე მიყვარს იგი, რადგან მას ნაზი და სათუთი სული აქვს. მე მიყვარს იგი, რადგან იგი უშიშარია.

მე მიყვარს იგი... ასე ერთ ტომარაშია მოქცეული სიყვარულის შემწეობით ღირსებიანი თუ უღირსებო საგნები.

* * *

ნაუცბათევი აზრი წყვეტილ-წყვეტილად სუნთქვა თუ წვეთი წვეთს დაშორებული მდინარება გრძნობისა არა გსურს და მთლიანობის სავსეობას, ვაი, რომ ვერ მიეახლები.

საით უნდა წახვიდე? სად არის გზა შენი იგი მართალი? ამაო დაყოვნება თუ ამაოა მოძრაობა? თუ ამაოა ღელვაც კი ამგვარ საგნებზე? ნუ იცინი, შენ ჩემში ყველაზე ბნელად ნათელო, თვით სიცილი შენი ფიქრის ფიქრია.

საით წახვალ, დღეს რომ ვერ გიპოვნონ?

სად ჰპოვებ სიმშვიდეს?

* * *

კაცს მიუთითებენ, რომ ის მეტისმეტად ჩქარობს და ამით ნააზრევს აბუნდოვნებს.

მაგრამ, ვინ იცის, ზოგადად რა არის ადამიანი და ან კონკრეტულად, ვინ არის ეს კაცი? შეიძლება ამ პატარა ნიუანსითაც კი ჩვენ მთლიანი კაცი მოვიხელთოთ და უარვყოფთ _ რადგან ადამიანის არსება სწორედ ამ მოუხელთებელი პატარ-პატარა ნაწიბურებისაგან შესდგება.

და ვინ იცის, იქნებ ამ შენიშვნით თავად კაცს უარყოფ და მის აზროვნებასაც.

* * *

_ შეცნობის გზა გაოცებულის შეძრწუნებით _ სინათლის სიბნელე:

განა ცხადი არ არის, რომ სამყარო გვიჩვენებს ამ საგნებს, ვით ჩვენი სულის ნაწილებს?

და რა? შეჰყურებ საკუთარ ხელს და არ იცი, რომ შენი ხელია. უსმენ საკუთარ ხმას და ვერ ცნობ, რომ საკუთარი ხმა არის. შეჰყურებ ამ საგნებს და ვერ ცნობ, სამყაროს შენში რომ არის და სხვაშიც.

* * *

წიგნი იწერება _ მკითხველი კითხულობს.

_ მაგრამ ვინ არის ნამდვილი მკითხველი: ვინ არის ის, ვინც გააერთიანებს ამ ნააზრევს და იმ დიდ გამოცდილებად აქცევს, კაცობრიობის მეხსიერება რომ ჰქვია?

და თუ არ შეიძლება გაერთიანდეს ეს მეხსიერება _

_ რა აზრი აქვს წერას? აზროვნებას? სამყაროს აღქმას?

თუ არ შეიძლება ერთ მთლიანობად აღვიქვათ სხვადასხვა ავტორის ნააზრევი?

მაგრამ ყველაზე მეტად ამ კითხვების დასმის უსარგებლობას მაშინ ვგრძნობთ, როცა ხელთ ფილოსოფიის ლექსიკონს ვიღებ, სადაც ერთი გვერდი მეორეს ეწინააღმდეგება, მეორე მესამეს და ა.შ. და ა.შ.

* * *

ადამიანის სული შეუცნობია და ყველაფერი, რაც მას უკავშირდება _ დაუსაზღვრელი.

* * *

შენ გსურს დასაზღვრო პიროვნება, როგორც ერთი მთელი, მდგომარეობის ბატონ-პატრონი და მაშინ ხომ იძულებული ხდები უარყო, რომ პიროვნებას შეუძლია ჩაიდინოს მკვლელობა, იმრუშოს, მოკლედ, ჩაიდინოს რაიმე ბოროტება.

კი მაგრამ, იცინის მავანი და თან მეკითხება:

_ ეს ხომ აშკარა წინააღმდეგობაა, არსებობენ მხოლოოდენ კეთილი პიროვნებანი?

* * *

დუმილი ოქროდ ღირებული?! ოღონდაც ვისი დუმილი?! ბრიყვის დუმილი თუ ბრძენის დუმილი?!

* * *

თითოეულ სამყაროში იცვლება სევდა, მელანქოლია, სიხარული, იცვლება ფერები, იცვლება შეხედულებანი თუ აზრი ცხოვრებაზე, იცვლება მოსაზრება ადამიანის დანიშნულებაზე თუ მის ღირსებაზე და ა.შ. და ა.შ.

იცვლება ყველაფერი და მიტომაც ასე შემაშინებელია ადამიანთა გასაუბრება, ადამიანთა მეგობრობა თუ უბრალოდ ნაცნობობა.

და ეს სულის თვალის წინაშე აღმართული სამყაროთა რიგები _ ვით ბაბილონის გოდოლი _ გვაძრწუნებენ და მაინც მხოლოოდენ ამგვარად ეძლევა გასაუბრებას აზრი.

* * *

მოჯადოებული წრე:

_ არავინ იცის დაბეჯითებით, ვინ არის ფილოსოფოსი? ვინ არის ხელოვანი? ვინ არის მორალისტი?

მხოლოდ და მხოლოდ თავად ფილოსოფოსი, ხელოვანი თუ მორალისტი თავისი სამყაროს შიგა შრიდან იძლევა ამის დეფინიციას.

და მაინც ყველაზე გასაოცარი კი ის არის, რომ ჩვენ თვალახვეულებს ვიღაც მიგვიძღვება და ვამბობთ: ეს ფილოსოფოსია, ეს ხელოვანია და ეს კი მორალისტი.

* * *

რატომ ვერ უნდა შევძლო განვთქვა დუმილი?

ოდესღაც სიტყვებიც ხომ დუმილში ჩაჭრილი ტკივილის «აგურებით» შენდებოდა? და ჩემს დუმილს კი ვერ შევარხევ ტკივილის სიმებით?

* * *

განა ცხადი არ არის, რომ შეუძლებელია ვინმეს ციტირება: ეს ხომ ერთი «ნატეხია» იმ მზისა, რომელიც არავის უხილავს. ანუ ერთი სისტემიდან განსხვავებულ სისტემაში საგნის გადატანა _ რომელსაც სულ სხვა აზრი და ღირებულება ეძლევა.

განა რას მოგვცემს ეს ციტირება? და განა ამგვარი არ არის ჩვენი კითხვის პროცესი? ჩვენი გასაუბრება?

მზის სხივი მზის უნახავ კაცთან.

* * *

საიდან მოდის ეს უსასრულო ტანჯვა? საიდან იღებს სათავეს ეს საზარელი კირთება? უსაზღვროების ტვირთი ადამიანში _ ამ სუსტ, ეფემერულ არსებაში?

* * *

ვინ არის ჭეშმარიტი ადამიანი? ის, ვინც შეიმეცნებს სამყაროს? მაგრამ ვისზე შეიძლება ითქვას დაბეჯითებით, რომ ის შეიმეცნებს ჭეშმარიტად სამყაროს? იქნებ, ჭეშმარიტი ადამიანი არის ის გულწრფელი არსება, გრძნობათა და ვნებათა ცოდვით რომ ეხება ცხოვრებას?

მართლაცდა, ვინ არის სულიერი არსება?

თუმცა ასე პირდაპირ, ღიად და კონკრეტულად არ სვამს ამ კითხვებს თანამედროვეობა, მაგრამ როცა მან უარყო დეკარტი, _ ამავდროს უარყო კლასიკოსი, _ ვის იქითაც მეთოდი, სისტემა იმალება, _ უარყო ხელოვანი, სიუჟეტური ქარგით რომ ამთლიანებს ხელოვნების ნიმუშებს და სტილის ერთგულებას ქადაგებს. დეკარტის იქით კი, მაშასადამე მთელი კლასიკური ფილოსოფიისა და ხელოვნების იქითაც, მისმა სათუთმა სულმა, სინდისის სიწრფელემ იპოვა კაცი ტანჯვას რომ განერიდა, რადგან ცხოვრება უარყო. და ამით შექმნა ტალღის ერთიდაიგივე ზედაპირი, რომელზედაც ტივტივით ტანჯვის ილუზიას გვიხატავს.

თანამედროვეობამ კი, თავის მხრივ, ამოარჩია დაუცველი კაცი, თავისი ძალების მუდმივი ძალისხმევით თავის ხმას რომ უბრუნდება. ოღონდ ისე, რომ ყოველთვის თავიდან უარყოფს ცხოვრებას და ცხოვრების ტალღის მონაცვლეობის ჟამს ისევ იმ ერთ ტალღას უბრუნდება, ცხოვრების უარმყოფელ ტალღას.

ასე რომ, მისი სათქმელი, მას მართლაც ებმის.

* * *

ვინ გვეტყვის, სად არის კაცი დაცემული? ან ვინ გვეტყვის, სად არის კაცის სულიერი ამაღლების მწვერვალი?

იქნებ ეს არის კიდეც ყველაზე მნიშვნელოვანი, ღირებული კითხვები... ამ კითხვებზე პასუხი შეგვაძლებინებდა ადამიანის ნამდვილი საუბარი მოგვესმინა, რითაც შევძლებდით მის სულს შევხებოდით?

და ეს ხომ მხოლოდ იმ განუსჯელ მოსმენას ძალუძს, რაც მხოლოდ და მხოლოდ ხელოვანს თუ ხელეწიფება, რადგან მხოლოდ ხელოვანს შეუძლია ადამიანის ჭეშმარიტი სასამართლო პროცესი აღადგინოს.

(აღადგინოს, ცხადია, აქ იმ უმაღლეს სასამართლოზეა საუბარი, ღვთიური გულის თვალით, რომ აღასრულებს მართლმსაჯულებას.)

* * *

საერთო მუსიკის საიდუმლო:

_ წყურვილს იკლავდეს ვითომცდა, ისეთი გამალებით ეწაფება ადამიანი სახელგანთქმული ავტორის შედევრს... კითხულობს... კითხულობს... და კითხვის შემდეგ ყველაზე არსებით ნაწილებზე მითითება ყველას შეუძლია.

რის გამოა ეს ერთობა? საიდან მოდის ეს უცთომელი მიგნება არსებითისა?

* * *

თუ კაცის ნების შესაბამისად არ შეიძლება მიიქცეს ის, რასაც ბუნების საჩუქარს ვუწოდებთ, თუ მას არ ძალუძს თავად გამოჭედოს თავისი თავი მაშინ რა აზრი აქვს ვეძიოთ ღირსების ფასეულობანი, ადამიანის პატივისცემის საზრისი, კაცობრიობის მიზანსწრაფვის შინაარსი?

* * *

სიმწირე სულისა, საიდან?

სიცოცხლის, ამ აღმტაცი დინებისგან ნაშობი? ამ ურთულესი მოვლენის წიაღ?

საიდან სიმწირე სულისა?

* * *

შენ გსურდა ალერსი, შენ გსურდა სიყვარული და ბედნიერება, ახლა კი წერ ტრაგედიის შესახებ?

სად გიპოვით?!

* * *

მოვიდეს ადამიანი დედამიწაზე, დაიბადოს სიკვდილის იდუმალი საშოდან, მოხვდეს ფერთა მდინარებაში, უთვალავ სუნით საამო და დამათრობელი ნაყოფნი დახვდეს საცდურად და უარი თქვას.

ამაო ყველაფერი _ თქვას, მიღმურ სამყაროს მიაპყროს თვალები და გაჩერდეს?!

* * *

განა ყოველდღიურობის ამაოებაში, ამ ერთდაიგივეობაში არ გსურდა გეძია ნუგეში? განა ამ უწყინარ თამაშთა წიაღ არ სურდა შენს მარტოობას თავის შენიღბვა? და რა? რა ჰპოვე?

თუ არა გული დაფლეთილი, უნიადაგო მარცვალთ ცვენის ცქერა, თუ არა შენი სასოწარკვეთა, სამყაროს მდუმარების ხმად რომ ჩაგესმა.

* * *

შენ მათ არიგებ, ვნებათა მოთოკვას უკიჟინებ და შენში, მწუხარებით ვნებულ სულში კი ფორიაქობს «მრუში აზრები»?

* * *

თანამედროვის მინაწერი:

_ კითხვები... კითხვები... მომდინარი შენი სულიდან, ისეთი სისწრაფით, რომ საბოლოოდ გაუფორმებელი კითხვების ნაცვლად გრჩება მტანჯველი, მწველი კაეშანი.

ინტელექტუალის სოლფეჯიო

* * *

სადმე გადახტომის შეუძლებლობა:

_ სასაცილოა სიტყვა რეალურობა, რადგან დაუდგენელია რა არის რეალურობა. მაგრამ ასევე სასაცილოა სიტყვა არარეალური _ სიტყვა არარა, სიტყვა აბსურდი.

სასაცილოა ბევრი რამ, რასაც მეტისმეტი სერიოზულობით ვეკიდებით, მაგრამ სასაცილოა არა ბოლომდე. რადგან კაცის სიცილი თუ ის ნამდვილად იცინის, სადღაც წყდება და ცრემლად იღვრება.

* * *

ეს ადამიანები არასოდეს რომ არ შეგეხებიან. აი, ეს ქალი შემოგცქერის, გხედავს?

ასე შეიძლება შემოგყურებდეს _ გიცნობდეს შენი მეგობარი.

* * *

მთელი შემოქმედება ეს არის სწრაფვა ჩასწვდე სამყაროს, შენს წინაშე გადაიხსნას ადამიანის სულის უფსკრულები, ისწავლო სამყარომდე და შენს მე-მდე მისასვლელი გზები.

ისწავლო, გამოხატო სწავლების ბილიკები და ბოლოს «ლტოლვიანი ცნობანი» ითამაშებენ იმპერატივების როლს.

* * *

დანტეს ჯოჯოხეთიდან განდევნილი არარაობა, დღეს ჩვენი ნაწარმოების მთავარ თემად იქცა.

* * *

რეალურობა რეალურობის ფარდა.

* * *

ლოგიკური ამონახსნები ზნეობის დარგში ხომ ყოვლად მიუტევებელია. ვინ არ იცის ეს. მაგრამ განა თანამედროვე ფილოსოფოსები ძველი თაობის ფილოსოფოსებს ამ ბრალდებით არ ემიჯნებიან?

* * *

ქიმერიული ფანტასმაგორია, შენ წარმოსახვას რომ აღავსებს და ამოძრავებს.
პატარა კენჭი წყლის ზედაპირს რომ არხევს.

* * *

კანტი კითხულობს ჰიუმს და პოულობს კანტს.
პასკალი კითხულობს მონტენს და ისევ პოულობს პასკალს.

* * *

განწონო ადამიანის ცრემლი?! განა ვინ არ გაიცინებს ამას რომ წარმოისახავს, და განა რას წარმოადგენს ორი განსხვავებული ავტორის ნაწარმოების ურთიერთშედარება თუ არა ამის მცდელობას?

* * *

რატომ გვაცინებს და გვაღიზიანებს ნებისმიერი ქრესტომათია? რადგან ის ცდილობს ხელოვანისა თუ ფილოსოფოსის სიჩუმესა და ტანჯვაში განვლილი სულიერი გზა წაშალოს და ბრბოს უსახობამდე დაიყვანოს ნებისმიერი ხელოვანისა თუ ფილოსოფოსის ინდივიდუალობა.

ქრესტომათია ცდილობს ავტორის (ხელოვანისა თუ ფილოსოფოსის) მარტოობის დათარიღებას, ადამიანური სასოწარკვეთისა თუ სევდის წარმოშობის მიზეზების სავსებით ბიოგრაფიული ფაქტით ახსნას. მოკლედ, ის ცდილობს pretexte – causa-დ აჩინოს.

ქრესტომათიის არსი _ ადამიანური ცრემლის განჩხრეკა.

შეიქმნა გზა ხელოვანისა თუ ფილოსოფოსის სამყარომდე, ნიშნავს იყო თავმოდრეკილი მსმენელი და მათ ცრემლს იღებდე ისეთი განუსჯელობითა და უბრალოებით, როგორც მზის სხივი უბრალოდ, უმოკლესი გზით ცხადს ხდის საგანთა რაობას.

სინათლე სინათლის პირისპირ _

_ ეს ხომ უანგარო, მჭვირვალე ცრემლთ მდინარების ცნობაა, ადამიანურ რაობას რომ რწყავს და მათ ღვთაებრიობას გვიმჟღავნებს.

* * *

ხშირად შეუმჩნევლად ბუდობს ჩვენში ჩვენი ყველაზე უბოროტესი მტერი _ რადგან ვერ ვცნობთ მას.

ეს არის ჩვენი მცონარება, უმოქმედების, ძილის, მოშვებულობის დაუძლეველი სურვილი, ასე რომ გვთრგუნავს, რადგან მის წინააღმდეგ ვეღარაფრით ვერ აღგვიმართავს ჩვენი ნება.

ასე მცონარებით თვალახვეულებს, ჩვენი უბოროტესი მტერი ჩვენს სულს მიაძინებს, რათა ჭაობის სიბლანტეში ზანტად ჩაგვითრიოს, ნელ-ნელა ჩაგვძიროს და ასე მოგვაშთოს.

* * *

თანამედროვეს მინაწერი:

მუდამ მიწყდება აზრი, რომლის გაფორმებას ვეშურები.

მყისიერად ჩნდება «მე», რომელიც აკვირდება «მე»-ს დაკონკრეტებას.

აქ ვჩერდები. აქ ფორმდება ვიღაცისთვის მსწრაფგადასასვლელი სივრცე, ვიღაცისთვის მუდმივ დაფარული.

* * *

რას იცავს კანონი?

კანონი, რომელსაც არ შეუძლია განუსჯელად მიუდგეს ადამიანს. არ ძალუძს ადამიანის შინაგან ხმას მისდიოს, მისი ქმედებათა ჯამის იქით მისი სულის მოძრაობას თვალი ადევნოს, განწონოს მისი ტანჯვა, რითაც მის ცოდვას გადახაზავდა.

და ბოლოს, ვერასოდეს შეაფასებს თუ რა იმალება კონკრეტული დანაშაულის იქით?

და ბოლოს რა რჩება კანონს?

გარეგნული ფაქტი _ გარეგნული ქმედება, რომელიც ერთადერთი მინიშნებაა ადამიანის სულის მოძრაობისა.

კანონი არამც და არამც არ არის ადამიანის სულის "დამცავი მექანიზმი». შეიძლება დაბეჯითებით ვთქვათ, კანონი ჩვენი სხეულის დამცავი მექანიზმია, იმ სხეულისა, იმ არსებისა, რომელიც შეიძლება იქცეს არსად და შეიძლება არ იქცეს არსად _ არარად გარდაისახოს.

ამიტომაც შეიძლება ასე დავაზუსტოთ:

- კანონი იცავს ჩემში ჩემს შესაძლებლობას,

შესაძლებლობას - ვიქცე ადამიანად, ღვთაებრივ ადამიანად.

* * *

თვალი მხედველი:

_ შენი ფანჯარა _ შენი სარკეა.

* * *

არასოდეს არ ვიცით ჩვენი შესაძლებლობების ზღვარი. .... უძირო ჭიდან ამოიღებ ერთ დოქს და იკმარებ.

უფრო ხშირად ასეთია ჩვენი ნებისყოფის დაძაბვის შედეგი.

* * *

ადამიანური სისულელე თუ ბიწიერებათა შკალა ყველგან ერთი და იგივეა, რადგან იცვლება ფორმა და არა არსი.

და მაინც კაცს სჯერა, რომ სადღაც ყველა ბრძენია, სადღაც ყველა სპეტაკი.

იმედოვნება დისტანციის იარაღით.

* * *

ბუნების თვალის უსახეობა:

_ მრუშობა, ქურდობა, მკვლელობა თუ სხვაგვარი დანაშაული ადამიანურის გზიდან, კაცის თვალიდან იმზირება დანაშაულად.

ბუნების თვალი კი მათ სიცოცხლის ძალთა უბრალო გათამაშებად მიიჩნევს, მზის ძალის წყლის ძალთან გასაუბრებად თუ სიცოცხლის ნაკადების უნებურ მიქცევ-მოქცევად სიცოცხლის მოძრაობის წიაღ.

თანამედროვემ კი, რომელმაც ჭეშმარიტებას ყალბი გულწრფელობა და ყალბი ბუნებრიობა ჩაანაცვლა _ მრუშობა, ქურდობა და მკვლელობა, მოკლედ ყველანაირი სახის ცოდვა ლამის თავის ღირსებად მიითვალა და ასე მიიწება ბუნების უსახო თვალი.

* * *

თუ ფილოსოფიით ადამიანი ღმერთს მხოლოდ უნდა მიუახლოვდეს, ხელოვნებით ისე თამამდება, რომ თავს თავად ღმერთად წარმოისახავს.

* * *

თანამედროვე კაცი:

_ შენ გიყვარს ღვინო, შენ მიდრეკილი ხარ უმიზეზოდ იჩხუბო, შენ შემთხვევას არ გაუშვებ კეთილი საქმით არ შეეწიო მოყვასს, შენ მუდამ წყნარად მოკალათებული ჩაიძინებ სავარძელში ვახშმის შემდგომ, შენ ძალიან ხშირად ათენებ ღამეებს, იმაზე ფიქრით, რომ კაცობრიობა სიხარულის ნათლით შეიმოსოს, შენ უტიფრად აბრაზებ ხშირად ქუჩაში შემხვედრს, შენ გიყვარს პირს უკან მეგობრებზე აუგის თქმა, შენ, ჩემო კარგო, ტკბილეულისკენ მიდრეკილი კაცი ხარ, შენ გატირებს ყოველი კაცის სახე, რადგან გტკივა ყოველი კაცი, შენ ქალების მოტრფიალე ხარ, შენ გიყვარს უმიზნოდ ქუჩა-ქუჩა ყიალი...

და ასე განსხვავებული ხასიათისა თუ ქცევის ერთიანობა ქმნის შენს სახეს. ამ უცნაური მთელის, მოურიგებლობისა და დაფანტულობის ერთიანობა ქმნის შენ ხელწერას.

* * *

ოდნავ სხვაგვარად თუ შესძლებ გაღიმებას, ვიდრე მსახიობთა შენეული კრებული იღიმის, ღმერთმანი, გაგაღმერთებ.

* * *

რა არის ეს?

რად მივინიშნოთ თანამედროვე ხედვის ეს უფართოესი ჰორიზონტი? სულის ეს გასაოცარი უნარი თავისთავში ერთდროულობით იმწყვდიოს მეფისტო და ფაუსტი! კაენი და აბელი! ქრისტე და იუდა!!

ითავსებდეს, არა ცალ-ცალკე, რაც გასაგებია და მისაღებიც. ითავსებდეს დაუნაწევრებლად, მთელის სახით, რაღაც ერთ აზრად.

რა არის ეს?

ღვთაებრივი აზრის უმაღლესობა? სადაც სიკეთისა და ბოროტების განჰყოფას აზრი არა აქვს?

თუ ეს სულის დაცემაა? თავის სისუსტეს სისათუთედ რომ ნიღბავს?

* * *

გუშინდელმა ტრაგედიამ გადაფარა _ «მე» მოაზროვნე.

სადღაც ჩაიკარგა რამდენიმე აზრი, რამდენიმე იდეა.

* * *

ყალბი ნაწერი:

უთარიღო ჩანაწერები, _ ეს შეიძლება დამეწერა ან გუშინ ან დღეს, ან კი ხვალ.

ის, რაც არ ებმის ახლანდელობას, ვერ შესძლებს რეალურობის მატირანიზირებელი ძალისხმევით ისუნთქოს და მაშასადამე იცოცხლოს.

* * *

დაუჯერებელია, გამაოგნებელი მკვდრის ჩანაწერები ცხოვრებაზე? ანდა სიკვდილის საუბარი სიცოცხლეზე?

და მაინც ყველა ნამდვილი საქმის იქით, განურჩევლად თუ რას აკეთებს კაცი, _ ეს იქნება საზოგადოებრივი მოღვაწეობა, ფილოსოფოსობა თუ სამეცნიერო კვლევა-ძიება, ხელოვანის შემოქმედება თუ გლეხის საქმიანობა, ყველგან ვიპოვით ამ «მკვდარს», რომელიც ასე ფარულად და უანგაროდ წარმართავს სინამდვილის მოვლენებს.

ვიღებთ პარადოქსს: კაცი, რომელმაც სიცოცხლე თავისთვის მოაკვდინა _ მოაკვდინა რათა სიცოცხლის ყველა გამოვლენა _ სიყვარული, იმედი, საზრისი, რწმენა, სხვებისთვის ძღვნად მიეცა.

* * *

სიყვარული, ნამდვილი სიყვარული სასწაულს მოაგავს, რადგან სასწაულია ნამდვილი ადამიანი.

* * *

ლაკონიზმის სიძნელე:

იყო ნამდვილი, ნამდვილად გრძნობდე, ნამდვილად კვდებოდე, ჭეშმარიტება თვით შენთან იყოს.

* * *

საზოგადოება (როგორც ამას ლაროშფუკო ამბობს) საზარელი ნიღაბია, ნიღაბი, რითაც ბუნება თავის შეუმსხვრეველ ძალმოსილებას განასახიერებს კაცში, რითაც კაცში ცხოველის ინსტინქტი ისევ გუმანით იკვლევს გზას.

ეს ინსტიქტი ისევე ბუნებრივად და უმტკივნეულოდ მოქმედებს საზოგადოების ერთ-ერთ წევრში, როგორც, მაგალითად, პრეისტორიულ ხანაში მყოფი დინოზავრი, უგონოდ და უცნობოდ, ინსტინქტით აღძრული, შეუმცდარად იკვლევდა გზას ტყიდან მოშორებით მდებარე მდელოსკენ, რათა თავისი მომავალი პირმშო _ ეს უზარმაზარი კვერცხი, საშიში მტრის თვალისგან მოშორებით ჩაეფლო მიწაში.

და ვიღებთ საზარელ პასუხს:

ეს არასაჭირო ტრადიცია, ხშირად ერთი შეხედვით აბუჩად ასაგდები, მიუღებელი ჩვეულება თუ ზრდილობის წესები... თუ კანონი... ჩვენში მყოფ ამ გიგანტურ ცხოველს იცავს – ინსტიქტით მოქმედ დინოზავრს - რასაც სხვადასხვა სიტყვით ვნიღბავთ..

* * *

ღმერთის კვლევა საუკუნეთა განმავლობაში და მის არსში ვერწვდომა იმით დამთავრდა, რომ კაცმა თავის თავში შექმნა ღმერთი, მაგრამ ღმერთი ხომ აქაც ღმერთია და იგი აქაც მიუწვდომელი და შეუცნობელი დარჩა.

* * *

რაზეც არ უნდა ვწეროთ, უმთავრესი ხომ ადამიანის სულიერებაა, სულიერობა კი ეს იგივე ზნეობრიობაა.

თუმც დღევანდელობამ ისეთი «სულიერების» გაღმერთება დაიწყო, სადაც ზნეობრიობა და სულიერობა დიამეტრალურად განსხვავებულ ცნებებად მოგვევლინა.

ეს გვიმჟღავნებს, თუ რა შეუმჩნევლად, რა დიდებული საბაბით, შეაღწია თანამედროვეობის სულში იმ საზიზღარმა სენმა რასაც სულიერი მოშვებულობა ჰქვია.

ყველაფერი დასაშვებია _ ეს იმიტომ, რომ სულიერობა სულაც არ ნიშნავს ზნეობრიობას? ჭეშმარიტი აზრის მოპოვება სულაც არ არის მაღალ, მისტიურ საფეხურზე ასული ადამიანის გზის ნიშანი, მისი დამღა, უფრო სწორად კი ამ გზის ნაყოფი? უფრო მეტიც, გამოდის, რომ შედევრის შეჰქმნა შეუძლია «სულიერ» კაცს _ რომელსაც არავითარი ზნეობრიობა არ ებმის?

მაგრამ, მოდით გავიხსენოთ, რას ნიშნავს იყო ხელოვანი? როგორ ქმნის ხელოვანი, ანუ რას ნიშნავს შემოქმედება?

იყო ხელოვანი, ნიშნავს მთლიანად მოაკვდინო შენში ის არსება, მიწიერი ცხოვრების ნებისმიერ სიამოვნებას, ყოველდღიურობის უწყინარ თამაშს რომ მისდევს, რადგან ქმნადობა ნიშნავს აერთიანებდე შენს თავში სამყაროს საგნებს შენი ცხოვრების ყოველ წამს იმ უღრმესი სიყვარულით, უანგარო გრძნობით ბავშვურ სიწრფელესა და სიწმინდეს რომ მოითხოვს.

ეს ნიშნავს, რომ ქმნადობის ჟამს, აუცილებელი კანონზომიერებით ხელოვანი ყოველთვის მაღალ მისტიკურ საფეხურზე ადის, რადგან ის ხომ მხოლოდ ღვთით ბოძებული სულით, ღვთიური სინათლით იჭრება საგნებში.

და თუ ჩვენ მაინც ვხედავთ ხელოვანს, მით უფრო თანამედროვე ხელოვანს, დაცემულს, შეგინებულს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის დამკვირვებლის სიცივით, გათოშილი სულით ერთვება თავისი ეპოქის მაჯისცემაში, რათა ამ ეპოქით სუნთქვაჩადგმული საზოგადოების, მისი დროის დაცემული სული გამოხატოს.

სისხლიანი მსხვერპლთშეწირვა სრულდება, როცა ის მაღალ მისტიკურ საფეხურზე ასული მიიწებებს და ასე გამოხატავს თავისი დროის დაცემულ სულს.

გარეგნული თვალი კი პარადოქსს გვთავაზობს:

_ ხელოვანი და უზნეობა.

* * *

რაიმე ერთით გაოცება უცნაურად, არაბუნებრივად ჩანს. განა გაოცებით არ უნდა აღვიქვამდეთ ყველაფერს _

_ უმცირესიდან უდიდესამდე?

საოცარია, ასეთად წარმოდგენა გაოცებისა თვით გაოცებას კლავს და რა არის, ამის გარდა, თანმიმდევრულად და ერთობლივად აღებული, თავისთავში წინააღმდეგობას და თავისთავის უარყოფას რომ არ ჰპოვებდეს.

* * *

ადამიანში ღმერთი:

_ არარა არის იგი, სახელი ვუწოდე და არსებად გადაქცეული არსს მიეახლა.

* * *

სიბრძნე _ ეს ბჭეა, საიდანაც სიკვდილ-სიცოცხლის ერთგვაროვნება დაინახება, რაც სიცოცხლის ფორმით გამოითქმება.

* * *

თანამედროვეობა ცდილობს ყველა აზრი, ერთდროს საგანთა სიღრმეს რომ სწვდებოდა, ამოატრიალოს და ის სიღრმე ზედაპირად დაგვისახოს.

ზედაპირზე დარჩენილი ღირებული აზრი უკვე სიღრმეში ვეღარ გააღწევს.

* * *

ერთი შეხედვით შესაძლებელია ლოგიკურად აბსურდის, შემთხვევითობის, რაიმე ახირების, გაელვებული აზრის, სიზმრის ახსნა-განმარტება.

მაგრამ მაშინ ხომ აბსურდი, შემთხვევითობა, ახირება, გაელვებული აზრი, სიზმარი,... თავის «საზრისს» დაკარგავს.

ხომ უმნიშვნელო და მარტივზე მარტივი აზრია, მაგრამ ამ უმნიშვნელო აზრის გასაცნობიერებლად კაცობრიობას საუკუნეები დასჭირდა.

* * *

საგანი არსებობს! მაშასადამე, მას შენს სულთანაც გააჩნია რაღაც კავშირი. ეს ხომ ცხადზე ცხადია, ღმერთმა შეჰქმნა ეს სამყარო და ყველა საგანში, როგორც შენში ჩასდო თავისი ღვთაებრივი არსების წილი.

ამიტომაც, როცა ადამიანის სულზე საუბრობ, ნურასოდეს დაივიწყებ და განიშორებ ამ საგნებს _ დროთა და სივრცით შენგან დაშორებულთ თუ ახლომყოფთ.

და როცა კითხულობ ვინ არის ადამიანი?

შენ ჩამოთვლი უსასრულოდ საგან-არსებებს:

მოაზროვნე ცხოველი? გრძნობიერი მცენარე? მარადიული ვარსკვლავი? უდაბნოს სიმარტოვე? ტკბილ-ნელსურნელოვანი, წვენით დაბერილი ნაყოფი? თუ სალი კლდე თავისი პირქუში უძრაობით? ცაში ლაღად აჭრილი ფრინველი? ცის ხმაურით გამპობი თვითმფრინავი? მარად ცვალებადი ქამელეონი? უსახო ამება? შხამიანი და გესლიანი გველი? ბოროტი ეშმაკი საზარი ხარხარით? თუ ჭიანჭველა სწრაფი ფუსფუს-ტვირთით შეწუხებული და მომუშავე? თუ მდუმარებაში შთანთქმული და ერთი აზრით მოცული ღმერთი?..

შენ ჩამოთვლი ყველა მათგანს... ეს ხომ ხილული საგნებია? ადამიანის სულის კავშირებს რომ შეარხევს, გაგვიმჟღავნებს, და ამავდროს დაფარავს კიდეც.

ადამიანის სული შეუცნობელი და დაუსაზღვრავი.

ამიტომაც ყველა საგანი მოიაზრება როგორც ადამიანის სულის ნაწილი, რათა ის მხოლოდ ერთი კიდით გაამჟღავნოს _ მიახლოებით და არა სავსებით. ეს პარადოქსის ენაზე ეს ასე გამოითქმის:

ადამიანი მოაგავს ყველა საგანს და არცერთ საგანს.

* * *

ცალკე აღებული აბსტრაქტულ ცნებას _ თავისუფლებას არავითარი მნიშვნელობა, აზრი არა აქვს.

თავისუფლება სულის თვისებაა, უფრო მეტიც, აუცილებლად მას ებმის. არ შეიძლება უსულო საგანს თავისუფლება მივაწეროთ. ადამიანს თავისუფალი არჩევანი ღმერთისგან აქვს ბოძებული ის თავისუფალი არჩევანი, რითაც ის ხელახლა ახდენს თავისი სულის არჩევას, ანუ ხელახლა დააფუძნებს თავის უფლებას – **თავისუფლებას.**

მოდი განვმეორდები: ადამიანი ყოველთვის თავისი თავიდან, თავისი ნებით ბადებს თავის სულს – თავისუფლებას, მაგრამ ამ თავისუფლების საზრისი მხოლოდ და მხოლოდ მისი ცხოვრების კონკრეტულობაში განცხადდება, რადგან ყოველ მის

ბიჯს (ეს იქნება ქმედება, თუ აზროვნება) შესწევს ამ თავისუფლების გამოხმობა და გაფორმება.

ასეც შეიძლება ვთქვათ:

დასაზღვრო თავისუფლება, ნიშნავს მიუახლოვდე კონკრეტულ პიროვნებას, გაიცნო მისი ცხოვრება და მხოლოდ ასე შეიძლება თქვა თუ რა არის თავისუფლება?!

* * *

მოდა სასაცილოა, როგორც ყველაფერი ის, რაც ასე ჭირვეულად ჩვენი სულის თვალისთვის გაუგებარი მიზეზით წამდაუწუმ იცვლება.

და როცა მას წარმოიდგენ სამყაროს თავისებურ ენად, იმ ენად, რომელიც ცდილობს ყველანი თავისი სუნთქვის, დროულობის სუნთქვის ერთგვაროვნებით შეგვმოსოს და ჩვენი ინდივიდუალობა ამ ერთგვაროვნების ტალღით უფრო გამოკვეთოს, მაშინ ხვდები და აღარ გიკვირს, თუ რატომაა სასაცილო და მიუღებელი არამოდურად ჩაცმული კაცი.

* * *

რას დაელოდები შენ?

განა თუ იმას, რისი მიღებაც შენს ძალისხმევას აღემატება? და თუ გეყოფა მოთმინება მის «მოსვლამდე», ნაყოფს არავინ დაგიწუნებს.

შენში არსებულის გაცოცხლება გევალებოდა და აჰა, აღასრულე კიდეც.

* * *

როცა ვკითხულობთ თანამედროვე კაცობრიობის მიერ შექმნილ ქმილებებს, ეს იქნება ხელოვნების ძეგლი თუ ფილოსოფიური ტრაქტატი, გაოცება გვიპყრობს. არა მარტო გაოცება, არამედ შეძრწუნებაც კი, რომ უარყოფილია ხელოვანის ძველთაძველი, წმინდა მისია, გამოიწვიოს ადამიანთა სულებში კათარზისი, ფილოსოფოსის მისია კი _ ადამიანში გააღვიძოს მძინარე ღმერთი, რათა სამყაროს სიბრძნის მარცვლები, ღმერთის ეს იდეები მისთვის იმ საყრდენ პოხიერ მიწად შეიქმნეს საიდანაც თავის სულისმიერ ხეს აღმოაცენებს.

და ამის ნაცვლად რას ვხედავთ?

თანამედროვე თეორიები უცნაურ წინააღმდეგობას გვთავაზობენ, ერთის მხრივ, მათი უპირობო მოთხოვნაა ხელოვანი სავსებით განიძარცვოს ადამიანურობისაგან, ამიტომაც თავისთავად გამოირიცხება ხელოვანის ქმნილებებში მისი პირადი ცხოვრებისეული ფაქტების, მისი ბიოგრაფიული ფრაგმენტების ჩადება. და სავსებით ლოგიკურია, რომ ხელოვანი ხდება თვითკრიტიკული, თვითირონიული და ორაზროვანი, რათა მან მოისმინოს, როგორც ორტეგა იტყვის, კოსმოსის წმინდა ხმა. ორტეგამ ეს დებიუსის მუსიკაში აღმოაჩინა მაგრამ წინააღმდეგობა შავით თეთრზე იწერება, რადგან მეორე მხრივ, თანამედროვე ხელოვანის მისიად მოიაზრება უაზრო თამაში, რაშიც სული არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს. ცხადია ამავე დროს უარყოფილია, რომ ხელოვანი წმინდა სულის სიმბოლოა, იმ სულისა, რომელსაც შეუძლია ქადაგება და წინასწარმეტყველება, მას ხომ ღვთის ხმა არ ჩაესმის. მაშინ საკითხავია, რატომ და რა მიზნით უნდა განიძარცვოს ხელოვანი ადამიანურობისაგან, ან რას ნიშნავს კოსმოსის წმინდა ხმის მოსმენა, თუ არა ღვთის ხმას.

ხოლო თუ საქმე თანამედროვე ფილოსოფოსის მისიას შეეხება ის მხოლოდ კითხვების დასმით შემოიფარგლება, ხოლო მისი სიბრძნე, როგორც ამას ერთი ფილოსოფოსი ეჭვობდა, მხოლოდღა რაფინირებული სისულელეა.

და მაშინ რა არის კაცობრიობის საზრისი? რა არის ადამიანის ის მაღალი დანიშნულება, რითაც ის შესძლებდა გამოეთქვა თავისი მისია დედამიწაზე? რა აზრი აქვს სამყაროს, რომელშიც ხელოვანსა და ფილოსოფოსს სულიერება არ გააჩნია? თუ ის ვინც ჰქმნის, არ არის სულიერების მაღალ საფეხურზე მდგარი პიროვნება, თუ თავისი შემოქმედებით ის არ გვაწოდებს სულიერობის მაღალ საფეხურებს, არ მიგვასწავლის სულიერ გზას, სადაც ღვთის მიერ გასხივოსნებული გზა მოსჩანს.

თუ მათი ხმა არ აღმოჩნდება ხიდი ღმერთსა და სამყაროს შორის.

საით წავიდეთ?

* * *

რამდენად დიდი მანძილი დევს ჩვენს მისწრაფებებს შორის, ჩვენი იდეალის ლტოლვიან გზასა და ბუნებრივ მიდრეკას შორის.

გვაოგნებს ამდენად დიადი ზრახვა, დიადი აზრი და იქვე, ამდენად კნინი ფიქრები.

სასოწარკვეთით შევცქერით არა ჩვენს წინ სარკის მთლიანობაში ნათელ გამოსახულებას, რომელიც ჩნდება გარე მაყურებლის მეშვეობით, არა შეცბუნებულნი ჩავცქერით ამ უსუსურ ფიქრებს, ამ უნებურ სურვილთა სასაცილო და საზიზღარ გამოსახულებებს, ამ ბნელ კუთხეებს, რომელნიც გამოხმობას არც კი საჭიროებენ, რადგან ისინი ხომ მუდმივ დაგვსდევენ, მუდმივ დაგვცინიან და ჩვენ სამყაროს ქირქილით ღმეჭავენ.

* * *

რა საშინელი დრო იყო! რა მონურად ეპყრობოდა ეს საზარი ხანა ადამიანის სულს, რა საშინელ, ბნელ დილეგში გამოამწყვდია მისი სული ამ დროებამ _

_ ადამიანი ვერ ხედავდა მის წინაშე მოკაშკაშე მზეს _ ვერ ხედავდა! _

ასე მწარედ გოდებს თანამედროვე წინამავალთა ნააზრევს რომ კითხულობს.

* * *

თანამედროვის სიბრმავე:

_ თქვენ (ის კლასიკოსს ხაზგასმული ქედმაღლობით მიმართავს) თავისებური სტილი გაქვთ, რაც ნიშნავს მის ენაზე:

თქვენ (ისევ კლასიკოსს ესიტყვება) ზედაპირის 5 სმ-ზე ტივტივებთ მუდმივად.

წარმოსახვის ფანტასმაგორიული სამყარო.

* * *

როცა თანამედროვემ სიკეთის რწმენა დაკარგა, მისი კაცობრიობაც საზრისის გარეშე აღმოჩნდა.

და ასე მოაშთო მან თავის მიერ შექმნილ კაცობრიობასთან ერთად საკუთარი თავი.

* * *

ნამდვილი მწერლის გაელვებული აზრი უნებურიცაა და კანონზომიერიც.

აზრის უნებურება იმაში მდგომარეობს, რომ ახლანდელის შემთხვევითობას, ანუ საგნობრიობის წამიერობას ეჭიდება საბაბად.

აზრის კანონზომიერებას კი ის პიროვნული მთლიანობა ქმნის, ამგვარი წესით რომ აყალიბებს აზრს.

* * *

არა აქვს მნიშვნელობა საიდან დაიწყებ შენს გზას...

ნუ აყოვნებ! აი აქედან, ამ საალბათო მოსახვევიდან დაიწყე სიარული, და შენს გზას აუცილებლად იპოვი.

* * *

ადამიანური ენის სიმწირე:

_ ადამიანურ ენას ისევე იშველიებ, როცა გენიას აღიქვამ, როგორც დაცემულ კაცზე საუბრისას.

_ ეს იქნება მრუში, მკვლელი თუ ლოთი.

ადამიანური ენა - ღვთაებრივი იდუმალებისა და დაცემული ცხოველის შემთავსებელი.

ადამიანური ენა – მისი მეშვეობით იქმნება კაცობრიობის ისტორია დედამიწაზე.

* * *

ის თავისი უაზრო ხმაურით «ფარავს» შენს ნამდვილ ხმას.

ხელოვნების შედევრი, ფერწერული ტილო, შეიძლება უბრალო ხის ნაჭერმა გადაფაროს.

* * *

საფიქრებელია, რომ პირობითობანი იგივე კანონს ემორჩილება და იგივე შედეგს აღწევს, რაც ფილოსოფოსთა სისტემებში მეთოდურობა.

* * *

მავანი თავს იქებს, რომ თავისი გრძნობების ბატონ-პატრონია, რომ შეუძლია თავისი გრძნობები თავის ნებას დაუმორჩილოს და არასოდეს არ მიეცეს გრძნობიერებას. მავანი კი თავს იქებს, გრძნობიერების ტალღებს რომ მიუყვება, გრძნობიერება რომ ყოველთვის მასზე მძლავრობს და მის ნებასა და გონებაზე სავსებით რომ გაიბატონა.

მავანი ამბობს, გონიერებას მივყვები და ამიტომაც პატივისცემას ვიმსახურებო. მავანი კი გონიერების უგუბელყოფით მოითხოვს პატივისცემას.

ასე და ამგვარად, დაბნეული შეჰყურებ კაცის ღირსების, მისი პატივისცემის შეფასების უამრავ შესაძლებლობას, გაოცებული, დაკვირვებით განსჯი ამ განსხვავებულ საზომთა კრიტერიუმებს და ხვდები, რომ მხოლოდ და მხოლოდ პიროვნების წინაშე თავმოდრეკილ ყურისგდებას, მის სამყაროში სუნთქვამიცემულ აზრებს თუ შეუძლია ეს დაბნეულობა გაჰფანტოს.

* * *

არათანმიმდევრობა:

_ მე არ მიკვირს, რომ არსებობს ალუბლის ხე, ალუბლის ყვავილი, ალუბლის ნაყოფი, მზე ცაზე თუ ვარსკვლავები და ამ დროს კი მიკვირს, რომ ასფალტზე მწიფე ალუბალი დევს.

* * *

განსაცვიფრებელია, რომ ჩვენთვის ცნობილი უმრავლესი ფორმულისა თუ აღმოჩენის ლაკონიური შინაარსი შეიძლება პარადოქსით გადმოვცეთ:

ეს კანონზომიერებაა, ყოველგვარ სხვა კანონზომიერებას რომ უარყოფს და აფუძნებს.

აინშტაინი უარყოფს ნიუტონს, მაგრამ აინშტაინი აინშტაინი ვერ იქნებოდა უნიუტონოდ.

* * *

ორი ხმის მტკიცება:

_ პირველადი და უმთავრესი გონებაა, ნაბიჯ-ნაბიჯ სვლა, ქვების მოგროვება, ნაწყვეტ-ნაწყვეტ სუნთქვის გამთლიანება.

პირველადი და უმთავრესი ინტუიციაა, უეცარი გასხივოსნება, მყის რომ მთის მწვერვალზე დაგსვამს.

ორი ხმა, ერთ წამს რომ ერთი ჩაგესმის, მეორე წამს კი _ მეორე.

* * *

როცა სამყაროს სავსეობას გვსურს მივუახლოვდეთ ზღუდედ აღმართული ფარდა აღიმართება რეალურის სახით.

როცა გვსურს ანგელოზებრ სიწმინდეს მივუახლოვდეთ, ჩვენში ცხოველი მთელი გამძაფრებით იღვიძებს. როცა გვსურს ნათელი გონებით მივსვდიოთ ჩვენს აზრს, მყის გრძნობები გვიბნელებენ სულთახედვას და მაშინაც კი, როცა საკუთარ ლექსს ვწერთ, ჩვენ ხმას უნდა მივსდიოთ, ჩვენ წინ აღმართული ფარდა ჩვენ ხმას განგვაშორებს და საკუთარი ხმისგან გაუცხოებულნი აღმოვაჩენთ, რომ სხვისთვის მისაღებ სამყაროს ვქმნით და სხვისთვის ვაფუძნებთ ნავთსაყუდელს.

* * *

სიყვარულის არსი:

ვიღაც გადაეფარა შენს ტკივილს, ვიღაც, რომელმაც გიცნო და მიიღო შენი საწყალობელი სული, ვიღაც, რომელმაც სამყაროს ხმა გაასხეულა და დაგანახა, რომ სამყარო სინათლე და სიხარულია.

* * *

ისე ცხადადაა დაფარული ჩვენი საიდუმლონი, რომ სულ ჰკვირვობ, რა აზრი აქვს ამ დაფარულობას.

* * *

ადამი ისე დიდი ხანია გამოაგდეს სამოთხიდან, თვით ჯოჯოხეთიც სამოთხედ მიაჩნია.

* * *

ვის ძალუძს ჩაიხედოს შენს სულში გარდა ყოვლისმხედველი ღმერთისა?

და რა ამაოდ, რა ამაოდ იმოსები გარეგნული ბრწყინვალებით _ ვითომც კეთილი საქმით, ვითომც კეთილი გულით, ვითომც მარადი სიყვარულით, ვითომც სათნოებით...

* * *

როცა შუასაუკუნეების ფერწერას შეჰყურებ და იმპრესიონისტების ფერწერას ადარებ, უაღრეს გაოცებას შეძრწუნება ერთვის.

სად იყო დამალული იმპრესიონისტთა ეს სინათლე? რა აიძულებდა ადამიანის ხედვას, ასე დაბრმავებულიყო და ვერ დაენახა ეს კაშკაშა სინათლე?

რა იყო მიზეზი იმისა, რომ ასე სიბნელით გარემოცული იყო სამყაროს საგნები და მაშასადამე, ადამიანის სულიც?

რამ ან ვინ დამალა ეს სინათლე?

* * *

ხშირად ათასი სიტყვა, ხშირად ტომეულები უნდა დაიწეროს, რათა შენმა «მე»-მ, რომელიც ამოირჩიე _ შეიყვარე თუ მოგეწონა, ამოიყვიროს თავისი ხმით.

* * *

რეალურობის ხელშესახეობის ყველაზე დიდ ილუზიას ფერწერა ქმნის და ამიტომაც ისე არაფერს არ სჭირდება ძალისხმევა, აქტიური აღქმა, ვით ფერწერას.

* * *

სიყალბე ადამიანებისა _ ყოველგვარი ბნელი კუთხეების გარეშე, ნათელი და მარტივი ურთიერთობებით თავის შეცნობა.

* * *

რამდენად სასაცილოა ადამიანის ქმედებისა თუ აზროვნების ასახსნელად ევოლუციის თეორიის მოშველიება. რა შეიძლება იყოს უფრო კომიკური თუ არა ეს მცდელობა? და ჩვენდა გასაოცრად ვხედავთ, რომ უამრავი შედევრის, გენიალური ფილოსოფიური ნაშრომის ავტორი ცდილობს ფარულ საყრდენად გამოიყენოს იგი.

მაგრამ ავტორის ამგვარი ცდა ყოველთვის ფიასკოს განიცდის, და ისევ მისი სულის იდუმალი მოძრაობანი, ეს მოუხელთებელი მშვენიერება ხდება მისი ქმნილების ფარული საყრდენი, რაც, მადლობა ღმერთს, ვერცერთ კანონს ვერ დაექვემდებარება.

* * *

პასკალი გაურბის თავისთავს, პასკალი ხაზს უსვამს თავის-მე-ს, პასკალი უარყოფს მონტენს, იცავს იგივე მონტენს, მიდის სტოიკოსების წინააღმდეგ და იქვე იცავს სტოიკოსებს.

არათუ მუდმივად საკუთარი თავის უძრავი და მყარი წარმოდგენა, რაღაც იდეალის შენარჩუნებაც კი ჭირს.

რადგან კაცი ვერ შეძლებს თავის გამოხატვა-გაფორმებას, თუკი იგი თავისთავს არ აღემატება.

კაცი, რომელიც თავის თავს უარყოფს არის კიდეც კაცი, რომელიც აღემატება თავის თავს. და შეიძლება ეს მოუხელთებელი გზა პარადოქსით ასე გამოვთქვათ:

- თავისთავზე აღმატებული პასკალი უფრო პასკალია, ვიდრე პასკალი.

* * *

ჩვენი სულიერი გზების დაშორების ერთი და იგივე ხედი შეიძლება ერთადერთი აბსტრაქტული ფრაზითაც კი გამოვთქვათ:

შეუცნობელი სხვადასხვა სახით გვეცხადება.

* * *

ხშირად მინახავს დაუდევრობის შედეგი, გაბუნდოვნებული მინა და გამხსენებია ყალბი პოეტები, ჩატეხილი ხიდებით ვითომც რომ გვაკავშირებენ.

* * *

თანამედროვე სოფისტს:

_ ვწვდებით ჭეშმარიტებას თუ მას განვეშორებით, მაინც ჭეშმარიტებაში ვდგევართ.

ღმერთმა შეჰქმნა ეს სამყარო და სად გაექცევი მის ნათელს?

* * *

ადამიანური ენა:

_ ერთი საგნით მეორის დასაზღვრა-გაფორმება ეს არის ჩვენი ენა.

ენა, რომელიც არც ერთ საგანს არ ასახავს.

* * *

შენთვის ულოგიკო, დაულაგებელ ფრაგმენტს წარმოადგენს მისი ნაწერი. ის კი, გაოცებული თავისი სამყაროს სიმწყობრეზე მიგანიშნებს და ამ სამყაროს სისტემურობას გისაბუთებს.

და გახსენდება პასკალი: «ადამიანს, ჩვეულებრივ, ის აზრი უფრო არწმუნებს, რომელიც მას მოსდის თავში, ვიდრე ის, რომელიც სხვის თავში იბადება».

* * *

უნდა გადაივიწყო გუშინდელი დღე, უნდა გადაივიწყო გუშინდელი აზრი, დღეს რომ დღევანდელი დღით ისუნთქო.

* * *

შემოქმედის საიდუმლოება:

_ წერამდე მოაზრებული აზრი ნაწერში უკვე ყალბად ჟღერს და რა არის ამ ამბავში გასაკვირი?

მხოლოდ ახლანდელობაში სუნთქვით, სამყაროს რეალურობის მატირანიზირებელ ძალისხმევაში ჩაჭრილებს თუ გვძალუძს ამოვიტანოთ ის საოცარი ხლართი, რაც გვეხმარება ვიყოთ უფრო მეტნი, ვიდრე ვართ და რაც ასე ბუნებრივად, ასე ძალდაუტანებლად გადმოდის ფურცლებზე.

* * *

ტკივილის გამოხატვა:

_ მე მტკივა _ დაიყვირა ხმამ. ხმა იგი დაშორდა ტკივილს და ტკივილი იგი უკვე სხვისი ტკივილია, ხმა იგი უკვე სხვისი ტკივილის ხმაა.

* * *

იმ იდუმალებას, რასაც ვერ ვწვდებით აზროვნების ჟამს, _ ვერც ქმედებისას ვწვდებით.

იგი გვეხება, იგი მოძრაობს თავისი გამოუთქმელი ერთიანობით.

ოღონდ წვდომა მისი სისრულით არ არის შესაძლო, ვით შეუძლებელია მისგან სავსებით, განრიდებით «ყოფა».

* * *

სახელი და გვარი _ საკმარისია ვიცოდეთ არსებითი ვინმეზე და ამავ დროს ბუნდოვანებით შებურვილი ცოდნა გაგვაჩნდეს მასზე.

რამეთუ, ვინმე ხასიათთა პაწაწა ნაწიბურებისაგან, დაუკავშირებელი ხლართებისგან შედგება. ჩვენ კი ვცდილობთ ერთ წერტილში მოვაქციოთ ყველაფერი.

შეიძლება ვინმეს ერთგვარ ახირებად მოეჩვენოს ასეთ უმნიშვნელო საგანზე საუბარი. მაგრამ თუ შეეცდება განჩხრიკოს ცნობილი თეორემები თუ გამოჩენილ ადამიანთა აზრები, ხელთ სწორედ ეს უცნაური ბირთვი პარადოქსისა შერჩება ხელთ _

_ ერთ წერტილში მოქცეული ბუნდოვანებით შებურვილი ცოდნა.

* * *

შენ ყოველწამს მიუთითებ მათ, რომ ისინი ნამდვილნი უნდა წარდგნენ სამყაროს სისავსის წინაშე და ვერ კი განმარტავ, მაინც რას ნიშნავს ეს ნამდვილობა და ეს სისავსე.

* * *

ვინც დაჰკვირვებია ღმერთმა უწყოდეს რით გამთლიანებულ ფილოსოფოსთა თუ ხელოვანთა ნაკადებს, შენიშნავდა, რომ თვით მისი წარმომადგენელი გვევლინება ამ ნაკადის უარმყოფელ, დამანგრეველ ძალად.

იმპრესიონისტებთან გახსენდება სიორა, განმანათლებლებთან _ ჟან-ჟაკ რუსო. მაგალითების დასესხება უსასრულოდ არის შესაძლებელი.

* * *

აზრი დავასრულე, ბოლომდე გავიაზრე და ის გაბერწდა, უნაყოფოდ გადაეგო.

ასე ჩავწვდი თანამედროვე ფილოსოფოსის გზის საზრისს, ღვთის საიდუმლოებას აზრის დაუსრულებელ ფორმად რომ გარდაქმნის და ამით დუმილის უფლებას იტოვებს.

* * *

დოგმატიკოსი ყველა თავის მსჯელობას აბსოლუტურ ჭეშმარიტებად რომ ასაღებს, ისევე მაეჭვებს და ურწმუნოდ მაცინებს, ვით სკეპტიკოსის გაუთავებელი ყოყმანი და ჭოჭმანი, მისი ღაღადი სამყაროსა და თავისი თავის ვერშეცნობის გზებს ერთნაირი სიბნელით რომ ბურავს.

და ჩემთვის, დოგმატიკოსისა და სკეპტიკოსის პრეტენზია ერთნაირად გამოითქმის: _ იცოდეს სამყაროს არსი.

* * *

ზოგჯერ გულმოწყალებაა, კაცი დაუნდობლად უარყო და შეიზიზღო.

* * *

ერთი შეხედვით რა უაზროა ეს კითხვა:

_ შეიძლება კი ადამიანი იტანჯებოდეს და ვერ კი გრძნობდეს თავის ტანჯვას?

ამ პარადოქსის ახსნა მხოლოდ ადამიანში ჩადებული ღმერთის თავისუფალი არჩევანით თუ მოხერხდება:

_ ადამიანში ღმერთი სუფევს კიდეც და არც სუფევს.

_ ადამიანში ყველაფერი არის და არც არის.

მისი ნებაა, მისი თავისუფალი არჩევანია სამყარო, _ სამყარო მასში.

ამიტომაც ტანჯვა შეიძლება შევიგრძნოთ და არც შევიგრძნოთ.

ტანჯვა, რომელსაც ვიღებ განმაშორებს ჩემს სხეულს, სწმენდს ჩემს სულს და ასინათლებს.

და ტანჯვა, რომელსაც არ ვიღებ მანადგურებს და არარად მაქცევს.

* * *

არა მგონია, კაცმა ერთხელ მოპოვებული სიყვარული, სიკეთის ნიჭი, სულის სიდიადე თუ სიწმინდე სულის უმოქმედობით შეინარჩუნოს. კაცში ყოველივე მოძრაობის სახით ცოცხლობს და ეს ხომ მასში დაძლეული ბუნების უკუხედია. _ **მარადიული მოძრაობა.**

* * *

როცა ცხოველი იღვიძებს ჩემში და უგუნური მცონარებით მივნებდები ხოლმე ცხოვრებას, როცა ღვთით ბოძებულ ნიჭს, ჩემს ძალებს უქმად ვამყოფებ, ყოველთვის ვხედავ ერთსა და იმავე სურათს: ვხედავ ატმის ხეების ხეივანს, ვისუნთქავ წვენით დაბერილი ტკბილი ნაყოფის ნელ-სურნელებას, რომელიც თუ არა ჩემი უგუნურება, შეეძლო ვინმეს დაეგემოვნა, მიეღო ამ ნაყოფთაგან სიცოცხლის წვენი და ასე შევრწყმოდი სამყაროს, და ვქცეულიყავ მის საზრისად.

ახლა კი, თითქოსდა, მე იმ ატმის ხის სასაცილო ნაყოფი ვარ, დამწიფება რომ აშინებს და რადგან მას უგუნურების ჩემი ქარი არხევს, ის მკვახე ვარდება და უსარგებლოდ ლპება.

* * *

ადამიანური აღდგომა ხშირად მხოლოდ იმის აღიარებაა, რომ უბრალოდ ის ამ წუთას არ არსებობს.

* * *

საუკუნეთა გრძელი რიგები, რომელთა შუა მომწყვდეულ ადამიანის სულს არაადამიანურად ახმიანებდნენ _ ასე ხედავს ყოველი თანამედროვე წინამავალთ.

* * *

ორმაგი ყულფი ათასი ხედვით:

_ შენ მე ვარ, მე კი შენ, ამიტომაც გესაუბრები. შენ კი ყურს მიგდებ.

მაგრამ მე მაინც არა ვარ შენ და შენ კი მე და ამიტომაც გესაუბრები.

* * *

სერიოზული ტონი აზრისა ყოველთვის არ მიგვანიშნებს აზრის სიღრმესა და სიბრძნეზე. და არ არის შემთხვევითი, რომ თანამედროვეობამ დაიჟინა ეს აღმოჩენა მე მეკუთვნისო.

პატარა შტრიხი - თანამდროვე სამყაროს ახლებურ მოდელს რომ გვთავაზობს.

* * *

საგნები _ აი ეს საგნები, თავიანთი მატირანიზირებელი რეალურობით ან გაგანადგურებენ ან აღგადგენენ.

* * *

საზოგადოდ, მიჩნეულია, რომ ხელოვანი აღსაქმელად მის ნაწარმოებებში გადმოცემულ განწყობილებებს, სახეებს, თუ შინაარსს უნდა დავეყრდნოთ. ხოლო თუ საქმე ფილოსოფოსს ეხება, მის მსოფლ-მხედველობას და მის სისტემაში გამოთქმულ აზრებში უნდა ამოვიკითხოთ ფილოსოფოსის რაობა.

მაგრამ გვავიწყდება, თუ როგორ აიძულებს აუცილებელის კანონზომიერება ავტორს განურჩევლად იმისა, თუ ვინ არის იგი, ხელოვანი თუ ფილოსოფოსი, ყოველთვის ერთი და იგივე გზა განვლოს ტანჯვა-წამებისა, ვიდრე საუბრის ნიჭი არ მიეცემა. ამისთვის ხომ მას სჭირდება ერთ მთლიანობაში განჭვრიტოს სამყაროს საგანთა მრავალფეროვნება, სინამდვილის სიმძიმე ერთ წერტილში, ხელისგულზე მოაქციოს, რასაც არქიმედე ადამიანის სულის იქით, გარეთ ამაოდ ეძებდა და რასაც საყრდენ წერტილს უწოდებდა.

ამიტომაც არ უნდა დაგვაბნიოს არც მხატვრული ნაწარმოების შინაარსმა, არც მასში გამოთქმულმა აზრებმა, არც ფილოსოფიურ სისტემაში გადმოცემულ სენტენციებს უნდა მივენდოთ მაინცდამაინც. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რასაც ისინი თავიანთ ქმნილებაში გამოთქვამენ, ის მათთვისაც «უცხო საგანია». ეს «უცხო საგანი» ხომ გარედან ძალმომრედ მიიკრა მათმა სულმა. ასე ინიღბავს თავს სამყაროს სიმძიმესთან შეხებისას მიღებული ჭრილობა, და სახეს იცვლის.

რადგან ეს pretexte სხვა არაფერია, თუ არა თანადროულობის მოუხელთებელი მაჯისცემით სუნთქვაჩადგმული საგანი, ასე ძალმომრედ, ვით ტირანი რომ წარსდგება ავტორის წინაშე, რათა მან თავისი დაუცველი სული ასე შემოსოს და დაიმალოს.

* * *

ნიჭი პირდაპირ არ ამბობს გონებით სათქმელს, რადგან იდუმალების გზას მიუყვება და თავისთავს ამ იდუმალებაში მალავს _ ღვთის ფარდა.

* * *

რა ღრმაა გამოუთქმელი ჩვენი განცდა თუ ჩვენი აზრი და რა მარტივი და ბანალურია, როცა გამოვთქვამთ.

* * *

სამოთხიდან განდევნილი ადამის გზა, ხშირად უბრალო ფრაზით შეგვახსენებს თავს.

რუსოსთან ვკითხულობთ: ის ტკბობა, რაც არაფრად მიღირს, რაღაც უაზროდ მოჩანს ჩემთვის.

* * *

თუმცა ფილოსოფოსი ხშირად გაიგივებულია არსებასთან, რომელსაც ხელეწიფება, რომ ლოგიკურად კარგად ააგოს მსჯელობა.

მაგრამ აქვე ავიწყდებათ, რომ ნამდვილი ფილოსოფოსი შეიძლება იყოს მხოლოდ ის ადამიანი, ვინც მეორე დაბადებით შექმნა ახალი სამყარო, მოისმინა რა ახალი სამყაროს საგანთა ხმა და, ცხადია, ახალი ენაც დაბადა.

მისთვის გონება მხოლოდენ იარაღი – საშუალებაა სამყაროს შესაცნობად.

* * *

თანამედროვე სინდისი:

ზოგან სეზანი დუმს. ეს მაშინ როცა სათქმელს ვერ ფლობს. მაგრამ ცარიელი ადგილი ხომ ისევ ტილოზე რჩება, ნაწარმოების შინაგან სივრცეში, რომელსაც გააჩნია სეზანისეული დატვირთვა.

დუმილი - სეზანის სახელს რომ ატარებს.

* * *

დილემიდან თავდაუღწევლობა:

_ გამოთქვა კაცის უარმყოფელი აზრი, ნიშნავს არ გესმოდეს კაცის აზრის და გესმოდეს კაცის აზრის, ნიშნავს არ გაგაჩნდეს საკუთარი აზრი.

* * *

ჩვენ ვწერთ უამრავ წიგნებს, ჩვენ ყოველდღე ვამბობთ, რომ ვაზროვნებთ და ბოლოს არსებობს აზროვნების დასაზღვრის პრეტენზიით შექმნილი უამრავი ფილოსოფიური ნაშრომი.

მაგრამ, როცა გსურს დასაზღვრო, რა არის აზროვნება, ხელთ გრჩება უსუსური არგუმენტი. _ და ჩვენ მხოლოდ ანატომიურ აღწერას დავჯერდებით:

აზროვნებისას ადამიანის მთლიანი სული უნდა იყოს ჩართული იმ პროცესში, რადგან ამ აზროვნების ძალით უნდა შესძლოს წარმოიდგინოს არსებული სამყარო ერთ მთელად, წარმოიდგინოს მასში მოცემული ნაწილები ერთი-მეორესთან გადაბმულად. იაზროვნო, ნიშნავს ერთი საგანი მეორე საგანთან ისე დააკავშირო უამრავი ძაფით, რომ ერთის გამოკლებაც კი ამ პროცესს აფერხებდეს.

ნამდვილი აზროვნება სულის სიცოცხლეა, სულის მოძრაობაა, ხელახლა სულს რომ ჩაუდგამს ნაცნობ საგნებს.

* * *

დროს ვერ დააბრუნებ _ ეს არის ჟამის ზარი. _ ის რეკს, რაც დროის მოუხელთაობაზე, მის მოუბრუნებლობაზე მიგანიშნებს.

როცა ასე უყურებ დროს, _ დღესვე, _ გადაუდებლივ აკეთებ დღევანდელ საქმეს და ჟამის ზარს, _ მის რეკვას ასე ეხმიანები.

* * *

წუთისოფელი _ უძლეველი ამაოებათა ამაოებაა _ ამბობს შენი გონება მწუხარედ და უიმედოდ, _ შენი გული კი თითქოსდა დასცინოდეს შენსავე გონებას და დაცინვით წარმოთქვამს: _ წუთისოფელი ამაოებათა ამაოებაა... და ეს დასაძლევია.

* * *

ადამიანური ენის თავისებურება:

_ შენი დუმილიც კი ამეტყველებული დუმილია.

* * *

ორი ხმა _ ორი გზა:

გარეგანი თვალი ამბობს:

_ მთავარია საყრდენი, მთავარია სტაბილურობა, მთავარია მეთოდი, და მხოლოდ ამდაგვარად არის შესაძლო ყველა წერტილიდან საგნების დანახვა-წვდომა.

შინაგანი თვალი ამბობს:

_ თუ შენი სულის თვალს მიაპყრობ საგნებს, იპოვი კიდეც გონმიუწვდომელ მთელს, შენი ცნობიერებიდან დამოუკიდებლად რომ აკინძავს ამ დაფანტულ და დაულაგებელ საგნებს, გაამთლიანებს და სუნთქვას ჩაუდგამს. ეს ის გონმიუწვდომელი მთელია, ადამიანურ ენაზე გულის მეხსიერებად რომ ითარგმნება.

* * *

ადამიანური ენა:

უცნაურია, მაგრამ დაკავშირებულნი არიან საგნები ერთმანეთთან თუ არ არიან, სულერთია მაინც მათ კავშირთა მეშვეობით უნდა ვაჩვენოთ სამყაროს სურათი.

* * *

პასკალი ამბობს: ნიჭია, რაც განაპირობებს ყველაფერს დანარჩენს.

მე კი ამას ასე დავაზუსტებდი:

თავზარდამცემი სიკვდილის მოლოდინი, დაუნდობელი უგულებელჰყოფა სიცოცხლის ყოველი ნიშნისა შენში, შენი ეგოიზმის, შენი სასიცოცხლო ბირთვის უკუგდება, რათა ხელთ აიღო შენი ტანჯვა, ცეცხლით განწმინდო შენი სული, და ამის შემდეგ ღვთის საჩუქარი გეძლევა:

და შენ ხედავ!

და საგნები შენთვის უცნობ ერთ რიგად განლაგდება.

და სულ ეს არის ნიჭის უნარი – ტანჯვაში გასძლო, გამოიწრთო და საჩუქრად საგანთა ხედვა მიიღო.

* * *

ყოველი დასაწყისი დაუძლეველი სიძნელის წინაშე დაგვაყენებს განუსხვავებლად, ეს იქნება ნამდვილი წერისა თუ საქმიანობის პროცესში შეჭრა, რადგან საწყისი სასრულსაც მოიცავს, რაც ნიშნავს, რომ ნამდვილი სუნთქვა მხოლოდ სიცოცხლისა და სიკვდილის ერთიანობით იბადება.

* * *

ჟამი თვითონ ქმნის თავისთავს და მისდა დასაუფლებლად მას უნდა მივყვეთ ფეხდაფეხ.

* * *

სიკვდილის საუბარი სიცოცხლეზე, ულოგიკობა ლოგიკას, რომ გვიმტკიცებს და ამ პარადოქსიდან იმზირება სულის თვალი და ასე სწავლობს ხედვას.

* * *

აზრი მიტომაც გვანიჭებს ადამიანურ ღირსებას, რომ აზრი, რომელიც შენში ნამდვილად დაიბადა, აუცილებლად შენი ცხოვრების გამოცდილების, შენი ცოდნის გაცნობიერებითა და დაძლევის შედეგად იბადება.

ამიტომაც შეიძლება ასეც ითქვას:

_ მთავარია, გაჩნდეს აზრი და კაცი უკვე პოულობს საყრდენს, ნავთსაყუდელს, სადაც თავისი ბედისწერის ზღვრებს მოხსნის.

* * *

აზრი გვეკარგება, თავისი პირვანდელი სახით და ვპოულობთ ახალ აზრში შენიღბულს.

* * *

თქვენ ვერაფერს ხვდებით, თუ რაღა უნდა უნდოდეს კაცს გარდაცვალების შემდეგ და თქვენ ცდებით, _ მხოლოდ ამის შემდეგ იბადება ყველა ადამიანური სურვილი, აზრი თუ ქმედება.

* * *

როცა გვსურს უხერხული ამბავი როგორღაც გავამართლოთ, _ ვამბობთ ეს ძალიან ადამიანურია, მაგრამ როცა რაღაც ამაღლებულ, ადამიანისათვის ღირსეულ ამბავს ვეხებით _ მოწიწებულნი წარმოვთქვათ _ ეს ხომ ღვთაებრივია.

ადამიანური ენა _ ეს არის ჩვენთვის გამოსასვლელი გზა, მაგრამ სავალი გზა უკვე ღვთაებრივი ენით უნდა განვლოთ.

* * *

სოფისტის მოსაზრება:

_ თანამედროვე ხელოვნებას აქვს ილუზია, რომ მათ ახალი სივრცეები შეაღეს, რითაც კლასიკურ ქმნილებებს სავსებით დაშორდნენ.

მაგრამ როცა ვან-დეიკის სურათებში სულის გაორებას, სამყაროს საიდუმლო მდინარის გარეთ გამოტანას ხედავ, სულისმიერი გზების პირდაპირ ყვავილთკაბად თუ სამკაულად გამჟღავნებას, აქვე აღარ უნდა გაკვირვებდეს გოგენის სურათები, ან კითხულობ სვიფტის «გულივერის მოგზაურობას» და აღარ უნდა გაკვირვებდეს «შაგალის სივრცე».

* * *

ყველაფერს უნდა მიუახლოვდე ადამიანურად და ყველაფერში უნდა იპოვო ღვთაებრივი.

რადგან რა აზრი აქვს ღვთაებრივად მოიპოვო ღვთაებრივი. ამას ხომ ადამიანის გარეშეც ახორციელებდა ღმერთი?

ადამიანის დაბადებას დედამიწაზე მხოლოდ ის აზრი აქვს, რომ ადამიანურად განიცადოს სამყაროს საგნები, ტკივილით მიიღოს სამყარო და ასე გამოსჭედოს საზრისი, რომლისთვისაც ის გაჩნდა – ეზიაროს ღვთაებრივ სხივს.

* * *

ტირანიაა, რომ შენ სუნთქავ. ტირანიაა, რომ საგნებს შეჰყურებ თუ წიგნებს კითხულობ.

შენ ტირანი ხარ! _ ასე იკითხები შენ, შენ _ შენს გარეშეობით, შენ _ სხვის მიერ.

* * *

გვიძნელდება განვლილი ამბის არსის გადმოცემა. რადგან მთავარია არა თავად ამბავი, ან ჩვენი უნაკლო მეხსიერება. მთავარია მაინც ის ძალმოსილება, რითაც რეალურობა ჩვენს ტირანიზირებას ახდენდა და რითაც სინამდვილის იდუმალება ჩვენში იბადებოდა.

* * *

არსებობს ცხოველური შიში, ეს უკუდახევა და ზურგშექცევა ყველა დიადი საგნისაგან და მისი ნამდვილი სახელია სიკვდილის შიში.

მაგრამ არსებობს ამაღლებულის შიში _ კრთომა სიდიადის წინაშე. _ ეს ხომ ჩვენი მიუსაფრობის ანაბეჭდია, ბავშვის თვალებით რომ იხედება ნამდვილი სამშობლოსაკენ და ჩვენ მიტოვებულ შინაგან სახლს რომ შეგვახსენებს.

* * *

შეუსვენებელი კითხვა ისეთივე კარგი საშუალებაა, რომ არ იაზროვნო, როგორც შეუსვენებელი ლაქლაქი სხვადასხვა საგნებზე. რაც სხვა არაფერია, თუ არა ცხოვრების ამაო ფუსფუსის უწყინარი მიდევნება.

* * *

მოაზროვნის წინააღმდეგობა:

_ მთელი კაცობრიობის გადარჩენაზე ფიქრობს და ბჭობს, ეძიებს გზებს მომავლის ბედნიერებისთვის და საკუთარი თავი კი ვერ გადაურჩენია.

* * *

როცა იმპრესიონისტების სურათებს შეჰყურებ, მათი კაშკაშა ნათელი თვალებს გიბრმავებს და შენს აღფრთოვანებას, გაოცებას საზღვარი არა აქვს – და შენც დუმდები.

მაგრამ ქრესტომათიას უბრალოდ, საღი გონებით შეუძლია აგიხსნას, რომ ეს ჯადოქრობა სხვა არაფერია, თუ არა რეალისტურ ნაწარმოებში ჩამალული სიუჟეტის, ამ «მიწით დაფარული ფესვის» სურათის ზედა-პირზე განთავსება.

იმპრესიონისტებთან სიუჟეტი განწყობის ფერად იქცევა. ასე დაასკვნის ქრესტომათია და ასე ამაოდ ცდილობს დიდი სინამდვილის საგნები, მათი სიმძიმე ყოველდღიურობის ენაზე გადმოიტანოს.

* * *

სიგიჟე _ ზღვარი, სადაც ძალას კარგავს მართლმსაჯულების ქმედება, რადგან სუბიექტმა დატოვა სახელმწიფო და ამქვეყნიური კანონები. და მან, ინდივიდუალურობის ტანთსაცმლით შემკობილმა მემ თავისი სამყაროს ერთადერთობა და უზენაესობა დააფუძნა.

* * *

მე ვყვირივარ, მე ვბრაზობ, მე ვამსხვრევ საგნებს.

და ჯერ რა შორი გზა მიდევს ადამიანამდე.

და მე ვჩერდები _ თვალებს ჩავიბრუნებ სულში, რათა ვიპოვო ჩემი გზის საწყის-სასრული, ჩემი ჯვრის მიერ შემორკალული წრე.

და მე ვხვდები _ ყველაზე ხმამაღალი ხმა ჩემში, _ მხოლოდ მშვენიერების სახით თუ განითქმება _ ეს იქნება ღიმილი თუ ჩემს მიერ შექმნილი ქმნილება.

* * *

ლაკონური აზრის საიდუმლო: რეალურობის მატირანიზირებელი ძალისხმევის შედეგი, დროის მზომელი, სახიერი, მეობის პირმშო, ამინდის მტვირთველი.

* * *

ბუნება დიადია თავისი მთლიანობით, კაცი ამ სიდიადის მთლიანობის ვერშეცნობის და ვერწვდომის დაუსაბამო სევდით.

* * *

როცა თანამედროვე სამყაროდან გაუხსნელ სუნთქვად ამოიტან რომ ადამიანის რაობა შეუცნობია, გიკვირს და იხსენებ, რომ ძველი ფილოსოფოსებიც თუ მწერლები ამ ენაზე უნდა აასაუბრო.

* * *

თითქოსდა იგივეს იმეორებ, რასაც ამ ერთი წამის წინ ეს კაცი ამბობდა და შენთან ამ სათქმელმა სხვა სახე მიიღო, ამოიტანა შენი სინამდვილის, შენი რაობის სუნთქვა.

«სტილი ეს თვით ადამიანია» _ ამბობს ბიუფონი და ამ ფრაზას ისევ და ისევ გადაიკითხავ.

* * *

თანამედროვე ფილოსოფოსი ისე საზღვრავს სამყაროს, თითქოსდა ხელოვანი იყოს.

და მაინც, ის ამ ადგილზეც ფილოსოფოსად უნდა მივიჩნიოთ.

* * *

გულუბრყვილო კითხვანი ყველაზე უკეთ ამხელენ დიად საიდუმლოთა შემაძრწუნებელ სიცხადეს.

* * *

ანატომიური სურათი:

_ ჯორდანო ბრუნოს მიერ უსასრულო სამყაროებში ოპტიმისტური გასვლა და თანამედროვეთა მიერ უსასრულო სამყაროებში თავზარ-დამცემი ჩაკარგვა.

* * *

ბუნების წინააღმდეგობა: მოაზროვნე ქალი.

* * *

ხელოვანის გზა:

_ ყოველივე, რაც ღირებული დაწერა, მისი შეცდომების კვალდაკვალ შეიქმნა.

საკუთარი სიცოცხლის დამარცხებით მან ააგო შესაძლებლობა ათასი სიცოცხლისა.

ბრბო _ სასაცილო ბუნება
სამყაროს გაუხსნელი საგნები

* * *

ბრბოს კაცი:

_ ბუნება ამბობს: _ ის უსახოა, ის უფორმოა, ის მხოლოოდენ მე გამომსახავს ადამიანური, პიროვნული მთლიანობის გარეშე და მე მას ვიცავ, ვანიჭებ ამ უძალადოს ჩემს ძალას, ამ არარაობას არსებულის ფორმებს.

ასე აღიმართება ადამიანის პირისპირ ბრბოს კაცი _ ბუნება დაუძ-ლეველი.

* * *

სიცივის უდაბნო, თბილ და უწყინარ თამაშს რომ ანაცვალე. ვარსკვლავების დუმილი, იისფერული ღიმილი ამაოების ბრუნვაში რომ წალეკე.

* * *

მავანის ფრაზები ალაგ-ალაგ კი ბრძნულია, ოღონდ მას არ გააჩნია მაერთი, _ შინაგანი მეხსიერება, _ გამოღვიძებული სულის ნიშანი.

და ეს ფრაზები უწონადოდ ჰაერში იფანტებიან და ისევ და ისევ არარსებულთა დასაპურებლად.

* * *

განა ოდესმე შეგეხო ეს სამყარო? ეს ცა? ეს ღრუბლები? ეს ადამიანები? ეს ვარსკვლავები...?

განა ოდესმე კი შეიგრძენი ერთი წამის მეათედად, რომ ცოცხალი არსება ხარ? მარადისობის ერთი პაწია წვეთი ან ერთი შეუმჩნეველი შტრიხი?

* * *

შენ არ შეგიძლია შეიცნო მარადისობა, შენ არ შეგწევს უნარი შეიცნო შენი წარმავლობა, შენ არ შეიგრძნობ არც სიცოცხლეს და არც სიკვდილს. შენ არც კი იცი, ვინ ხარ? ან რა ხარ?

რატომ არსებობ? რატომ იბადები? რატომ შეგქმნა სამყარომ?

* * *

საკმარისია მიიცვალო, რომ პატივი მოგეგოს.

ცოცხალი ასე რომ აძრწუნებდი და აშინებდი მათ, დღეს მკვდარი ასეთ თაყვანისცემას და სიყვარულს აღძრავ.

* * *

უზუსტობანი შენს ნაწერში, ე.ი. მოზღვავებული ტკივილის არდათმენა, თავის დანდობა, ცოტა თამაში ანუ ცოტა ფუქსავატობა, ჯვრის მოხერხებულად ტარება.

* * *

შენ დიდი ხანია გარდაიცვალე! შენ დიდი ხანია არ უწყი, რა მიმდინარეობს შენი შემოზღუდული არსებობის უწყინარი თამაშობების იქით. შენ გარდაიცვალე! და განა ვინმე გრძნობს ამას? განა ისინიც შენსავით არარსებობის ნისლში არ ლივლივებენ?

ვისა აქვს თავი წამოდგომის, გამოღვიძების, შენი დანახვის...

იყავ ჩუმად! იყავ წყნარად! ნუ დაარღვევ არარაობის შეურხევლობას!

* * *

მათი ხმამაღალი სიცილი ისე ხმაურიანად გაისმის, ვით მათი უწონადო სხეულის ხმა, ვით მათი უწონადო ყვირილი, უწონადო სიკვდილი, უწონადო ტირილი.

აი, ეს შეგახსენებს, რომ სამყაროს ზედაპირზე დევს ის ამაოება, ის უსახეობა, რაც ასე უმიზნოდ და ასე უსამართლოდ გვიმჟღავნებს სამყაროს ერთ სახეს.

* * *

შენ ბუნებას უწოდებ იმ უსუსურ ზრახვებს, იმ საძაგელ ვნებებს, ასე რომ გიპყრობს, ასე რომ გაიძულებენ იქცე იმად, რაც შენ არა ხარ.

და შენ ტყუი _ ეს ხომ ბუნების ყალბი სახეა.

* * *

შენ აღარ გეკუთვნის შენი თავი, რადგან იგი **არავის და არაფერს** მიუძღვენი.

* * *

ბრბოს «ნიჭი»:

_ განა სიცხადე საგანთ ქვეყნისა არ არის ის, რაც ყველაზე მეტად აბრმავებს თვალს, რომელიც ხედავს ყველგან სიცხადეს?

* * *

შენ ფიქრობ, რომ ფრთები, ცისკენ მიმსწრაფი ფრთები, რაღაც არარეალური, ფანტაზიის ფუყე ნაყოფია.

და შენ ცდები, ეს არის ერთადერთი რეალურობა, _ დიდ სინამდვილესთან კავშირის ნიშანი.

ერთ დღეს ყველაფერი გაჰქრება ვით მოჩვენება! გაჰქრება შენი უაზრო ფუსფუსი, შენი ნახევრული სიყვარული თუ სიძულვილი, შენი გაუთავებელი ჭორაობა, შენი ქილიკი, გაჰქრება ნათამაშევი სიკეთის შენეული როლებიც...

ყველაფერი გაჰქრება და დარჩება მხოლოდ ეს ცისკენ მიმსწრაფი ფრთების მონახაზები _ დარჩება ღვთის მეხსიერებაში.

* * *

წამები, წუთები თუ დღეები, როცა ჩვენი არარსებობა მძლავრობს, როცა ბრბოს უსახო თვალი ჩვენს თვალს ეფარება და ხედავ დაუსრულებლივ, უაზროდ როგორ ეცემა ქვის ზედაპირს მარცვლები, შენი წამების, წუთების თუ დღეების ეს უტყვი ასლები და ჭვრეტ ხრიოკ მიწად ქცეულ შენს სულს და გოდებ.

* * *

განა იმისთვის მოხვედი ამ სამყაროში, **შენი შენი** ხმა არ გაიღო? **შენი შენი შენი** საუბარი არ შედგეს? **შენი შენი შენი** ხმით ვერ გაიცინო? ვერ დაიმღერო?

ვინ გიცნო **შენ?** ვინ შენიშნა **შენი** არსებობა? განა თუ ვინმემ შეიგრძნო რომ **შენც** ადამიანი ხარ და სუნთქავ?

განა თუ ამაოდ?

განა თუ ამაოდ მოხვედი შენ დედამიწაზე?

* * *

ცხადია, ცხადზე ცხადი, რომ ისინი არ არსებობენ. შენ ეს კარგად იცი და მაინც ხელებს იწვდი მათკენ. ხელთ კი გრჩება არარაობის შეუმსხვრევი კედლები.

* * *

პარადოქსი:

_ დაუბადებელნი ხომ სულ მუდამ თავიანთ დაბადებაზე ჩივიან.

* * *

წამია, წამზე უმცირესი ის ჟამი, შენ რომ მყოფობ. ის ჟამი, შენი სული თავისთავს რომ წვდება.

ასე დაუბადებელი, ასე მედიდური ცხედარი დაბრძანდები და ანადგურებ ღვთით ბოძებულ მადლს, ღვთით ბოძებულ ნიჭს და სინათლეს.

* * *

არაფერს არ ფიქრობ, არაფერს არ გრძნობ, არაფერზე ოცნებობ.

და ეს არაფერობა გითრევს და გითრევს ვით მორევი.

მიედინები და ასე მინებებული არაფერდები.

* * *

ლაროშფუკოს ნიღბის ვარიაცია:

_ წარმოიდგინო საზოგადოება ვით ბუნების უსახეობა, მხოლოდ და მხოლოდ სასიცოცხლო ნაკადების მიქცევ-მოქცევას რომ წარმოაჩენს, რასაც ანგარების ენა _ ორიოდ სიტყვით გამოხატავს: **მოგება ან წაგება.**

ამ სამყაროში უწონადო და სიმძიმეს მოკლებულია მაერთი სიტყვა და ასე უფასურდება და კნინდება ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიის აღმტაც-სიხარულიანი ტალღების საზრისი _ ეს ღვთიური სამყარო.

* * *

როცა კაცს სული არ გააჩნია, შეიძლება გააჩნდეს საღი აზრი, ის ლოგიკა, ასე უდარდელად რომ უარყოფს ნამდვილ სათქმელს.

დიახ, ის უარყოფს სინამდვილეს, რადგან თვით არის უარყოფილი სინამდვილის ჩენილი სახე.

* * *

ბევრმა, სამწუხაროდ, ისწავლა ტკივილის იმიტაცია, ბევრმა იცის, თუ როგორ უნდა უპასუხოს კითხვას:

_ როგორ ქმნით?

საჭიროა დაიწყო საუბარი გაუთავებელ ყოყმანსა და ჭოჭმანზე, ხაზგასმა გააკეთო ნერვიულობის შეგრძნებაზე და რაც მთავარია, ისაუბრო ვრცლად გამოუცნობ შიშზე.

ამის შემდეგ წარმოთქვამ ფრაზას:

_ მე ბოლო წუთებამდე არ ვიცოდი, რას დავწერდი.

ყველას გუმანი ჩასჩურჩულებს, რომ ბუნება ჩვენში ის შეუმსხვრევი და მიუწვდომი სრულყოფილებაა, რომელსაც მხოლოდ არაცნობიერის ძალით და იდუმალი საგნის აღქმისადმი გულწრფელი მინებებით თუ ამოიტან.

* * *

ტკივილი იგი, შენგან უარყოფილი, იქცევა რა სხვის ტკივილად, განგეშორება ვით სხვისი ტანი, სხვისი სული, სხვისი სამყარო, სხვისი სიყვარული თუ სიძულვილი.

* * *

ყოველდღიურობის სინაცრისფრეში სიტყვებმა დაკარგეს თავიანთი წონადობა, სამყაროს სისავსესთან, სამყაროს ძარღვთან ფეთქვის უნარი და საჭიროების საგნებად ქცეულნი, ნამდვილი საგნებიდან მუყაოთი შექმნილ იმიტაციებად იქცნენ.

* * *

რა სერიოზულად ეკიდება ადამიანის ღირსებას, ვინც შეუბრალებელი ხარხარით შეჰყურებს წვრილმან საქმიანობაში ჩაფლულ ადამიანებს.

შეუბრალებლობა სასაცილოს მიმართ გვიმჟღავნებს, რამდენად მკაცრად უარყო ადამიანმა უსულო და უწყინარი ცხოველი თავისთავში.

* * *

შენ საუბრობ, შენ იცინი, შენ ცრემლად იღვრები, შენ მღერი, შენი სული კი _ არ თრთის და არ ხმიანობს. ვიღაც, ვიღაც უცხო _ შენ რომ არ იცნობ და არ გიცნობს, ვიღაც მთლიანად რომ გაიბატონა შენ სულზედ, მთლიანად რომ მოაკვდინა შენი საუბარი, შენი სიცილი, შენი ცრემლი.

შენ დიდი ხანია გარდაიცვალე დაუბადებლად.

* * *

ვერ გრძნობს სიცოცხლეს ის, ვისთანაც სიცოცხლე მუდმივად არის.

* * *

საკუთარი ტკივილი არ გტკიოდეს, ე. ი. ტკივილი, რომელიც შენში წარმოიშვა და შენშია, და მაინც შორსაა, რამეთუ ვერ გრძნობ.

* * *

ხშირად ზოგიერთ საგნის ახსნა-განმარტება ამ საგანს აზრს უკარგავს.

* * *

ეს ბრმა ამ აზრს აქაც პოულობს და იქაც, რადგან სიბრმავე ერთ-გვარი მარტივი ენაა, «ერთგვარი სინაცრისფრე», უბრალო საშუალებაა, აზრის გარეშე აზრის გამოსათქმელად.

* * *

ვის სჭირდება სული? ვის სჭირდება ამაღლება? ოცნება? ღრუბელთ მოძრაობა? ცრემლთ მდინარება? იისფერი მთის დაბადება და ცათამდე ატანა? ვარსკვლავების ცივი ნათება?

ვის-მეთქი? ამათ?

გადაუგდე ხორაგი ამ მუცლებს, ატროკილებულთ _ ლეში და გაბეზრებულთ _ მზესუმზირა. შენ კი სული დამალე, ფარდა ჩამოაფარე მათსა და შენს შორის.

ფარდა, დამცავი სიცოცხლის შენი ხმისა, მათ რომ ხელები არ მოგაწვდინონ.

სიკვდილი _ ნამდვილი სამყაროს კარები

* * *

პარადოქსია, რომ სიკვდილის პირქუში სახე ყველაზე კეთილშობილი სახეა ადამიანისთვის, რადგან ის, მხოლოდ ის არის შუამავალი სიცოცხლის დიად გამოვლენასთან.

როცა კარებზე მის პირქუშ კაკუნს ვისმენთ, როცა შიშითა და ძრწოლით ყურს ვუგდებთ მისი მსახვრალი ნაბიჯების ხმას, მხოლოდ მაშინ ვადებთ ფასს სამყაროს საგნებს. მხოლოდ მაშინ გავისიგრძიგანებთ ადამიანური გრძნობების, აზრებისა თუ ქმედების სიდიადეს. ის ყურში ჩაგვჩურჩულებს რომ შეიძლება ყველაფერი გაჰქრეს, არარად იქცეს და როცა სიკვდილის ბნელი უფსკრული პირს დააღებს და ზღვარს გაავლებს არარასა და ყველაფერს შორის, დიდი სინამდვილის ფარდაც ჩამოვარდება, მისი კაშკაშა ნათელის ძალმოსილება სულს გაგვიმთლია-ნებს და გვაიძულებს არჩევანი მოვახდინოთ:

ან მივიღოთ სიცოცხლე _ ჩვენს სულს თვალებს რომ მოაბამს და მოულოდნელად თავზარდამცემი სიბნელიდან გასხივოსნებულ სამყაროში ჩაგვახედებს, იმ სამყაროში, ადამიანური რაობა, ღვთაებრივი სინათლით სუნთქვაჩადგმული სამყარო რომ ჰქვია.

ან უკუვიქცეთ მხდალი ცხოველივით _ დავივიწყოთ სიკვდილი, მაშასადამე დავივიწყოთ დიდი სინამდვილე, დავივიწყოთ სიცოცხლე და გავაგრძელოთ მთვლემარე მდგომარეობის მოჩვენებითობა, ის არსებობა, რომლისთვისაც სიცოცხლეს არავითარი ღირებულება არ გააჩნია, რადგან მან ხომ სიკვდილის კეთილშობილი სამსახური უკუაგდო და ამით თავის რაობას, თავის სიცოცხლეს უარი უთხრა.

* * *

სიკვდილი აშიშვლებს ჩვენს ნამდვილ არსებას და არსს გვაახლოებს.

ვძრწით ამ უფსკრულის წინაშე, რომლის სიშავეში ანთებული ვარსკვლავები, მზეები ანათებენ საგნებს, თავიანთ სახეს აჩენენ სფინქსები.

* * *

რა არის სიკვდილი?

როცა მას აბსტრაქტულად ვპასუხობთ, ისეთი შეგრძნებაც კი გვეუფლება, რომ რაღაც უზნეობას ჩავდიოდეთ.

რადგან რა არის სიკვდილი?

თუ ეს კითხვა ღმერთს მიემართება: _ ის აბსურდულია. ჩვენ უბრალოდ ვამბობთ: ღმერთი თავად უკვდავებაა. და თუმცა ეს ფრაზა ჩვენი გონის ზღვრებს სცილდება, მაგრამ ამაში ეჭვი არ გვეპარება.

და თუ ეს კითხვა ცხოველის მიმართ დაისმის: მაშინაც აბსურდულია. ცხოველი ხომ ვერასოდეს შესძლებდა ამ კითხვის დასმას. ის კვდება იმ წამსვე, როგორც კი სიკვდილი კარზე დაუკაკუნებს. ის ვერ ასწრებს შეხედოს სიკვდილის პირქუშ სახეს. მისი ცოდნა სიკვდილის შესახებ არის ახლანდელობაში მოცემული კვდომის პროცესი.

ხოლო რაც შეეხება ადამიანს, მხოლოდ მასთან აქვს აზრი დავსვათ ეს კითხვა: რა არის სიკვდილი?

ყოველი ადამიანი თავის სიკვდილს ან იღებს ან უარყოფს. _ ამ უმთავრესი არჩევანით განისაზღვრება მისი ცხოვრება. თუ ის სიკვდილს უარყოფს, მისი სიკვდილი ცხოველის უგონო სიკვდილია და სხვა არაფერი. ის თვალახვეული კვდება, რადგან არც არასოდეს შეუგრძვნია და შეუცვნია სიკვდილი, რადგან არ იცის ვინ არის? არ იცის რომ ადამიანია. არ იცის, რომ სული გააჩნია.

მაგრამ თუ სიკვდილს თვალს გაუსწორებს, _ ის ამ კარებით თავის ნამდვილ სახლში ხვდება, სადაც ღვთიური ნათელი ეფინება მის ადამიანურ თვალებს და ყველა საგანს, რომელსაც ის ეხება.

ასე ხდება ის თვალნათელი და მას ამ წყვდიადის გავლით ეძლევა ნიჭი, წაიკითხოს თავისი ცხოვრების წიგნი, რომელიც ისევ თავისივე განათებული სულით აიკინძება ერთ მთელად.

სამყაროს შექმნა _ მისტერიაა

* * *

ცრემლის მდინარე ძევს ყოველი ადამიანის იქით. ყოველი ადამიანური ქმედებისა თუ მის მიერ შექმნილი საგნის იქით.

ცრემლ-მდინარე ძევს და ამ მდინარებას სიტყვებით ვერ აღწერ, ერთმნიშვნელოვნად ვერ ახსნი. ყველაფერი მასში ხომ მოედინება უანგაროდ, ყოველგვარი სახელდების გარეშე.

* * *

მომეცით საყრდენი წერტილი და მე სამყაროს ავამოძრავებ, _ ამბობს არქიმედე.

შენ კი ნებისმიერი საგანი შეგიძლია აიღო და იგი იქცევა საყრდენ წერტილად _ თუ შენ ამ საგანს ნამდვილად მიეახლები.

ასე ვესიტყვები არქიმედეს.

* * *

უბედურებით შეძრული გული გრძნობს სამყაროს. ბედნიერებით შეძრული გულიც გრძნობს სამყაროს. ყველა გულწრფელი ხედვა შინაგან კანონზომიერებას იქმნის და აღწევს სინამდვილე-ჭეშმარიტებას.

მარცვალი აღმოცენდება თუ იქნება სადმე დათესილი. ნამდვილი სიცოცხლე ყოველთვის ჰპოვებს სამყაროს ხმას.

* * *

როცა ჩაჰკირკიტებ ნაწერს, არ მოგწონს და მაინც ვეღარაფერს შეცვლი, ხვდები რომ ყველაფერი მოედინება კაცის სულისგან, რომლის ენით უთქმელი ერთობა მხოლოდ მოისმინება.

* * *

აზრებში სინათლისეული გამჭვირვალობით მოჩანს ღვთაებრივი ფარდის კოპირება.

* * *

ფილოსოფოსნი ცდილობენ სამყაროს სავსეობა წარმოისახონ და ამ დროს კი თავიანთ იდუმალ სარკეს გვიმჟღავნებენ, იმ სარკეს, მათი რაობა რომ იხილება.

* * *

დეკარტისეული: სამყარო ერთიანია, ყველა მისი ნაწილი ერთიმეორეს ეწვნის. კაცი, ერთ საგანსაც თუ უერთგულებს, სამყაროს სისავსეს მიეახლება. ერთ გზას თუ გაუყვება, ყველა დანარჩენ გზას გადაჰკვეთს.

* * *

აზრი არ არის დასრულებული, გრძნობამაც თითქოსდა ვერ მიაღწია თავის ზღვარს და უკვე ფარდა ჩამოაფარეს.

ასე იქმნება ხელოვნების შედევრი თუ ფილოსოფიური ნაშრომი.

და გახსენდება ღვთის სიტყვები:

- მე ვარ რომელი ვარ _ თითქოსდა ამით ხელოვანს თუ ფილოსოფოსს ღმერთი ერთი და იგივე ფრაზით მიმართავს:

- მე ჩემს სუნთქვას შენს სუნთქვაში ვათავსებ და გამოძრავებ და ასე დაფარული და ცხადი გეჩვენები.

* * *

ჩვენ გვიცავს საიდუმლოთი დახურული ჩვენი სუნთქვის მიქცევ-მოქცევა, დარვინის «სახეობანი», უზნაძის «განწყობა», კანტის «ნოუმენი», ფიხტეს «მე», ფროიდის «არაცნობიერი» და ა.შ. და ა.შ.

ამ მთლიანი, «დაუცალკევებელი სუნთქვით ვაზროვნებთ» და მით ვპოულობთ აზრს ჩვენს არსებობაში.

* * *

ყოველი კაცი სიკვდილის მოლოდინით აზროვნებს და ცოცხლობს.

ყოველი თაობა გარდაუვალი აღსასრულის მოლოდინის წინაშე ქმნის ხელოვნებასა თუ მეცნიერებას.

სიბნელეში შთანთქმული საგანი სინათლეს ითხოვს დასაბადებლად. სიკვდილის პირქუში სახის პირისპირ მდგარი სული სინათლით წარმოშობს თავის თავს.

* * *

ნებისმიერი საგანი მიგიყვანდა სამყარომდე, ოღონდ გქონდეს ყურნი სასმენნი, ის ნებისმიერი საგანი, რომელთანაც შენმა სინამდვილემ მიგიყვანა.

* * *

რას წარმოადგენენ ფილოსოფოსთა სამყაროები თუ ხელოვნების ნაწარმოებნი თუ არა სულ ერთი და იგივე კითხვა-პასუხთა ერთობლიობას, რითაც ისინი ერთიმეორეს ეპასუხებიან დროის უწყვეტობაში.

* * *

დილემის პირისპირ:

_ დეკარტის მეთოდი რომ არა, შეუძლებელი იქნებოდა სამყაროს აღქმა და დეკარტის მეთოდის დარღვევის შესაძლებლობა რომ არა, ასევე შეუძლებელი.

* * *

კაცის ღირსების დასტურად გამოდგება კაცის თავისთავზე აღმატება და მის ნაწერებში წინააღმდეგობის აღმოჩენა ამის საბუთია.

* * *

როცა მკითხველი შედევრში წინააღმდეგობას აღმოაჩენს, უმალ თავში ის აზრი უტრიალებს, რომ მოატყუეს.

მას ეგონა, რომ მის წინაშე გენიოსი იდგა, _ ის ღვთაებრივი ადამიანი სამყაროს ჭეშმარიტებას რომ გადახსნის მის წინაშე. აქ კი ისევ უბრალოდ ადამიანის გზა შესთავაზეს, ცხოვრება თვისი წინააღმდეგობებით.

და საქმე კი პირიქით არის, რაც უფრო მეტად ვაწყდებით წინააღმდეგობას ნაწარმოებში, მით უფრო მეტად უნდა ვჭვრეტდეთ იმ დიადი ბრძოლის კვალს, რომელსაც ნებისმიერი ადამიანი და მით უფრო მაღალ მისტიურ საფეხურებზე ასული გენიოსი გაივლის.

ის, მიწიერ ცხოვრებაში მყოფი, თავგანწირვით იბრძვის იმ სულიერებისთვის, რომლისთვისაც, თუ ყველა არა, ადამიანთა საუკეთესო ნაწილი მაინც თავს დადებს.

მაგრამ სხვაობა გენიოსსა და მათ შორის სწორედ იმაში მდგომა-რეობს, რომ გენიოსი, ვით ღმერთი, თავის დიად ბრძოლას სახელს არქმევს. ის ვით ღმერთი ხელახლა ჩაუდგამს სამყაროს სულს. ეს სახელდებული ბრძოლა არის ბირთვი მისი სამყაროსი და სულერთია როგორ გამოისახება იგი.

სხვაგვარად სხვა ყველაფერი შედევრისა pretexte-ია, დაარქვით მას თუნდაც მაქმანები, თუნდ სამკაულები, თუნდ ფერები, თუნდ ტრადიციები. ზუსტი დასაზღვრა ამ pretexte-ისა ეს ორი სიტყვაა: **საუკუნის დამღა**, რომელიც ნაწარმოების ბირთვს გარს შემოევლება და ერწყმის, რათა სავსებით იდუმალებით შებურუოს გენიოსის ადამიანური გზა.

* * *

_ რა ვარ მე?

_ არარაობა?

დიახ, არარა ვარ, მტვერი ამაოებისა, მაგრამ თვითშეცნობის უმალ ეს მტვერი ბრწყინვალე მზედ იკვრება, ღვთაებრივი შარავანდედი ჩნდება _ იქმნება სამყარო, ადამიანის აზრი.

* * *

«გამოუთქმელის განუწყვეტელი მდინარება» _ როცა ამ ფრაზით გსურს დასაზღვრო მუსიკა, პოეზია, მხატვრობა თუ არქიტექტურა... ხვდები როგორ ირღვევა ხელოვნების დარგებს შორის ვითომცდა არსებული ზღვრები _ და შენს წინაშე გამოუთქმელის კაშკაშა ნათელი თვალებს გიბრმავებს.

* * *

ასე ამბობენ, «ყველა გზა რომში მიდისო».

მე კი ასე ვიტყოდი: _ სულისმიერ გზაზე მიმავალი კაცის ნებისმიერი საგანი სამყაროს სისავსეს მიეახლება, სულისმიერი კაცის ნებისმიერი შინაგანი მდინარე იმ ერთ საერთო მდინარებაში ჩაედინება.

* * *

პარადოქსია თუმც ვერ ვუარყოვთ, რომ თანამედროვე ფილოსოფოსის სისტემა თუ ხელოვანის ნაწარმოები თავისთავში ღვთის სამყაროს რომ უარყოფს, თავისდაუნებურად მის ძალმოსილებას აფუძნებს.

თანამედროვე ხელოვანი თუ ფილოსოფოსი სამყაროს აღსაქმელად ნიცშეს გზით რომ მიემართება, გვიმჟღავნებს გასაოცარ ყურისგდებას, სათუთ დამოკიდებულებას სამყაროს თითოეული, უმნიშვნელო საგნისადმი. თითქოსდა ისინი დაჩოქილნი უსმენენ სამყაროს ნებისმიერ ჩქამს და ვერ კი ბედავენ განაზოგადონ სათქმელი.

ისინი ხომ (თანამედროვე ფილოსოფოსი თუ ხელოვანი) ერთნაირი ზიზღით ეკიდებიან განზოგადებას, აფორისტული მანერით აზროვნებას, ასე განსაჯეთ ნებისმიერ განსჯას. მოკლედ, ისინი, ყველა მათგანს განურჩევლად ერთ დიდ ტომარაში გადაუძახებენ და იარლიყად ამ ტომარას უნიფიცირებას წააწერენ.

როცა კამიუ ამის შესახებ ასე წერს:

_ «როგორიც არ უნდა იყოს სიტყვათა თამაში და ლოგიკის აკრობატიკა, გაგება, უწინარეს ყოვლისა, უნიფიცირებას ნიშნავს».

ეს ნიშნავს, რომ იქ, სადაც ათასი საგანი უნდა გვეხილა, მხოლოდ ერთ საგანს ვხედავთ.

და ჩვენ ვხვდებით, რომ თანამედროვეთა ეს განმარტება სხვა არაფერია, თუ არა ღვთის რწმენისა და მზის სხივის ლოგიკის ენაზე თარგმნის სავალალო მცდელობა. ასე კნინდება კლასიკოსის რწმენით განათებული გზა, რომელზედაც სვლისას ღვთის ნიჭით «დაბრმავებული» კლასიკოსი ხელოვანისა თუ ფილოსოფოსის ბაგეებით საგნები თავად ამეტყველდებიან.

და უარყოფს რა განზოგადებას (უნიფიცირებას) თანამედროვე ხელოვანი თუ ფილოსოფოსი, მხოლოდ და მხოლოდ იმას ახერხებს, რომ მოწიწებული ჩერდება და შეშდება სამყაროს წინაშე, ვით ყურისმგდებელი. ვიღებთ წინააღმდეგობას:

_ ის, ვინც ღმერთი უარყო, _ ღვთის სამყაროს დაურღვეველ მიღებასა და ყურისგდებას ცდილობს.

რაოდენი ღიმილი, ირონიული გულმოწყალება ღვთაებისა იმალება ამ უარმყოფლის დადგინებაში.

* * *

ნამდვილი აზროვნების პირველი ნაბიჯები წყვდიადში თავჩაკიდებაა, რათა ათრთოლებულმა სულმა ტკივილიანი სუნთქვით სინათლე და სიცხადე ამოიტანოს და შენ, სიზმარში მყოფი სიზმარეულ ყვავილებს წამიერად რომ ჰკიდებ თვალს, გრძნობ მუდამ ურღვევის შენთან მყოფობას და შენ სცნობ, რომ დემოკრიტესთვის _ ეს ატომებია, თალესისთვის _ წყალი, არქიმედისთვის _ შესაძლო საყრდენი წერტილი, ჰერაკლიტესთვის _ მარად ცოცხალი ცეცხლი და ა.შ. და ა.შ.

* * *

როცა რემბრანტი ხატავს ადამიანის სულისმიერ პორტრეტს, ის მას მთლიანობაში ყოველთვის მოიაზრებს როგორც წიგნს. მაშასადამე, ის ირჩევს წიგნს, ვით ჩვენი ცხოვრების სიმბოლოდ, ჩვენი სულის ხორცშესხმულ საგნად, და მის იდუმალ სარკედ. რაც ნიშნავს, რომ ის იქმნის ერთგვარად ფეხადგმულ გზა-მდინარეს, დეკარტეს მეთოდს.

* * *

ადამიანი სულიერ გზაზე მავალი ადამიანი თავისთავში ბონაპარტეს გააღვიძებს, რათა შემდგომ შეიპყროს იგი და დასძლიოს.

ის, ვით ტირანი, თავისი ძალისხმევით უპირისპირდება რეალურობის მატირანიზირებელ ძალისხმევას და უკვე პიროვნულად გამთლიანებული, ვით მონა, ისმენს და ისმენს სამყაროს იდუმალი ერთობის ხმას.

მასში მღვიძარე ტირანი-მონა ერთდროულობის თავბრუდამხვევი ნაკადით ანგრევს და აშენებს, განსჯის და ამართლებს იდუმალის ახლომყოფობას.

* * *

მხოლოდ იმ ტანჯვას აქვს წონადობა, რაც ციდან ადამიანის მეორედ დაბადებას, მისი სულიერი გზის მოძრაობას ებმის. ადამიანი განეშორება მიწიერობას, განიშორებს სხეულებრივ სამოსს და ეს ურთულესი გზა მან აუცილებლად ტანჯვით უნდა განვლოს, რათა შემდგომ მაღალ მისტიურ საფეხურებზე აღსვლით ღვთაებრივს ეზიაროს.

და რაც უფრო მეტად და მეტად იტანჯება ადამიანი, ე.ი. რაც უფრო მეტად განეშორება მშობლიურ სითბოს, უწყინარი ცხოვრების ჩვეულებებსა და მიწიერებას, უფრო მეტად იჩენს თავს მისი სულიერი თვალის ის გასაოცარი უნარი, რაღაც ერთგვაროვნებით შემოსოს ნებისმიერი საგანი თუ მოვლენა.

ასე თითქოსდა ქვეყნები, ერები, ტრადიციები, ცის უსასრულობა თავისი პლანეტარული სისტემებით მის სულისმიერ ხელისგულზე იკეცებოდეს. ასე მისი სულისმიერი თვალის წინაშე თითქოსდა ნათელი გაშეშებით ამოიზრდება ყოველ საგანში მიმალული და დაფარული ერთგვაროვნება _ და საოცარი ნაცნობობის ხიბლით, სამყაროს მრავალ-ფეროვნება, რაღაც ერთ რიგად განლაგდება.

* * *

კაცის ურთულესი სულიერი გზა იმ ტკბობით, მინებებული ყოფის საპირისპირო მხარეს სვლაა იმ კაცისაკენ, ყველა სურვილს, ყველა აზრს, ყველა საგანს ღვთაებრივი თვალთახედვით რომ აფუძნებს.

* * *

როგორი იდუმალება არ უნდა ჰბურავდეს ადამიანის სულიერ გზას – შეიძლება ის უბრალოდ, ერთმნიშვნელოვნად დავახასიათოთ.

დიადი ბრძოლა – საკუთარი თავის ძლევისა, ანუ ტანჯვით მიმავალი გზა ღვთისკენ და ამ გზაზე შერკინება იმ ცხოველთან, მცონარების, უგუნურების, სიკვდილის შიშის სახით რომ გვეცხადება.

ყოველი ჭეშმარიტი ფრაზა მხოლოდ და მხოლოდ კვალია სიკეთის გამარჯვებისა ბოროტებაზე, სინათლისა სიბნელეზე.

* * *

შემეცნების ნათელი გზა:

_ ყოველთვის შენი დაურღვეველი მთლიანობა უნდა ჩაებას ქმედებაში, როცა შემეცნების ნათელი გზა სიბნელეს გადაჰკვეთს და გაშინებს, რომ ვიღაც თვალახვეული დაგატარებს. რადგან დაურღვეველი მთლიანობა არის ის, რასაც ვერ ხედავ, ვერ განჭვრეტ, რასაც ვერ მოიხელთებ. მოკლედ, ის, რასაც სახელს ვერ დაარქმევ და ვერ გააცნობიერებ.

და მნიშვნელობა არა აქვს სულის რა ძალა გამოისახება სარკის ზედაპირზე:

გრძნობა, გონება, ნება თუ ინტუიცია.

რადგან ისევ და ისევ, ხომ ეს დაურღვეველი მთლიანობაა შენს ნაცვლად გზად რომ გასწევს, რათა თვალახვეული შეერწყა, რასაც უკვე მოიცავ _ რაც ლოგიკის ენაზე _ წრის კვადრატულობას ნიშნავს.

* * *

ნამდვილი ნაწარმოების მოკლედ გადმოცემა იმიტომაც არ შეიძლება, რომ თავად ნაწარმოების ეს მთლიანობა ის აუცილებელი გზაა, ის სუნთქვათა ტალღებია, კაცის აზრის გამოსათქმელად და დასაფარავად რომ შეიქმნა.

* * *

გარეგნული თვალით:

_ როცა ხედავ, რომ ერთადერთი წერტილის ვარიაციაა ყველაფერი, რაც დაგიწერია, გაგიკეთებია, გაგიფიქრებია.

ერთადერთი «წერტილი» მოძრაობაში?!

* * *

თანამედროვის ბერწი თვალით:

_ ყველაფერი ერთიანია, და ამიტომაც ყველაფრის ერთ წერტილზე, ერთ სიტყვაზე დაყვანა შესაძლებელია.

პირობითი საწყისი, ღვთაებრივ ნათელს რომ ჰქმის.

* * *

როცა ღვთიური მადლი მიგიძღვება საგნებისაკენ, თითქოსდა ყველა მათგანი ერთგვაროვნების შუქით იმოსება და ასევე, რაც არ უნდა განსხვავებულ ფილოსოფიურ ნაშრომსა თუ ხელოვნების ნიმუშს ეცნობოდე, შენ მათ მიღმა დაინახავ მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთ კაცს, რომელიც ყოველთვის ერთნაირად მოივლის ქრისტეს ვნებას, ჯვარცმასა და ამაღლებას.

და შენ ხვდები:

_ ისინი იბადებიან, რათა კაცობრიობის იდუმალი სარკე გაამთლიანონ.

მისტიური ხილვები

* * *

გიხილავ ცხადლივ უთქმელო იდუმალებავ წამის მეათედად და სიხარული შემიჩქვიფებს გულს, აყვავდება სული ჩემი და ოცნების ნაზი სიტკბო სიკეთედ გარდასახავს ყოველივე ამაოს ჩემში, ბოროტს ჩემში და მაშინ მწამს ღმერთის, სიცოცხლის, დედამიწის, ადამიანის...

* * *

ხელოვანის გზა:

_ გაყინული მიწის წიაღში შთავარდნილი თესლის მსგავსად ჩაესვენა და შეენივთა ადამიანის გზაზე მავალი მისი სული ყინულოვან უდაბნოს და ვით ქრისტეს ლურსმნიდან მოდენილი ტკივილი, ამ სიცივის ბუნებაც უსასრულობაა.

* * *

რა თვალნათელია ქვეყანა მისთვის, ვინც ხედავს და ხედვით ისმენს უთვალავ და დამათრობელ ფერადებს. ეს ცნობა ყველა ფარდის გადაწევაა. და მაშინაც კი როცა მცნობელს სძინავს ან თვალდახუჭული თავისთვის ფიქრში გართულა საგნები მზის სიცხადით იხედებიან მის სულში.

ასე მკვიდრდება მხედველში ყოფიერების წიაღიდან მომდინარი შემაშინებელი თრთოლვა და წამი მარადიული ფეთქვას იწყებს.

* * *

მჭკნარი ფოთლები ქვაფენილზე.

იქნებ ეს არის შენი ტანჯვის გარე სურათი, და მიტომაც შენ საბრალო გულს აეკიდა.

* * *

რწმენაჩასახული კაცის სული მადლიერებით ივსება ყოველი საგნის ჭვრეტისას.

ტკივილით დაფარული, ის, ცრემლის იქით იღიმის და რა მზიანია ეს ღიმილი, თითქოსდა მთელ სამყაროს ნათელი ეფინება.

* * *

წყვდიად ღამეში ვარსკვლავი ანათებს და ეს ბრბოში მავალი პოეტის სულია.

* * *

ტკივილთა ზღვების დაუსრულებელი მიმოქცევა ერთ ტალღად მოვარდება და თავისში მოგიმწყვდევს, სინათლის სიცხადე განუზომელ წყვდიადად გექცევა, როცა გაიხსენებ, რომ სინამდვილეა და არა სიზმარი, რომ **შენ, შენ, შენ _ ნამდვილად შენ,** ცოცხალი არსება დადიხარ ამ დედამიწის ზურგზე.

* * *

რა შეიძლება შეესიტყვოს ჩემს სევდას, ცრემლებით სავსე სულს, სადღაც მდინარესავით რომ მიედინება და არსად თავდება.

* * *

აღარასოდეს მოიწყენ, სულო ჩემო. ეს რა უნაპირო, თავბრუდამხვევ, მზიან-სიხარულიანი ტალღები გიხვევს და გიკრავს ალერსიანი ღიმილით.

სამყაროს ერთიანი მდინარება მოგეახლა და თავისი მშვიდი აზრიანობის ფშვინვა მოგაახლა.

* * *

ნამდვილად ცოცხალი არსება... ვწვდები რომ ნამდვილად ცოცხალი არსება ვარ, მირიადი სამყაროების ნაწილაკი.

მე ვარ ადამიანი, ადამიანი, ადამიანი.

ცხადში ვგრძნობ სიზმარს, სიზმარში ვწვდები ცხადს, უსასრულობაში სვლით ვქმნი ღვთაებრივ ადამიანს.

* * *

მე ყოველდღე მივემართები ჩემს უდაბნოში და ვითმენ, ღმერთო, შენს დუმილს.

აქ ყოველი წამი მარადისობად იქცევა, გაელვებული აზრი უსასრულობას ებმევა და შენ ნიშანს მაძლევ.

შენ ნიშანს მაძლევ და მე ვმეტყველებ _

_ ასე ჩამესმის შენს მომლოდინეს საკუთარი ხმა.

* * *

რწმენა იგი დაკარგე და სიცოცხლე შენი, ასე უსასრულო შესაძლებლობათა ზღვა გაჰქრა, ვით სიზმრის ტკბილი შეხება.

* * *

ცხადია _ ამბობ შენ _ ცხადია, რომ მზე ანათებს და მაინც ბრმავდები, რადგანაც გიკვირს.

რა არის ეს? მზე? რა არის ეს ნათელი? ან ჩვენ _ რად არა ვართ მზეები?

და ასე უსასრულოდ შეიძლება ამ სიბრმავეში კითხვათა დასმა.

* * *

ერთ დღესაც აყვავდება შენს სულში ტანჯული ხე და ისე მოირთვება, რომ მისდა სასმენად სამყარო გაინაბება.

* * *

როცა ადამიანის ვერშეცნობის ზღვრების წინაშე თრთოლვა და შიში მიპყრობს, რაღაც სიხარული ერთდროულად მაპურებს და მათრობს.

ეს სიხარულია ადამიანში იდუმალებას, რომ შემაგრძნობინებს, ის სხივი, ჩემს რაობას ცათამდე რომ აღამაღლებს. ფოთლის მოცახცახე სისათუთედ რომ იქცევა. ვგრძნობ მოწიწებას, მადლიერი ბაგე კი წარმოთქვამს:

_ მადლობთ უფალო, ადამიანად რომ მყოფ.

* * *

ქარის შრიალი ფოთოლთ აშარიშურებს ხმა რომ გაიღოს.

ღრმად დაფარული მუსიკის ენა ამგვარად ეძიებს ფერსა თუ ბგერებს, სიტყვებსა თუ ჩანახატებს.

ამგვარად ირხევა დუმილის არაფერობა.

* * *

_ ქმნილების შიგახედი _ იისფერი მთა:

_ ვარსკვლავი იგი წარმოვიდგინე _ მოციმციმე, ჩემი ოცნების _ იისფერი მთის ზემოთ და ფიფქები, ჩემი გათოშილი სულიდან მომდინარი, იისფერი ფიფქები ამ მთის შემქმნელნი.

* * *

მზის სიკაშკაშით ჩააცქერდი შენს თავს წყლის სიღრმეში!

ამ სარკეში იცან შენი თავი, _ ერთი აზრით და ერთი სურვილით მოცული და აღსავსე _

ღმერთი იხილო შენში!

* * *

ის იღიმება, ის ტირის ან ის საუბრობს. ამით ჯერ კიდევ არაფერია ნათქვამი.

შოპენი იღიმება, ან ბახი სიკვდილს შეგუებული სევდიანი ღიმილით გვიყურებს, კირკეგორი სასოწარკვეთილია ან გალაკტიონი შთაგონებით აღვსილა და ამით კი, უკვე ყველაფერია გამოთქმული.

* * *

არცერთი დიდი პიროვნება არ ჰგავს მეორეს, ყველა მათგანს ხომ თავისი ორიგინალურობის დამღა ატყვია. _ მაგრამ, მეორე მხრივ, თითქოსდა ისინი ტყუპისცალებივით ჰგვანან ერთიმეორეს _ როცა მათ ქმნილებებს ეცნობი, ამის იქით ყოველთვის ერთდაიგივე ტანჯვა-წამების გზას ჭვრეტ, მარტოობის უდაბნოს, ჯვარცმასა და ამაღლებას ამოიკითხავ.

და ხვდები, ისინი იბადებიან, რათა დაპირისპირებული ერთობით კაცობრიობის იდუმალი სარკე გაამთლიანონ.

* * *

ცნობიერჰყოფა:

შენ სცილდები შენს თავს, რათა იხილო შენი თავი.

* * *

მარტოობაში გაგდებს ქარიშხლის ხმა, ასე უმიზეზო სევდად რომ შემოდის შენში, ასე შეერთვი ცის სიცივეს და თითქოსდა სამყაროს დიდ სინამდვილეს იხსენებდე. მარტოობაში გაგდებს ეს ბრბო, ეს უამრავი სახე, გულგრილი უცხოობით რომ ჩაგივლის და გრძნობ, ოკეანის უსასრულო ტალღები სიკვდილის უფსკრულს როგორ გიჩვენებს. მარტოობაში გაგდებს მეგობრის მზერა, თავისი თვითობიდან რომ განგიშორებს და ტკივილით დაგასაზღვრებს შენს რაობას.

ეს მარტოობაა _ შენს რაობას რომ გადახსნის და მაშინ განურჩეველი სიცხადით წარმოგიდგება შენი საგნები: ეს ვარსკვლავები, ეს ნაცნობი ადამიანები, შენი სახლის ფანჯრები, შენი ტანთსაცმელი...

* * *

როცა ნამდვილი ადამიანის სულს ჩაჩერებული, მის ნაწერს ვისმენ, მივყვები მის გზას, თანამგრძნობელი მისი უსასრულო ტანჯვისა.

და მაინც, ჩემში დაბადებული ქრისტე მძაფრად შემაგრძნობინებს «ლურსმნის» არსებობას _ და იმ სისასტიკეს, რითაც ყოველი სხვა ადამიანი თუ ყოველი სხვა საგანი მიახლოვდება და ჩემს უსასრულო ტანჯვას მიმაახლებს.

* * *

სიყვარული ღვთიური თვალით დაგვცქერის და ერთგვაროვნების მასაში წვდება ჩვენ ერთადერთობა-განუმეორებლობას.

შენი დაღუპვა უნივერსუმის გაქრობას მოასწავებს.

_ ასე გხედავს ის, ვინც სიყვარულის ყვავილოვანი ქარებით შენსკენ მოემართება.

* * *

აზრი გაგიწყდა და ერთი ბილიკი ჩაიკარგა შენს სახლამდე მისასვლელი.

* * *

გრძნობის გამოხატულება:

_ რაღაცამ გამახარა და უცებ დავინახე ჩემი სულის წინაშე ასვეტილი ცისფერი ნაკადი. ქარით შერხეულ ვარსკვლავებს, ჩემს მოციმციმე ვარსკვლავებს, სიცილ-კისკისით მიწაზე რომ აბნევდა და მშვენიერ ყვავილებად განშლიდა.

* * *

შენ არ იცი ბევრი რამ შენს შესახებ, მაგრამ ყოველწამს ადამიანი, საგანი თუ ცხოველი, სარკედ აღიმართება შენს წინაშე.

* * *

ხმათა მოსმენა:

მკვდარი პეპელა უმწეო, თავისი ყავისფერი «სხეულით» ეგდო ფანჯრის რაფაზე.

უცებ პეპელას უმწეობა გადაეფარა კოსმოსის უსასრულობას და კაფკას ხმა ჩამესმა.

* * *

ადამიანური ენის «კონკრეტულობა»:

_ გაწვდილი ხელები მზისკენ, ლტოლვა სინათლისაკენ, გულის ხელების იმგვარად შეერთება, რომ ყოველმა ჩვენთაგანმა შეიგრძნოს ერთი ფესვი, სიცოცხლის აღმტაც და სიხარულიან ტალღაში შეიგრძნოს ჩვენი ერთგვარობა და ამოიყვიროს:

_ მე ვარ შენ.

* * *

დღე იგი დღეთაგანი, თვისგან რომ შვა საწყისი ახალი სიცოცხლისა, რწმენის სინათლით რომ ზღუდე აღმართა წარსულთან.

* * *

ღვთის საჩუქარი:

_ შეიფრთხიალა გაზაფხულმა თეთრი მტრედივით და სევდიანმა არყის ხემ დაიწკრიალა.

სევდის ფარდის მსუბუქი რხევა.

* * *

დიდ სინამდვილეს მხოლოდ მაშინ შევიგრძნობთ, როცა თითოეულ საგანში მიმალული მზის არსებობას აღმოვაჩენთ.

და ეს მაშინ ხდება, როცა თვალი აღმქმელი ამ დამალული მზის ერთადერთ გზას მიაკვლევს და ასე პაწია მზედ გარდასახული თვალი მას ყველგან აღმოაჩენს.

* * *

ის იყო ზღვის უბრალო ქვა, ის იყო ღრუბელი, ის იყო მწვანე ფოთოლი, ის იყო... თავისთავად ყოფნა რაიმედ, არის უკვე ბედნიერება.

მე არ მაინტერესებს, ვინ გაიღებს ხმას, ან ვინ დამიგდებს ყურს.

ყოველი არსება ღირსია იყოს დანახული, მოსმენილი და შეცნობილი.

* * *

ჩემი სული გამოვაბი ჩემს ხელს და მან დაივიწყა რა არის დაღლა, რადგან მისი ბუნება უსასრულობის გზას გაუყვა.

* * *

ეს ქარი ფარდას არხევს, ეს ქარი წიგნის ფურცლებს აშრიალებს, ეს ქარი თმებს გიწეწავს, თუ ხეების ფოთლებს აშარიშურებს, _ იმდაგვარად, რომ ტირილი გინდა.

და შენ ხედავ, ცხადად ხედავ, რომ ეს სამყაროს ხმაა, თავისში, ვით ტალღაში რომ იმწყვდევს ამ განსხვავებულ საგნებს და მით მეტყველებს.

* * *

ბაგე გახსნა, სიტყვა წარმოთქვა და მოედინა ერთი სიტყვით შერხეული სიტყვათა მდინარეები.

* * *

როცა დიდი სინამდვილის მკაცრი ტალღა თავისში გვიმწყვდევს და ვიტანჯებით, როცა დაუნდობელი და საზარელი ქარიშხალი ჩვენ ყოველდღიური ცხოვრების უწყინარ ძილს დააფრთხობს და თბილ საბანს მიიტაცებს, მაშინ სევდიანი ღრუბელი

შემოგვეხვევა, ნისლიანი უფსკრულებისაკენ დასწევს ჩვენს გულებს, გაგვახსენდება ნისლიანი ქვეყნები, ნისლოვანი სანაპირონი, მარტოდ მიტოვებული ჩვენი სულისმიერი ყვავილები, ცრემლთა ნაკადთაგან ამოზრდილები.

* * *

აღმოვაჩინე, რომ ვხედავ, და ჩემი დუმილი, ეს იდუმალი სარკე, ხმაურით დაიმსხვრა, რაშიც სარკეთა უცნობობა აელვარდა.

* * *

შენ განუგეშებს ამ კაცის გამოხედვა, ამ ბავშვის კისკისი, ამ ძაღლის კუდის ქიცინი და ა.შ. და ა.შ.

შენ განუგეშებს, _ რადგან შენი ნუგეში მათ დაეძებდა და იპოვა კიდეც.

* * *

თოვლის სიმარტოვეში, ღამისეული სიცივის მდუმარებაში უძრავად წოლას ჰგავს ნამდვილი პოეტის სულში შესვლა.

* * *

სველი ქვაფენილის შავ ფონზე ქარმა პაწია ყვითელ-წითელი ფოთლები მიმოაბნია. უცებ ცარგვალი წარმოვიდგინე. თითქოსდა ვარსკვლავები ანათებდნენ აქ, ჩვენთან, დედამიწაზე.

ვინ მანიშნოს რა სახე აქვს სამყაროს მდინარებას?

და ვინ იცის, იქნებ ეს ჩვენება იყო მინიშნება ამ მდინარებისა.

* * *

ქარიშხლის ხმა, ასე საზარელი ხმაურით რომ ეხეთქება ყოველ შემხვედრ საგანს _ ქალს თმას უწეწავს, მოხუცს, ამ უძლურ მოხუცს ძალას ართმევს, ეღობება, სახლამდე რომ მივიდეს. ამ შემოდგომის ფოთლებს ჰაერში ფანტავს და გიჟური ხარხარით მიწაზე დაჰფენს უცნაურ წყობით.

ეს კი შენს მომლოდინე მეობას, ვით სამყაროს უმიზეზო ხმა, ისე ჩაესმის, თითქოსდა დუმილდაურღვეველი ნათელი ხმად იქცა. ასე იღება ყოველთვის და ყოველგან მყოფელი კარი.

* * *

ვნებული გული ყურს მიაპყრობს საგნებს და ყველგან იესო ქრისტეს წამებასა და ამაღლებას იხილავს, რითაც ისმინება მისთვის სამყაროს დაფარულობა.

* * *

სიტყვა იგი, კაცი იგი, ყვავილი იგი, ხე იგი თუ ამბავი იგი, შენს სულს რომ შეეხო და შეათრთოლა.

გაჩნდა ნიშანი შენი სულის თრთოლვისა, და შენ წერ!

და დუმილი, ვით თეთრი ქაღალდი _ დაირღვა!

* * *

თვალახელილი სული ყველა საგანში სცნობს თავის თავს.

იგი ხედავს მოჩვენებითი სისავსის იქით სიცარიელეს, და იქ კი, სადაც თითქოსდა სიბნელეა, სინათლეს ჭვრეტს.

მისი ხედვა ყოველთვის ნამდვილია.

* * *

სიყვარულის მდინარეები მოლეკავს სიცოცხლის ჰარმონიულ სიმშვიდეს და თავისში აღვიძებს თავის თავს და ამარცხებს უთვალებო არსებობას.

* * *

ზმანებაა ეს სინამდვილე. იცინი და ქრება ეს სიცილი, სამყაროში იფანტება. ტირი და ისიც ქრება, სადღაც ორთქლდება და ჰაერს უერთდება. სიტყვას წარმოთქვამ და მეხსიერებიდან ისიც მალე ამოვარდება და თუნდ სადმე აღბეჭდო, ესეც ამაო ხდება – ის ხომ მკითხველის სუნთქვას ემორჩილება და მისდა შესაბამისად იცვლის ფორმასა და არსს.

ასე ზმანების სიახლოვით გეუფლება ეს სინამდვილე. სვამ ზმანებას და გავიწყდება მისი გემო.

* * *

პატარ-პატარა გუბურები შენიშნა აქა-იქ მიმოფანტული და ენიშნა, აქ იპოვა თავის სულში გაუმთლიანებელი, ასე ერთმანეთს დაცილებული სარკის ნატეხები.

* * *

მხედველი თვალის ნაამბობი:

_ პაწია პეპელა მიხურული მინის კარებს უაზროდ მიაწყდა და აფარფატდა. ჩემი სული გამახსენდა, შენი სული გამახსენდა და ავტირდი.

* * *

ჩამოვარდნილი ნიღბების იქით მოსჩანს კაცი უმწეო სახით რომ გევედრება _ შემიყვარეო.

და არა აქვს მნიშვნელობა რა სახე აქვს მას _ ლამაზი, მახინჯი, სათნო, სასტიკი... და არც მის საქციელს არა აქვს მნიშვნელობა _ მკვლელია იგი, მრუში თუ წმინდანი.

ყოველივეს თუ გადაშლი, მავანის სულის დაფაზე წაიკითხავ წარწერას:

_ მე ვარ მე! დამინახე, შემიყვარე და დამაფასე!

* * *

ფანჯარა გამოაღეს და უცებ აღმოვაჩინე, რომ ისიც ხანდახან სარკეს ემსგავსება, _ როგორც ხანდახან ყველა საგანი.

და ასე ამგვარად ყველა საგანი აღვიქვი როგორც სარკეები და ასე, სარკეთა ზღვაში, ჩემი თავი ახალი გზით გავიყოლიე.

* * *

სამყაროს საზარელი თავბრუდამხვევ ნაკადთა დაუსრულებელი სრბოლა იხილა ჰერაკლიტეს ცრემლმა და მოედინა საუკუნეებში ეს ცრემლი, ვით კანტის ანტინომიებად გახლეჩილი, ლაიბნიცის მონადოლოგიად შეკრული, ბერგსონის დროდ გარდაქმნილი, ჰეგელის დიალექტიკად მოვლენილი და ა.შ. და ა.შ.

* * *

წინასწარ ვერასოდეს მიხვდები, თუ საით გასწევს შენში არსებული დემონი, ვერასოდეს მოთოკავ ისე, რომ თქვა: ის არის ჩემი ნების ქვემდებარე, ის არის ჩემი მონა.

და გაშინებს, თავზარს გცემს ეს ფიქრი, რადგან გიმჟღავნებს იმ სიდიადეს, იმ უსასრულობას დაგანახვებს და გონმიუწვდომელ მთელზე მიგანიშნებს, რომელიც შენშია, მაგრამ ვერ ცნობ.

* * *

როცა ვთავისუფლდებით მიზეზთა ტყვეობისგან _ წუთისოფლის ამაოებისგან, უმალ ვპოულობთ უმიზეზო სევდიანობის უსაგნო ხმას, _ ჩვენში, ჩვენს საგანში, ჩვენს სამყაროში, ღმერთის სიდიადეს რომ შეგვახსენებს და აგვამაღლებს.

* * *

ადამიანის დაბადება:

_ სიყვარული მოვარდა და მას მოჰყვა ყვავილოვანი ქარიშხლები, ვარსკვლავების გიჟური სრბოლა შენი ცის თაღზე, ღამის სიშავეში მზეთა სიკაშკაშე, ვერხვთა რიგების ნელ-ნელი რწევა და შუქ-ჩრდილთა წამი-წამად ცვალებადობა.

სიყვარული მოვარდა და შენი ჭიპი ერთ დღეს მოკვეთილი _ დედის სხეულს, დედის ძუძუს და დედის საშოს, _ მოკვეთილი სამყაროს საერთოობას, ისევ აღსდგა.

აღსდგა და გამთლიანდა სისხლი იგი მიმოქცეული შენსა და დედაშენის სხეულს შორის, შენსა და საერთო მდინარეს შორის.

სიყვარული მოვარდა და კაცობრიობას შეემატა ადამიანი.

* * *

ყველა საკუთარი მდინარისკენ მიილტვის, იმ მდინარისკენ სინამდვილეში ერთი მდინარის შენაკადად რომ გვევლინება.

* * *

გენია _ როცა ჩემს მზეთა სხივთაგან დაბრმავებულ თვალებს მივაპყრობ სხვა გენიოსთა სამყაროებს, როცა მათ გზებს შევყურებ მხოლოდ და მხოლოდ ერთ გზას ვჭვრეტ _ **ერთ გასხივოსნებულ გზას.**

* * *

იმედი _ ეს ხომ სინათლის სხივია, საგანთა მოქმედებას თან რომ ერთვის.

განმხოლოებით ვერ ვხედავთ, მაგრამ შევიგრძნობთ კი.

* * *

სულიერი გზისთვის სამყოფი ერთი პური და ერთი ჭიქა ღვინო.

აი, ჩემი აზრების დანიშნულებანი.

ამ წიგნის გამართლების ცდა

«მეტაფიზიკური დღიური», «მისტიური ხილვები»... ამ სათაურების წაკითხვის შემდეგ ვხედავ მკითხველს, როგორ აღებეჭდება ირონია, იქედნური გამოხედვა, გამომწვევი ღიმილი, რითაც ის მიმანიშნებდა, რომ სიყალბეში გამომიჭირა.

და მართლაც, სად მეტაფიზიკური ჩანაწერები (დღიურები) და სად ჩვენი თანამედროვეობა?

ყოველი დროების სიდიადე, საზრისთა საზრისი, ტრაგედია შეიძლება ასეც კი გამოვთქვათ:

_ «ის» თავისმა დროებამ გამოჭედა, «ის» თავის დროებაში ჩაიკეტა, დრო, რომელიც თავის სივრცეს ქმნის – დრო, თავის ტანთსაცმელს რომ ქსოვს, რათა ყოველი საგანი თავის თავში ჩაამწყვდიოს, შემოსოს და ასე თავისებურად «გაალამაზოს».

დაუჯერებლად გამოიყურება, მაგრამ ის ყრუა, ის ბრმაა სხვა დროების მიმართ, სხვა საუკუნეების «ტანთსაცმლის» მიმართ. თითქოსდა ეს იყოს რაღაც უცნაური დაავადება, რაღაც **idee fixe**-ე აზროვნებდეს, მხოლოდ ისე, როგორც აზროვნებს. ტიროდეს ისე, როგორც ტირის, იცინოდეს ისე, როგორც იცინის და უნებურად გახსენდება ავადმყოფი, ნევროზით დაავადებული, რომელიც თავისი ცხოვრების რამოდენიმე მომენტზე შეჩერდა და ამით თავის ისტორიას, თავის ტრაგედიას, თავის დაავადებას ქმნის. ჩვენ ისევ მერამდენედ გვეჩვენება, რომ ადვილია მხოლოდ რამოდენიმე ფრაზით მის დაავადებულ სამყაროში შეღწევა და ამ სამყაროს დანგრევა, ანუ მისი ცხოვრების_ტრაგედიის სხვა ეპიზოდით «ლოგიკურად» წაშლა, რომლითაც გავაფერმკრთალებდით იმ დრამას, რითაც მისი გული ბორგავს და მისი სული შეპყრობილია.

მაგრამ არა და არა! ეს დიადი ილუზიაა. არაფერს ძალუძს ამ მოჯადოებულ, ამ დაავადებულ სივრცეში შეაღწიოს. ავადმყოფობის სიდიადე ან სისუსტე ამ ჩარაზული კარების მიღმა არსებობს მხოლოდ, რითაც თავისი თავი სამუდამოდ მოცემულ სივრცეში გამოამწყვდია.

ეს ეპოქის ის სინამდვილეა გარდაუვალად, რომ არის მოცემული, მოცემული ნიშნებით.

რას ნიშნავს ეს? რა დავარქვათ ამ დაავადებულ ჩაკეტილობას? ბედისწერის ამ დიად სრბოლას? ღვთის იდუმალი ნიშნები?!

არც ამაზე გვეძლევა პასუხი.

ხშირად ამბობენ: მან თავის დროებას გაუსწრო. რას ნიშნავს ეს? ცხადია, ცხადზე ცხადი, რომ ეს ყალბი სიტყვებია, ჰაერში ასროლილი უწონადო სიტყვებია, რადგან, როგორ შეიძლება გადავლახოთ ის, რაც არის შეუმსხვრევი, შეუღწევადი?

ამიტომაც, თუ მე ვინმე დამეკითხებოდა, თუ რა არის ის კითხვა, ვერცერთი ფილოსოფია თუ ხელოვნება პასუხს რომ ვერ იძლევა, არის სწორედაც კითხვა:

_ რა არის დრო? რა არის დროება?

_ სამყაროს იდუმალება ამ კითხვაში თავსდება.

* * *

და მე, შემეძლო კი ჩემს დროებას დავცილებოდი, როცა იწერებოდა «მეტაფიზიკური დღიური»?

განა შემეძლო კი არ ვყოფილიყავ ამ დროებაში ჩაჭედილი და არ შემეგრძნო მისი მსახვრალი ხელი? ამიტომაც ახალგაზრდობა დათრ-გუნულმა გავატარე. მახსენდება: ეს უმიზნო დღეები, თვითმკვლელობაზე განუწყვეტელი ფიქრი. კაშკაშა მზის

ნაცვლად რაღაც შავ ლაქას ვჭვრეტდი. რაღაც უცნაურობით ჩემთვის ხეებიც კი არ არსებობდნენ. მათ ნაცვლად მიწაში თავით ჩამარხულ ადამიანებს ვხედავდი, ფეხები ცისკენ უსახურად რომ აეშვირათ და მათი გაუგონარი გოდება ჩამეს-მოდა.

უცნაურია, მაგრამ ჩემთვის (მაშინდელი შეხედულებით, ცხადია), დანაშაული იყო აღმექვა ბუნება.

ვინ შთამაგონა ეს აზრი? არ ვიცი. და ისევ ასე შემიძლია ვუპასუხო: ჩვენმა წყეულმა დროებამ.

ჩემს წინაშე მხოლოდ უბედური ადამიანი იდგა, დაუცველი, მიწაზე დამხობილი. მოკლედ, სილამაზე დანაშაულად მიმაჩნდა.

შინაგანი ხმა მაფრთხილებდა, რომ უფლება არა მაქვს მშვენიერებას ვუყურო და მისით დავტკბე.

ღრმად მჯეროდა, რომ ხელოვანი დაბრმავდა, რომ კულტურამ ამოსწურა თავისი თავი, და ცხადი იყო, კაცობრიობას აღარ ჰქონდა საზრისი. როგორ შეძლებდა კაცობრიობა თავისი გზის განგრძობას, თუ კულტურა იღუპებოდა?

ერთხელ ტროლეიბუსით მგზავრობისას სკამზე გვერდულად მჯდომმა მოპირდაპირე მხარეს ერთდროულად ორი სურათი აღმოვაჩინე: გაჩერე-ბული ტროლეიბუსის მინის იქითა მხრიდან მოჩანდა გაყინული ასფალტის ფონზე ორი ქალწულებრივი არყის ხე «ბრწყინვალე სიშიშვლით». უცებ შოპენის პირველი კონცერტის ბოლო ნაწილი ჩამესმა, როცა ის ცდილობს იისფერიდან ვერცხლისფერში გადასვლას და თავისი ბრწყინ-ვალე ვერცხლისფერი ქოშებით ცის ზედაპირზე გავლას. ამ ხილვაში ღვთაებრივი, მშვენიერი აზრი ჩაღვრილიყო. მაგრამ, მეორეს მხრივ, ამ მინის აქეთა მხარეს, ტროლეიბუსის ამავე ფანჯრის გვერდით სკამზე, ჩემს პირდაპირ, იჯდა სულიერად დაავადებული ქალი _ მსუქანი, უსახური, გაწეწილი თმებით. მისი გოდება ცას სწვდებოდა.

_ მიშველე!

ის თითს ჩემსკენ იშვერდა, მე კი მრცხვენოდა, იისფრად მბრწყინავი არყის ხეები ასე ხმამაღლა რომ «მღეროდნენ», როცა ქალი ასე იტანჯებოდა. მე ვცდილობდი ჩამეხშო ჩემში ეს მუსიკა, ეს ღვთაებრივი მშვენიერება.

მჯეროდა, (მაშინდელი შეხედულებით, ცხადია), რომ არასოდეს არ უნდა დავცილებოდი სამყაროს ცენტრში, უსასრულო სივრცეში ჩაკარ-გულ, მიწაზე უსუსურად გართხმულ პატარა კაცუნას, ჩვენი დროების ამ სიმბოლოს, მახინჯს, ავადმყოფს, დაცემულს, შეგინებულს, რომელიც მხოლოდ იმიტომ მოევლინა სამყაროს, რათა გოდება აღავლინოს ღმერთისადმი და ამით თავისი ნამდვილობა დაუმტკიცოს მას.

შეიძლება ასეც კი ითქვას: ჩემმა დროებამ გამთელა. ამას მკითხველი თავად შეიგრძნობს, როცა წაიკითხავს თავს, რომლის სათაურია «შავი წყლის სიღრმეში ჩაძირული გონება...» ჩემმა დროებამ ჩემი ტალანტი, ინტელექტი გათელა. თითქოსდა თანამედროვეობის საზარმა სკეპსისმა ჩემი ტვინი ხვრელებით დაქსელა და ბერწად აქცია.

თავში «ინტელექტუალის სოლფეჯიო» პარადოქსს აღმოვაჩენთ _ ჰაერში უსასრულო დროით შეჩერებული მარცვალი.

მარცვლის ამ უცნაურ გზას ინტელექტუალის მწვალებლური თამაში ჰქვია, თამაში მის წარმოსახვაში. ის, თითქოსდა, ერთი ხელისგულიდან მეორე ხელისგულზე გადმოაგდებს მარცვალს, რათა ისევ პირველ ხელისგულს დაუბრუნოს. და ასე უსასრულოდ...

ეს თამაშია იმ ადამიანისა, ჭადრაკის ფიგურებად რომ განალაგებს დიდი ტკივილისაგან შეძრულ თავის სულს, რომელმაც ვერ შესძლო დიდ სიმაღლეზე დარჩენა, სადაც ტკივილი, ვით მარცვალი, კვდება, რათა პოხიერ ნიადაგში დაივანოს და აღმოცენდეს ერთ აზრად, ერთ იდეად, ან ერთ გრძნობად გადმოდინდეს, ან ერთ სახეში შეიკრიბოს და ასე გასძლოს მასში – რათა საბოლოოდ მისგან აღმოცენდეს სულისმიერი ხე, თავისი ნაყოფით.

თანამედროვე ინტელექტუალის სულიერი გზა ასეთია – მარცვალი მარცვლად რჩება.

რა აზრი აქვს ინტელექტუალის ამგვარ ძიებას?

რა აზრი აქვს ტკივილთან, გაუსაძლის ტკივილთან შეჩერებას, რომლის ერთგულება თანამედროვეობის ერთ-ერთი აქსიომაა.

ცხადია, ეს მძიმე და რთული კითხვაა, რაზედაც ამ წიგნში შევეცადე პასუხი გამეცა.

ღამით მთვარის იდუმალი სხივები ყველა საგანს მისტიურს ხდის. ადამიანის სულიც, მთვარის დარად, ყველა გზად შემხვედრ საგანს თავის სულს გადააფარებს. ასე იმოსება სული და ასე ამთლიანებს მათ თავის იდუმალებაში.

ამიტომაც შეიძლება ითქვას – ჩემს ყველა ფრაზას ერთნაირი ღირებულება, წონადობა გააჩნია, რადგან ისინი ერთ მთლიანობას, ჩემს სულს გამოსახავენ. თუმცა ეს ხან განწყობაა, ხან აზრი, ხან კი – მსჯელობა.

სილამაზეს თუ დანაშაულად მივიჩნევდი, ცხადია, რომ ყოველი ხილვაც ამ დანაშაულს უკავშირდებოდა, მაგრამ ეს ხილვები უკანასკნელი ხსნა იყო რითაც თავს დავაღწევდი ჩემი სულის გათოშილობას და სიკვდილის ცივ სუნთქვას განვიშორებდი. ამ გზით ვძლევდი ჩემში მყოფ მჭკნარი ფოთოლის უმწეობასა და სისათუთეს, და მის განუზომელ შიშს ჰაერში არ დაფანტულიყო და არარად არ ქცეულიყო. როგორც უკვე ვთქვი, ეს უკანასკნელი ხსნა იყო და ცხადია დანაშაულის გრძნობა სადღაც ჰქრებოდა.

თავისთავად ხდებოდა რომ სილამაზის სასტიკი სიცივე იმარჯვებდა და ყველაფერზე მაღლა დგებოდა.

ჩემი ნაწერის მეტისმეტი ინტიმურობა უხერხულად შემაგრძნობინებს რომ მკითხველის წინაშე შიშველი და დაუცველი ვდგავარ. ნაწერში თუ რაიმე ღირებულია, ეს დუმილია, სიტყვებს შორის მოქცეული დუმილი და თუ მკითხველი ამას შეიგრძნობს, მე მას ჩემს გზაზე გავიყოლიებ.

და მაინც, რატომ დაიწერა ამ საშინელი, დაუნდობელი სიცარიელის გამღმერთებელ დროების ხანაში «მეტაფიზიკური დღიური»?

როცა სამყარო წყვდიადშია ჩაძირული და ღმერთი ასე შორს დგას სამყაროსგან, ნათელის ხილვის წყურვილი ისე მძაფრდება, რომ შორს მყოფ ღმერთს, თითქოსდა, ყველა საგანში ჭვრეტ _ ეს ხან ხეა, ხან მჭკნარ ფოთოლთა განლაგებაა სველ ქვაფენილზე, ხან ეს ნაცნობის ღიმილია, ხან კი _ მისი ცრემლებია...

დიადი განცდა მოგვიცავს, როცა მზის სხივს დავინახავთ ან იისფრად გაშეშებულ ხეებს ვკიდებთ თვალს _ თითქოსდა შორეული გზიდან ღმერთი ხელით გვეხება.

ჟაკლინ სირაძე

მეტაფიზიკური დღიური

დავით ეფრემიძე გამომცემელი

Picasso - Acrobat and Young Harlequin 1905 41''x 29 გარეკანი ¾

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.09.2004

ქაღალდის ზომა 60X84

მოცულობა 7.25 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი

გამომცემლობა «მთაწმინდელის» მისამართია:

ტელ.: 39-10-50; 37-13-53; 8-99 20-55-99